

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი

იაკობ ტურტაველი

# გარტვილობაჲ უუუანიკისი

„მეცნიერება“  
თბილისი  
1978

871  
899.962.1.092 [იაკობ ცურტაველი]  
o 18

რედაქტორი  
ელ. შვებერეველი

ქართული მწერლობის ჩვენამდე მოღწეული უძველესი ძეგლი, ამასთანავე მხატვრული პროზის სწორუზოვარი შედეგრი „შუშანიკის წამება“ საუკუნეების მანძილზე იპყრობდა მკვლევართა და მკითხველთა უურადღებას. მასზე დაწერილ მრავალრიცხოვან ნაშრომთა შორის უოველთვის დიდი აღიარებით სარგებლობდა პროფ. ი. აბულაძის წინამდებარე მონოგრაფია, რომელშიც ავტორმა ფილოლოგიური კვლევის დიდი უნარით და ქართულ-სომხური მასალის შესაშური ცოდნით განიხილა „შუშანიკის მარტვილობასთან“ დაკავშირებული მრავალი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხი. ამ შრომის პირველი გამოცემიდან 40 წელზე მეტმა განვლო, მაგრამ მას არ დაუკარგაჲს მეცნიერული ღირებულება და დღესაც ერთ-ერთ უველაზე სრულ და მნიშვნელოვან მონოგრაფიად ითვლება ამ თემაზე დაწერილ შრომათა შორის.

ბიბლიოგრაფიულ იშუიათობად ქცეული ილ. აბულაძის ამ ნაშრომის ფოტოტიპური გამოცემა უთუოდ დაამშვენებს „შუშანიკის წამების“ 1500 წლის საიუბილეო დღეებს.

იკომ ტუიზუი

# მეგვდომუი ზუზანიკისი

მეგვდომუი ღუ სომბური ტეხტეზი გეგმოსე, გეგმოსეზუ. ვერიანტეზი,  
ლეხსიკონი ღუ სეივლეზი ღუბრთო  
ილია აბულეი

პ/მგ. რედაქტორი: პროფ. ა. კეკელიძე

---

ტეხ. რედაქტორი: ე. ბოლქვაძე  
მთავლიტის № 2175  
გამ. შეკვეთის № 18  
გადაეცა წარმოებას 19/III—38 წ.  
ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/IX—38 წ.

ანაწე. ზომა 7×11.  
ქალაქის ზომა 72×105  
ბეჭდ. ფორმა 12  
ტირაჟი 2.100.

---

Краснознаменная типография имени А. Ф. Мясникова изд-ва „Заря Востока“  
Тбилиси, пр. Руставели, 36.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

33-

წინახიტყვაობა . . . . .	VI—VIII
I. მარტვილობის წიგნთა გამოცემანი, ამ წიგნების შემცველი ხელნაწერები და ძირითადი ლიტერატურა საკითხის შესახებ . . . . .	01—010
II. შუშანიკის მარტვილობის გამოძახილი ძველ ქართულსა და სომხურ მწერლობაში . . . . .	011—018
III. ქართულ და სომხურ მარტვილობათა წიგნების ტექსტობრივი ურთიერთობა . . . . .	019—045
IV. მარტვილობათა წიგნების შინაარსისა და კომპოზიციის საკითხებისათვის . . . . .	046—050
V. გეოგრაფია თხზულებისა . . . . .	050—059
VI. მარტვილობის სხვა ისტორიულ-ლიტერატურული მხარეები . . . . .	059—063
ტექსტები . . . . .	1—53
ა. მარტვილობის ქართული და სომხური ვრცელი წიგნები . . . . .	3—47
ბ. მარტვილობის ქართული და სომხური მოკლე წიგნები . . . . .	49—53
დამატება: მარტვილობის ქართული და სომხური სვინაქსარული რედაქციები . . . . .	57—64
ვარიანტები . . . . .	65—87
ა. მარტვილობის ქართული და სომხური ვრცელი წიგნებისა . . . . .	67—84
ქ ა რ ა გ მ ე ბ ი . . . . .	84—87
ლექსიკონი . . . . .	89—99
მარტვილობის ქართული ვრცელი და მოკლე წიგნებისა . . . . .	91—99
საძიებლები . . . . .	101—120
I. სიტყვათა საძიებელი: მარტვილობის ქართული ვრცელი და მოკლე წიგნებისა . . . . .	103—119
II. სახელთა საძიებელი: მარტვილობის ქართული ვრცელი და მოკლე წიგნებისა . . . . .	120

## წიგნისიწყვაობა

იაკობ ცურტაველის მარტიროლოგიური ნაწარმოები, რომელიც უადრინდელესი ქართული ორიგინალური ლიტერატურის ძეგლს წარმოადგენს, უკვე გასული საუკუნის 80-ანი წლებიდანაა (1882 წ.) ცნობილი. მარტილოგის სომხური რედაქციები კი ოცდაათიოდე წლით ადრე გამოშვებულა (1853 წ.)

ამ ორ მუხრბეღ ერთა ენებზე შენახული ერთი და იგივე მარტილოგის ძეგლთა ურთიერთ-დამოკიდებულება საგულისხმო საკითხი იყო და არის საზოგადოდ ქართულისა და სომხური კულტურის ისტორიისა და კერძოდ — ლიტერატურისა და ფილოლოგიისათვის. პროფ. ივ. ჯავახიშვილის მოკლე და მეტად შინაარსიანი ნარკვევით<sup>1</sup> ამ საგულისხმო საკითხის ძირითად მომენტებზე ამ მხრივ პასუხიც გაცემული იყო მთავარ ხაზებში. ქართულ-სომხური ტექსტების გამოცემით ჩვენ მხოლოდ ფილოლოგიური მიზნები გვქონდა დასახული, — ტექსტობრივი შედარებებით არსებულ შეხედულებების ოდენ დამადასტურებელ საბუთს ვიძლეოდით. მაგრამ როდესაც ამას P. Peeters-ის ნაშრომმა<sup>2</sup> მოუსწრო, რომელიც თავისი დასკვნებით აქამდის შეწყნარებულ აზრს უპირისპირდება, იძულებული გავხდით ნარკვევის ფარგლები გავვეფართოებინა და შეეჩრებულეყავით საექვოდ მიჩნეულ მომენტებზედაც, რომლებიც უამისოდ შესაძლოა მასში არც შესულიყო.

იაკობ ცურტაველის ნაწარმოებს თავის-თავადაც მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს ქართველოლოგიისათვის. ამითაა გამოწვეული, რომ წიგნს ბოლოში ლექსიკონი და საძიებლები დავურთეთ. ახალი ტექსტების გამოყენების გამო ვარიანტების საქიროებაც გაჩნდა. იგიც აგრეთვე დავურთეთ ტექსტებს. ამათ გარდა მარტილოგის ვრცელი სომხური რედაქციის გასაცნობად ქართველი მკითხველისათვის მის გვერდით ჩვენი თარგმანიც მოვეციით. ხოლო მისი ქართულთან შემხვედრი ადგილების საჩვენებლად ეს თარგმანი ძველი ქართულით შევასრულეთ. თარგმანი საერთოდ დედნის წყობითა და მასთან სხვაგვარი სიახლოვითაც ხასიათდება. ამის გამოა, თუ მას, ერთი ჩვენი ძველი მთარგმნელის თქმისა არ იყოს, „თუ სიბნელე რაჟმე სადმე ანუ სიღუბსკირე შესდგამს“, დედნის „შედარებულობისაგან არსა“.

<sup>1</sup> პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „ძველი ქართული საისტორიო წყურლობა“, 2 გამოც. ტფ. 1921 წ., გვ. 13—25.

<sup>2</sup> P. Peeters, Sainte Sousanik, Martyre en Arméno-Georgie (Anal. Boll., LIII, fasc. III—IV), 1935 წ.

<sup>3</sup> ნ. იოანე დამასკელის წყურაოჲ ეოდნისასაჲ არსენ ეაქეს ძის თარგმანი, ანდრონაშავი (დედნად აქ „ბერძნულია“ დასახელებული), საქ. მუხ. ხელნაწ. N ფონდი № 1463, ფ. 39v.

შრომის დამზადების დროს საჭირო შემთხვევებში სათანადო დახმარებას მიწენდენ პროფ. პროფ.: ივ. ჯავახიშვილი, აკ. შანიძე, კ. კეკელიძე და ლ. მელიქსეთ-ბეგი, რომელთაც გაწეული დახმარებისათვის უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

1936 წ. 25/XII. ტფილისი.

---

## 1. მაგვილობის ნიშნთა გამოყენება, ამ ნიშნების შემავალი ხელნაწილები და ძირითადი ღიჯარაჯარა საკითხის შესახებ

იაკობ ხუცესის (ცურტაველის) სახელით ცნობილი ნაწარმოები „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი, დედოფლისაჲ“ ორჯერ არის გამოცემული. პირველად იგი მ. საბინინმა გამოსცა („საქართველოს სამოთხე“ პტბ. 1882 წ., გვ. 181—192), მაგრამ რომელი ხელნაწერის მიხედვით, დაბეჯითებით არ ვიცით; მეორედ კი — ს. გორგაძემ („იაკობ ხუცესი, — წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი“, ქუთაისს 1917 წ.). უკანასკნელმა თავისი გამოცემისათვის შემდეგი ხელნაწერები გამოიყენა: A — ყოფ. საეკლესიო მუზეუმისა (აწ საქართველოს მუზეუმის A ფონდი) № 95, ყველაზე უძველესი შუშანიკის წამების შემცველ ხელნაწერთა შორის<sup>1</sup>, მაგრამ ნაკლები (ტექსტს უჭირავს: გვ. 735—748); B — იმავე მუზეუმისა № 130, 1713 წ. გადაწერილი (ტექსტი მოთავსებულია გვ. 168—184); C — აგრეთვე იმავე მუზეუმისა № 170, 1733 წ. გადაწერილი<sup>2</sup> (გვ. 120—130) და D — კვლავ იმავე მუზეუმისა № 176, 1743 წ. გადაწერილი<sup>3</sup> (გვ. 196—217). მაშასადამე, ტექსტი ოთხი ხელნაწერის მიხედვით გამოაქვეყნა. ხელთ ჰქონია აგრეთვე, როგორც თვითონვე აღნიშნავს (ნ. გვ. 40, შენიშვნა), ყოფ. წერა-კითხვის საზ.-ბის მუზეუმის (აწ საქართველოს მუზეუმის S ფონდი) „ორი ხელნაწერი №№ 3637 და 3687, რომლებიც გადმოწერილია მე-19-ე საუკუნეში“. უკანასკნელს რომ თავი დაეანებოთ, რომელიც გამომცემლის თქმით „პერიფრაზია“ თურმე, სულ გამომცემელს ხუთი ხელნაწერით უსარგებლია. გამოცემა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მცირეოდენ ნაკლს, რომელიც ტექსტის გამართვასა და ზოგიერთი სიტყვის უსწორო განმარტებას ეხება, საერთოდ კარგადაა შესრულებული<sup>4</sup>.

ნაწყვეტების სახით ძეგლის ესა-თუ-ის ადგილი სასწაულო ქრესტომათიებშიაც არის წარმოდგენილი. ჯერ თვით ს. გორგაძის რედაქციით გამოსუ-

<sup>1</sup> აღწერა ხელნაწერისა ნახვ თ. ქორდანიას წიგნში: Описание рукописей... Церковного Музея духовенства Грузинской Епархии, I, გვ. 96—114; მ. ჯანაშვილი „ქართული მწერლობა“ I, (ტფ. 1900 წ. გვ. 134—136) და სხ. ამ ხელნაწერს X ს-ად მიიჩნევენ, მაგრამ P. Peeters-ის სამართლიანი შენიშვნით (ნ. Anal. Bollandiana, LIII, fasc. IV, p. 304) იგი XI ს-ის დამდევსაა.

<sup>2</sup> B და C ხელნაწერების ვრცელი აღწერა მოეპოება იქ. თაყაიშვილის („ახალი ვარიანტი წ. ნინოს ცხოვებისა...“) ტფ. 1891 წ., გვ. III—VIII, შდ. თ. ქორდანია, „Опис. рукоп. etc... I, გვ. 139 და გვ. 178—180.

<sup>3</sup> ნ. აღწერა თ. ქორდანიას აღწერილობაში, I, გვ. 185—186.

<sup>4</sup> შდ. იქ. ჯანაშვილი, ძველი ქართ. საისტორიო მწერლობა I, მეორე გამოც., ტფ. 1921 წ., გვ. 26.

იაკობ ცურტაველი

ლებში — „ჩვენი ძველი მწერლობა“ (მაგ., III გამოცემაში, გვ. 10 — 28, ქუთ. 1922 წ.) და შემდეგ პროფ. ა. შანიძის რედაქციით გამოცემულეზშიც (ა. შანიძე, აღ. ბარამიძე და ილ. აბულაძე — „ძველი ქართული ენა და ლიტერატურა“; I—IV გამოცემა, ტფ. 1934—1937 წ. წ.). უძველესი ხელნაწერიდან უცვლელად აღებული მოზრდილი ადგილი შეტანილი აქვს პროფ. ა. შანიძეს საუნივერსიტეტო კრესტომათიაშიც (პროფ. ა. შანიძე — „ძველი ქართული ენა“, I კრესტომათია, Caucasus Polyglottus, I, ტფ. 1935 წ.).

წინამდებარე გამოცემა სარგებლობს ყველა იმ ხელნაწერით, რომლებითაც მისი წინამორბედი ხელმძღვანელობდა (ისინი იმავე ლიტერებითაა აქაც წარმოდგენილი) და პლუს კიდევ:

E. — ყოფ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზ-ბის მუზეუმის (აწ სა-ქართველოს მუზეუმის H ფონდი) ხელნაწერი № 2077, რომელიც 1736 წ. არის გადაწერილი ნუსხური ხელით. იგი ერთ დროს მეფის ძეს ბაგრატს ჰკუთვნებია (მინაწერით 3რ-ზე), ბოლოს მოხვედრილა გარეშე საქმეთა სა-მინისტროს მოსკოვის მთავარ არქივში, საიდანაც გადმოუტანიათ იგი ტფილისის 1924 წ. ხელნაწერების დაბრუნებისას რუსეთის სიძველეთ-საცა-ვებიდან. ტექსტს აქ უჭირავს ფ. 60r—64v.

F. — იმავე მუზეუმის ხელნაწერი № 1672. იგიც ნუსხური ხელითაა გადაწერილი. ხელნაწერის მოსახსენებელში ნათქვამია (ნ. უკანასკნ. გვ.): „აღწერე მე ტფილისის ქალაქსა მყოფმან და მკვდრმან, მოყმემან წმიდისა სიონისამან მთავარ-დიაკონმან აპრონ... სეკდემბერს კ (20), ქორონიკონს უკ (428), ქრისტეს აქეთ ჩღმ“, რაც 1740 წ. უდრის. ჩვენი ტექსტი მო-თავსებულია: 5 რვეულის მე-3 ფურც. rec.—ნა რვეულის მე-6 ფურც. rec-მლის.

G. — ყოფ. წერა-კითხვის საზ-ბის მუზეუმის (აწ საქართ. მუზ. S ფონდი) ხელნაწერი № 3637, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელთ ჰქონია ს. გორგაძესაც. იგი მეფის გიორგის ძის თეიმურაზის მიერ არის გადაწერილი მხედრულად 1839 წლის 7 მაისს. ძველი მოთავსებუ-ლია გვ. გვ. 74r—78v.

H. — ყოფ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზ-ბის მუზეუმის (აწ საქ. მუზ. H ფონდი) ხელნაწერი № 1370, რომელიც, როგორც მინაწერიდან ჩანს (გვ. 560), ვინმე მღვდელ-მონაზვნის თეოდოსის მიერ არის გადაწე-რილი 1884 წ. სექტემბრის 8-ს.

ამრიგად, წინანდელ გამოცემასთან შედარებით, აქ კიდევ ოთხი ხელნაწე-რია გამოყენებული; სულ კი, მამასადამე, რვა<sup>1</sup>. ძირითადი მათ შორის, რომე-

<sup>1</sup> არსებობს კიდევ ერთი ნუსხა (H № 2121). იგი ნუსხური დაწერილობისაა, „ქართველთ წმიდათა მამათ ცხოვრებას“ წარმოადგენს. მის მოსახსენებელში ვკითხულობთ: „დაიწერა მეფო-ბასა მეფის თეიმურაზისსა და ძისა მისისა მეფისა ერეკლესსა... ქრისტეს აქეთ ჩღმ (=1748), ქს ულვ (=436)“. იგი ერთ დროს, თან:ხმად ბოლოს ყდაზე გაკეთებული წარწერისა, მ. ს. ა. ბ. ი. ნ. ს. ჰკუთვნებია (1874 წ.) და მის შემდეგ იგივე ხელი სწევია, რაც E ხელნაწერს. ხელნა-წერი დაშლილია ფურცლებად. მას აშიებზე მ. ს. ა. ბ. ი. ნ. ს. შენიშვნები აქვს. საფიქრებელია, რომ იგია გამოყენებული მის მიერ ბეჭდვისას („საქართ. სამთხევში“ მოთავსებული ტექსტები

ლიც საფუძვლად უდევს ამ გამოცემასაც, A ხელნაწერია. სამწუხაროდ მას ერთი რვეულის (XVI-სი) ჩავარდნის გამო ტექსტის მესამედი აკლია. დანაკლისი დანარჩენი ზემოთ აღნიშნული XVIII—XIX ს. ს-ების ხელნაწერებითაა შევსებული.

გამოცემაში ძირითადი ხელნაწერის ორთოგრაფიაა დაცული, მაგრამ იქ, სადაც მერყეობა იყო რომელიმე მოვლენის გარშემო, არჩევანი შემთხვევების ზეტი წილის მიხედვით წუდებოდა. ავარჩიეთ მაგ. „პიტიაზში“ ნაცლად „პიტიაზს“-ისა, „ვარსქენ“ ნაცლად „ვარზქენ“-ისა, თუმცა უკანასკნელი შესაძლოა მართებულნიც ყოფილიყვნენ. სამაგიეროდ ძირითადი ხელნაწერის „აფუტ“, „აფუტა“ შევცვალეთ „აფოც“-ით, რადგანაც აქ „ც“ არეული ჩანს „ტ“-ში ნუსხური დაწერილობის ნიადაგზე. რომ ეს ასეა, ამას ჯერ სხვა ხელნაწერები აჩვენებენ და მერმე სომხურიც, სადაც იგი *Ափոց* („აფოც“), *Ափოც* („აფც“), „აფოც“)-ად არის გადმოცემული<sup>1</sup>.

ძირითადი ხელნაწერი უ ხმოვნის, უ უმარცვლო ხმოვნისა და უი დიფთონგის გადმოსაცემად სათანადო ნიშნებს ყველგან თანაბრად არ ხმარობს. უ ხმოვანს ზოგან სათანადო *აჲ* გადმოსცემს და ზოგან *ჲ*; უმარცვლო უ-საც აგრეთვე ხან *აჲ* გადმოსცემს, და ხან მარტო *ჲ*, რომელიც ძველ-ქართულში ჩვეულებრივ უი დიფთონგს გადმოსცემს ხოლმე. ტენდენცია კი მაინც იქითკენაა, რომ როგორც ეს ს. გორგაძემაც აღნიშნა<sup>2</sup>, უმარცვლო უ გადმოიცეს *ჲ*-ით. ასეთი მერყეობის გამო მარცვლიანისა და უმარცვლო უნის გადმოსაცემად ყველგან „უ“ ნიშანი ვიხმარეთ, ხოლო უი დიფთონგისათვის—„ჴ“.

ე ფუძიანი საკუთარი სახელებისათვის ნათესაობით ბრუნვაში ჩვეულებრივ მოსალოდნელი იყო -ის (-ის) დაბოლოების დართვით -ის გეჟონოდა, მაგრამ ეს წესი ხშირად დარღვეულია (მაგ., „ქრისტე“სთვის იგი დარღვეულია თითქმის ყველგან): „ტ“-ს ნაცლად „ე“ გვაქვს ხოლმე. აღებული გეზის თანახმად, ჩვენ ტექსტი უცვლელად უნდა დაგვეტოვებინა, მაგრამ მიცემითს ბრუნვასთან რომ არ არეულიყო, მოსალოდნელი ორთოგრაფია დავიცავით; მაგ., „ქრისტეს“ ნაცლად (რომელიც ქარაგმით იხმარება ყველგან) „ქრისტს“ ვიხმარეთ, როგორც ეს არის ხოლმე კიდევაც ძველი ქართულის სხვა ძეგლებში.

ყოველი შესწორებული ადგილი (იქნება შესწორება ორთოგრაფიული თუ არაორთოგრაფიული ხასიათისა), ისე როგორც ქარაგმების გახსნაც კი ძირით

აქედან უნდა იყოს აღებული). ჩე. ტექსტი მოთავსებულია: X რკ. 7r (II სვეტი)—XI რკ. 7r (I სვ.). გამოცემა და ხელნაწერს შორის საგანგებო განსხვავება არა ჩანს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგერთ ორთოგრ. შესწორებას, უხებლიე დაკლებას, ჩართულ ახსნითს სიტყვებს და გამოცემის უკანასკნელ აბზაცს, სადაც საუბარია ვახტანგის შურისძიებასა და შუშანიკის დაკრძალვაზე ჯერ ცურტაქსა და მერმე ტფილისში. რაც სულ სხვა წყაროდან უნდა ჰქონდეს აღებული გამოცემელს, მის დაუსახელებლად.

<sup>1</sup> ბერძნულთან მსგავსებით, რაც აქ არაფერ შუაშია, ანტონ I-ს „აფოტ“ დაწერილობა მიაჩნია მართებულად, რადგანაც „აფოტ“ ქართული სახელოდებდა „ფოტ“-ისაო ამას იპოვობს შემდეგ ი. ბატონიშვილი „კალმასობაში“ და მლ. იოსელიანი („Жизнеописание святых прославляемых прав. груз. церквю... Тиф. 1850, გვ. 61).

<sup>2</sup> ს. გორგაძე, იაკობ ხუცესი, — წამებაა წმ. შუშანიკის, გვ. 40 (ქუთაისი 1917).

თადი ტექსტისა, ყოველთვის არის აღნიშნული ვარიანტებში. ორთოგრაფიის შესწორებისა და ქარაგმების გახსნის ნაკვალავის აღნუსხვას სხვა ხელნაწერებთან ერთად ავარიდეთ, რადგანაც ისინი XVIII და XIX საუკუნისანი არიან და ძალზე დიდ ნაირ-ნაირობასა და საკრეულეს ამჟღავნებენ.

შუშანიკის მარტილობის მოკლე წიგნიც არსებობს ქართულად, როგორც ეს საკმაო ხანია, რაც ცნობილია. იგი დაკულია ათონის მრავალთავის ერთ-ერთ ხელნაწერში (№ 57). მისი არსებობის შესახებ პირველი ვრცელი ცნობა, რომელიც შეიცავს ძველის დახასიათებას და არკვევს მისი მომდინარეობის საკითხს, აკად. ნ. მარმა გამოაქვეყნა<sup>1</sup>. უკანასკნელს ძველი გამოსაცემადაც კი დაემზადებინა<sup>2</sup>, მაგრამ არ გამოსულა. მარტილობის წიგნი პროფ. ალ. ხახანაშვილმა გამოსცა ათონიდან მიღებული გადმონაწერი ნუსხის მიხედვით<sup>3</sup>. გამოცემას შეუდოებები აღმოაჩნდა, როგორც ეს შენიშნულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. ჩვენი გამოცემა ამ ძველისა ათონის ხსენებული მრავალთავის ფოტო-პირიდანაა აღებული (249r—250v).

\*

სომხური ვრცელი მარტილობის წიგნი 1853 წ. არის გამოცემული მოკლესთან ერთად „სოფერქ ჰაქაკანქ“-ის (*Սոփերք Հայկականք*) IX წიგნში<sup>4</sup>. ერთიცა და მეორეც, როგორც ეს 1924 წ. გამოქვეყნებულს ვენეტიკელების ხელნ. წერტა აღწერილობის<sup>5</sup> შენიშვნებიდან ჩანს, თითო ხელნაწერის მიხედვითაა გამომზეურებული. ვრცელი ხელნაწერის დაწერის დრო აღნიშნული არა აქვს აღწერილობის გამომცემელს. ის კი არა, ადგილსამყოფელოც არ იცის სწორად ამ ხელნაწერისა, რომლის ნუსხა აულია ცნობილ ლ. ალიშანს და ვენეტიკის ხელნაწერების ბიბლიოთეკისათვის გადაუცია 1861—65 წ. (*Ճառնատիր, 1Բ*). მართალია, ასეთად პარიზის ნაც. ბიბლიოთეკას ასახლებს აღწერილობის შემდგენელი ბ. სარგსიანი, მაგრამ ამ წიგნთსაცავის სომხური კოლექციის აღწერილობაში, რომელიც უკანასკნელ დროს Macler-ის მიერაა გამოქვეყნებული<sup>6</sup>, შუშანიკის წამება არსადა ჩანს. რაც შეეხება სომხური მოკლე წამების წიგნს, იგი უთარილო ნუსხური (*բլուրդիր*) ხელნაწერიდან არის გადაწერილი ნ. სარ-

<sup>1</sup> Н. Марр, Из поездки на Афон (Жур. Мин. Нар. Прос. 1899 г. № 3), гл. 18.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართ. საისტორიო მწერლობა I, 2 გამოც., 1921 წ., გვ. 19.

<sup>3</sup> А. Хаканов, Материалы по груз. агиологии по рукоп. X в. (Труды по востоковед., изд. Лазар. Инст., вып. XXXI, Москва 1910, гл. 49—51).

<sup>4</sup> Սոփերք Հայկականք — Բ<sup>4</sup> Վկայար. սրբոյն Մուշանկան... ვრცელი: 10—47; მოკლე: 49—55, *Վնեստիք* 1853 (ვრცელის შემოკლებული ტექსტი მოთავსებული აქვს ლ. ალიშანს თავის: *Վճայապատմութիւն*: *Պատմիք և պատմութիւնք Հայոց, Բ. Պատմութիւնք Հայոց*, გვ. 183—186, *Վնեստիք*, 1901).

<sup>5</sup> Մարցիոյակ հայերէն ձեռագրաց մատենագրարանի Մխիթարեանց ի Վնեստիկէ Լատ. Բ. *Քատիզ Սարգսիանի*, V, nise 1924.

<sup>6</sup> F. Macler, Catalogue des Manuscrits arméniens et géorgiens de la Bibliothèque nationale, Paris, MDCCCXVIII.

გ ს ი ა ნ ი ს მიერ ქ. კარინს (არზრუმს) 1846—52 წლ. (*ბაილნატიქი, II*) და გამოქვეყნებულია, როგორც აღნიშნეთ, მარტილობის ვრცელ წიგნთან ერთად.

მარტილობის ვრცელი წიგნის ჩვენი გამოცემა ვენეტის გამოქვეყნებულს გარდა კიდევ ეჩმიაძინის ერთ-ერთი პრაველთავეის (=ბაილნატიქი-ის), № 941 ხელნაწერის ეჭყარება, რომელიც 1689 წელსაა გადაწერილი. უკანასკნელი პირველთან მიმართებით უმეტეს შემთხვევაში დიდ სხვაობას არ გვაწვდის, მაგრამ არის მაინც ადგილები, რომლებიც ან სხვანაირადაა მასში გადმოცემული, ან აკლია, ანდა უფრო გავრცობილია. უკანასკნელი უფრო XIV-სა და მომდევნო თავებში შეინიშნება. სხვა მხრივ კი ორივე ეს ხელნაწერი ერთისა და იმავე რედაქციისა ჩანს. ამ ხელნაწერის თავისებურებათაგან საგანგებოდ აღსანიშნავია ის, რომ მას არ გააჩნია ერთი ისეთი მომენტი, რომელიც დაბეჭდილს მოეპოვება. ეს ის ადგილია, სადაც მარტილობის ვრცელი წიგნი ვარსკენის გამაზღვანების ერთ-ერთ მიზეზად თავისი ქალის ცოლად შერთვის განზრახვას ასახელებს<sup>1</sup>. შესაძლოა, ეს ადგილი ვადამწერმა გამოავდო თხრობიდან, რადგანაც ეს მომენტი ისეა მოხსენებული მასში, რომ შემდეგ მთელი მარტილობის გასწვრივ არსად არაფერი ისმის ამ განზრახვის შესრულებისა თუ შეუსრულებლობის შესახებ. ეს მომენტი რომ სხვა რედაქციასაც ჰქონია, ამას მარტილობის მოკლე წიგნიც მოწმობს. მოკლედ ამ მოვლენის შესახებ აქაც არის ნათქვამი. მარტილობის მოკლე წიგნი, წინააღმდეგ მისი გამოცემლის აზრისა, ჩვენი დაკვირვების თანახმად, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ (ნ. გვ. 028-029), ვრცელის შემოკლებას წარმოადგენს მხოლოდ ერთ ნაწილში (I თავი), ხოლო ვრცელიდან გამოღებულსა თუ გამოკრებას: მეორე ნაწილში (II—V თ.). ამრიგად, თუ ეს ადგილი მთელის ნამსხვრევშია, უცლობელია, რომ ვრცელშიც იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, განსხვავებანი ვრცელი მარტილობის ეჩმიაძინური ნუსხისა, რომლებიც გამოცემულთან მიმართებით გაგაჩნია, გარდა ორთოგრაფიული შემთხვევებისა, ყველანი ან ტექსტში მოხვდნენ, ანდა ვარიანტებში არიან გატანილი.

მარტილობის მოკლე წიგნს უცვლელად ვიღებთ გამოცემულიდან. მის სხვა ნუსხას ჩვენ ერევენცა და ეჩმიაძინის პრაველთავეებში (=ბაილნატიქი), სადაც იგი იყო საჯულბელი, ვერსად წაეაწყდით. მის ერთად-ერთ შემონახულ ტექსტს კი ქართლის გვერდით ვათავსებთ. ქართული, როგორც უკვე შენიშნულია<sup>2</sup>, თარგმანია სომხურისა. იხლოდ არაა სწორი, თითქოს იგი გამოცემულ სომხურ ტექსტს ჰფარავდევს, მისი სიტყვა-სიტყვითი თარგმანი იყოს<sup>3</sup>. იგი მასთან ახლო მდგომია, მაგრამ მისგან რამდენამდე განსხვავებულიცაა. დიდი მაინც არაა ეს განსხვავება და ამიტომაც ვათავსებთ მათ ურთიერთის გვერდით.

სომხური მოკლე მარტილობის ტექსტი სასწავლო ქრესტომათიაში აქვს შეტანილი პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს: „ძველი სომხური ქრესტომათია ლექსიკონითურთ“, ნაკვეთი I—ქრესტომათია (ტფ. უნივერსიტეტის გამოცემა, 1920 წ.), გვ. 100—103.

<sup>1</sup> ნ. ა. სომხ. III 43—44 და მისი შენიშვნა.

<sup>2</sup> Н. М а р р, Из поездки на Афон (ЖМНП. 1899 г. № 3), გვ. 18.

<sup>3</sup> ნ. იგივე ნაშრომი და აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის „ძველი ქართ. საისტორიო მწეოლობა“ I, 2 გამოც. გვ. 20.

როგორც ქართული, ისე სომხური მარტვილობის წიგნები თავებდაა გვაქვს განკვეთილი. ქართული ვრცელი წიგნის დაყოფა ს. გორგაძის გამოცემის თანხმდობითა, ხოლო სომხურისა მასთანაა შეფარდებულს, რაც მცირეოდენი განსხვავების გარეშე ისეთივეა, როგორც P. Peeters-ის ლათინური თარგმანისა (Anal. Bollandiana, LIII, fasc. III, გვ. 8—24). მოკლე წამების თავებდა განკვეთისას ვრცელთან მიმართებით ვხელმძღვანელობდით და იგი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში უკანასკნელი თავის ორად განკვეთას, თითქმის ისეთივე დარჩა, როგორც P. Peeters-ის ლათინურ თარგმანშია (Anal. Bol., LIII, fasc. III, გვ. 40—45).

\* \*

ძველ მარტვილობათა წიგნებს დროთა ვითარებაში, უფრო კი მოგვიანო საშუალო საუკუნეებში, საეკლესიო მოთხოვნილებათა მიხედვით ამცირებდნენ, ე. წ. სვინაქსარულ რადაქციებს აკეთებდნენ. ქართულში შუშანიკის მარტვილობის ასეთ რედაქციას მხოლოდ „თთუნები“ წავაწყდით (ყოფ. საეკლესიო მუზეუმის, — აწ საქართ. მუზეუმის A ფონდის ხელნაწერი № 425, გადაწერილი 1718 წ.¹). სომხურისათვის იგი, ე. ი. სვინაქსარული ცხოვრება, ორი რედაქციითაა ცნობილი; ორივე გამოცემულიცაა *მაკამალოცე*-ებში. პირველი (ნ. დამატება 1) ე. წ. წერენციის სვინაქსარში², რომელსაც ხშირად ვხვდებით ძველ ხელნაწერ ცალეებში, და მეორე (ნ. დამატ. 2) ტერ-ისრაელი ს ა შ ი³. მათ გარდა არსებობს კიდევ ერთი მათზე უფრო მოკლე სვინაქსარული ცხოვრებაც (ნ. დამატ. 3), რომელიც ერთ-ერთ მარტიროლოგიურ ხელნაწერ კრებულში მივკვლიეთ ერევანს (ერევნის მუზეუმის ხელნაწერი № 724, რომელიც 1296 წლისად ითვლება, თანახმად მუზეუმის მოკლე აღწერილობისა). იგი რაიმე ახალს ხსენებულს სვინაქსარულ რედაქციებთან მიმართებით არ იძლევა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მასაც მათთან ერთად, ისე როგორც ქართულსაც (ნ. დამატ. 5) დამატების სახით ვურთავთ მარტვილობის წიგნებს (ნ. დამატება გვ. 57—64). იქვე დავურთეთ აგრეთვე პირველი სვინაქსარიდან აღებული ერთი საკითხავიც (ნ. დამატ. 4), რომელიც წმ. ნინოს ჯვარისათვის არის დადებული მარტის 30-თვის და სადაც მოკლედ მოთხრობილია შუშანიკისა და ვარსკენის ამბები⁴. სომხურის არმცოდნე მკითხველისათვისაც რომ ვასაგები ყოფილიყო სომხური მასალა, იგი ისევე ვთარგმნეთ, როგორც სომხური ვრცელი წამების წიგნი და უკანასკნელისამებრ დედნის გვერდით მოვათავსეთ.

მარტვილობათა წიგნებს სხვანაირი ბედიც ეწიათ.

¹ თ. ეორდანი, Описание рукоп. Церковного Музея .. II т. გვ. 12—14, ტფ. 1902 წ.

² *მაკამალოცე... ზე შილხე ქიქტიზი ჩქემქ (=1708), ზე მაკამალოცე ზიითანჯილი-ჟიქი*. ეს ვაპოვება შევაჯერეთ ძველ ხელნაწერ სვინაქსარებს, რომელთა მიხედვით უმნიშვნელო შესწორება შევიტანეთ ჩვენს გამოცემაში.

³ *მაკამალოცე ლო ღარქი ზნარხიჯიჯი იქჩნაქი კაკამალოცე სტე ზორიქტი-ზიითანჯილიქი*, 1831.

⁴ ესეც ზოგჯერ ძველ ხელნაწერ სვინაქსარებს შევუდარეთ და ცოტაოდენი შესწორება მათ მიხედვით აქაც შევიტანეთ, რომელსაც სადმე ვარიანტად არ აღვნიშნავთ.

ქართველ მარტიელთა თხზულებანი დამატებითი ცნობებით შეავსო, სათანადო საგალობლებით შეამკო და ჩვეული მაღალფარდოვანი ენით გამართა XVIII ს-ში ანტონ I. მას მან „მარტირიკა“ უწოდა (ნ. საქართ. მუზ. S ფონდი № 1272). „მარტირიკაში“ მოპყვა შუშანიკის მარტიელობაც: „შესხმა და მოთხრობა ლუაწლთა წმიდისა დიდისა მოწამისა რანთა დედოფლისა სუსანნასა ზედწოდებით შუშანიკისა...“. დამატებითი ცნობები, როგორც თვითონ ანტონი აღნიშნავს, სომხური წყაროებიდან აქვს აღებული: „უწყებულ ვართ ისტორიკოსთაგან სომეხთასა და სათთუქოსთაგან მეტაჭრასისა მათისა, თქმულისათვს წმიდისა სუსანნასა“. ეს წყაროები *შაჰასაღღე*-ამდის მიდის ყველა, რომელიც მიხ მიერ დასახელებული „სათთუეოა მეტაჭრასი“ უნდა იყოს. მან „ქართლის ცხოვრების“ ცნობებიც არ დააკლო თავის ნაღვაწს. ძირითადი მისთვის მაინც იაკობის სახელით ცნობილი წამების წიგნია. მარტიელობის მოკლე წიგნს იგი არც ქართულად და არც სომხურად არ იცნობს, თორემ მისგანაც გამოიღებდა რამეს. დიდი რამ მაინცადამაინც შუშანიკის მარტიელობისათვის (იაკობის ნაწარმოებისათვის) მას არ შეუძენია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ინტერესს მოკლებული არაა იგი, თუნდ იმ მხრით, თუ როგორ ესმის მას წამების ესა-თუ-ის ადგილი, ესა-თუ-ის სიტყვა. ამასთან ისიც აღსანიშნავია, რომ წამების წიგნის ავტორად იაკობ ხუცესი ყველაზე ადრე მან მიიჩნია. „იტყვს ხუცესი ვინმე აღმწერელი ლუაწლთა წმიდისათა-ო“ არა ერთგზის აღნიშნავს იგი.

ანტონის ნახელავი მაღალი „შტილისა“ და ძნელად გასაგები დარჩა. იგი გამარტივებას საჭიროებდა. მართლაც, მას დაეყრდნო, გაამარტივა და თავის ენციკლოპედიურ ნაშრომში — „კალმასობაში“ — შეიტანა იოანე ბატონიშვილი-მა (ნ. საქართ. მუზ. ხელნაწერთა H ფონდი № 2170, 279v: „წამება წმიდისა დედოფლისა სუსანასი, რომელსა უწოდდენ შუშანიკს“. იოანე ძირითადად თითქმის ყველგან განუხრებლად მისდევს თავის ნიმუშს<sup>1</sup>, ზოგან სიტყვა-სიტყვითაც კი. მისი საგალობლითვე ამკობს თავის ნაშრომსაც. იოანე ბატონიშვილი ასე მოიქცა არა მარტო შუშანიკის მარტიელობისადმი, არამედ სხვა ქართულ წამება-ცხოვრებათა მიმართაც. აქ ყველგან მისთვის ანტონ I-ია გამოსავალი; მაგრამ იქ, სადაც ამა-თუ-იმ მარტიელის შესასებ „ქართლის ცხოვრებასთან“<sup>2</sup> დაკავშირებით ლაპარაკობს, იქ იგი უკანასკნელს ეყრდნობა. ხშირად იოანეს ნამუშავეებს აგიოგრაფიის დარგში „კალმასობის“ გარეთ ცალ-ცალკე და ზოგჯერ კრებულის სახითაც კი ვხვდებით ხელნაწერებში (მაგ. ყოფ. წერა-კითხვის სახ. ბის მუზეუმისა, აწ საქ. მუზ. S ფონდის, № 3687). ასეთი სახით ისინი კაცს, ს. გორგაძისებრ, მართლაც „პერიფრაზი“ ეგონება. ჩვენც ასე გვეგონა ერთხანს, სანამ მას წყაროს მივაკვლევდი<sup>3</sup>, მაგრამ იგი იაკობის ნაწარმოების უშუა-

<sup>1</sup> ჰყვეს მხოლოდ ისეთ ადგილებს, რომლებიც უშუალოდ თხრობას არ ეხება და თვით ანტონის ნამკერძეულიყუა.

<sup>2</sup> იოანე ბატონიშვილმა თავის ენციკლოპ. ნაშრომში „ქართლის ცხოვრებაც“ კი გადმოსცა. შუშანიკისათვის ნ. საქ. მუზ. ხელნაწ. H ფ. № 2134, ფ. 265r.

<sup>3</sup> მარტიელობათა ადგილი „კალმასობაში“ მიმოითა დოქ. ტრ. რუხაძემ. პირველ გაცნობისთანავე შუშანიკის შესახებ თხრობა ჩუენი „პერიფრაზის“ თანმხედლომ აღმოჩნდა, რითაც გაირკვა „პერიფრაზის“ ავტორის ვინაობა. ესარკებლბო შემთხვევით და აზრ. რუხაძეს თეაზიანად მოწოდებული ცნობისათვის მადლობას ეუცხადებ.

ლო „პერიფრაზად“ კი არ მივიჩნევთ, არამედ ანტონის გარდაკანმული წამებისა. მიუხედავად „პერიფრაზობისა“ ეს ნაშრომიც ინტერესს მოკლებული არაა ისევე, როგორც ანტონისა, სხვას რომ თავი დაეანებოთ, თუნდ ზოგიერთი ადგილისა და სიტყვების გაგების მხრით. ამიტომ მათ სათანადო ანგარიშს ვუწევთ და ვიყენებთ კიდევაც აქ, ბოლოს დართულ ლექსიკონში<sup>1</sup>.

ქართულად მოიპოება კიდევ ერთი „მდაბიურად“ გამოთქმული მარტვილობა-ცხოვრებათა წიგნი. იგი თარგმანია, სომხურიდანაა შესრულებული. ავტორი ვენეტიკის მხითარაანთი ლუკა ინკიკიანია, მთარგმნელი კი იქაურივე P. Kharistcharian-ია<sup>2</sup>. იგი იმ ქართველთა საკითხავ წიგნად უნდა იყოს შედგენილი, რომლებიც სომეხ კათოლიკეთა აღსარებისანი იყვნენ (ისევე როგორც იმ სომეხთათვის, რომლებიც ამავე აღსარებისანი, მაგრამ სომხური ენისა და მწიგნობრობის უცოდინარი იყვნენ). მოიპოება იგი ხელნაწერის სახითაც (საქართ. მუხ. ხელნაწ. S ფონდი № 2766) და ბექტურადაც (ლუკა ინკიკიანი, წმიდანების ცხოვრება, ვენეტიკი 1859 წ.).

მეტწილად<sup>3</sup> საუკუნის დამდეგიდან სომხურში მარტვილობათა ძეგლების საძოვლარეზაციოდ და კერძოდ სომეხ წმიდათა თავგადასავლის გასაცნობად შედგა ისეთი ვრცელი კრებული, როგორცაა *«Հրահատար վարք և վկայարանութիւն սրբոց»* („სრული ცხოვრებანი და წამებანი წმიდათა“). მკრტაქ ავგერიანმა თავი მოუყარა მასში როგორც სომხურ მრავალთავეში შემონახულ ცხოვრება-წამებებს, ისე მის გარეთ არსებულთაც, შეაჯერა ისინი ბერძნულსა და ლათინურს და ვრცელი შენიშვნებითურთ გაჰოსცა ვენეტიკს მე-19-ე ს-ის დამდეგს. კრებული გამოიცა როგორც ერთ უზარმაზარ ტომად, ისე საშუალო ფორმატის 12 წიგნადაც. შუშანიკი შეტანილია IV წიგნში (გვ. 63—67)<sup>4</sup>. ძვირფასია აქ ის უხვი ცნობები და კომენტარიები, რომელთაც გამომცემელი გვაწვდის ამა-თუ იმ მოღვაწის შესახებ, როგორც აგრეთვე ამ ლეაწლის აღმბეჭდელ ძეგლთა მიმართაც.

ზოგიერთი წმიდანის მდაბიურად გამოთქმული ლეაწლი გამოცა 1832 წ. ლუკა ინკიკიანმა, ერთ კრებულად (*«Հ. Ի ն ճ ի ճ հ ա ն — Վ ար ք Ս ր ր օ ց, Թ ա ղ կ ա ճ ա ղ...»* ვენეტიკი 1832), რომელიც იქვე ითარგმნა და დაიბეჭდა ქართულად, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ.

შუშანიკის მოკლე თავგადასავალს ვხედებით აგრეთვე შინას ბეშქეკიანის საცნობარო ხასიათის ნაშრომშიაც: *«ՀՀամարու Նկարագիր վարուց կրանիքի արանց, յօրինիսլ ի պէտս մանկանց ի հ. Միշաս վարդապ. Բ ժ շ ի հ ա ն...»* *Վ ի ն ն ս ի խ ի* 1850, გვ. 663), რომელიც *Յայտնակարգ*-იდან იღებს საჭირო ცნობებს, როგორც ეს ჩანს მასთან ახლო გაცნობით.

<sup>1</sup> ლექსიკონში (ნ. გვ 90—99) დამოწმებული ანტონი და იოანე ბატონი-შვილი ხსენებულ მათ ნაშრომთ ჰელენსმობ, ბოლო: საბა, სულხან-საბა ორბელიანის „ქართულ ლექსიკონ“.

<sup>2</sup> *Արեն Հագիქიან — Նոր մատնագիրութիւն*, გვ. 899—900, 1903 წ.; P. Kharistcharian-ის პეტრე ხარისჭარაშვილია, მაგრამ არა მთარგმნელი, არამედ როდოქტორი ზ ჰიკი-ნადის ცნობით (ნ. „ქართ. კათოლიკეთა სასულიერო მოღვაწენი“, ტფ. 1905 წ., გვ. 18—59)

<sup>3</sup> *Հրահատար վարք և վկայարանութիւն սրբոց*, წიგნი IV, *Վ ի ն ն ս ի խ* 1813.

ახალ სომხურ ლიტერატურაში შუშანიკის მარტილობა ისტორიული დრამის სუფეტადაც კი იქცა. სომხური მასალის მიხედვით იაკობ ქარინიანცმა (ენშიაძინის მუზეუმის ხელნაწერების ერთადერთი აღწერილობის გამომცემელმა) 1860 წ. სამ-მოქმედებიანი ტრაგედია დაწერა (*Շուշանիկ, դուստր յեხին Վարդանայ Հայոց սպարապետի, որբերգութիւն աղգային պատմութենից... դირბ მակլովայ Կարինիანց, 1860 წ., ტფილისი*). იგი დიდი ვატაცებით იღვმებოდა სომხური თეატრის სცენაზე ტფილისსა და სხვაგან, როგორც ამას ბოლო დროის მემუარული სომხ. ნაწერები გვამცნობენ.

შუშანიკის წამება ქართულიდან ნათარგმნია რუსულად ქართული ვრცელი რედაქციის გამომცემლისაგან<sup>1</sup>. უცხო ენაზე კი როგორც ქართული, ისე სომხური მარტილობები პირველად ბელგიელმა ორიენტალისტმა P. Peeters-მა თარგმნა და ვრცელ გამოკვლევასთან ერთად ბოლო დროს გამოაქვეყნა კიდევაც: *Sainte Sousanik, Martyre en Arménie-Géorgie*; I ნაწილი: სომხურისა და ქართული ტექსტების თარგმანები ლათინურად (გვ. 5—48) და II ნაწილი: *Étude critique* („კრიტიკული ეტუდი“, გვ. 245—307, *Analecta Bollandiana*, t. LIII, fasc. III და IV, Bruxelles, 1935 წ.).

\* \* \*

სპეციალური ნარკვევი ან განხილვა შუშანიკის მარტილობისა როგორც სომხურს, ისე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში იშვიათია, მით უმეტეს ქართულ-სომხური მასალის ურთიერთთან დაპირისპირებისა ან გამოყენების გზით. ერთადერთი ამ მხრივ მხოლოდ პროფ. ივ. ჯაფარიშვილის განხილვაა, რომელიც მოთავსებულია მის წიგნში: „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი I: ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, V—XVIII ს.ს.“ (მეორე შევსებული გამოცემა, ტფ. 1921 წ.), — „იაკობ ხუცესი“ (გვ. 13—26). პირველად აქ არის მოცემული პასუხი იმაზე, თუ რომელი წამებათაგანია პირვანდელი და რა ლირებულებისაა ისტორიისათვის თვითეული მათგანი.

„ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ (წიგნი I: საეკლესიო მწერლობა, ტფ. 1923 წ.) პროფ. კ. კეკელიძეს მოკლედ აქვს განხილული (გვ. 119—124) ქართული ვრცელი მარტილობა, როგორც ლიტერატურული ძეგლი და საგანგებოდ აქვს დადგენილი შუშანიკის აღსასრულის ზედმიწევნითი თარიღი და დაახლოებით განსაზღვრული აქვს შრომის დაწერის დროც.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში შუშანიკის მარტილობის შესახები ესა-თუ-ის კითხვა სხვებსაც აქვთ აღძრული და რამდენადმე გადაჭრილიც. ანტონ I-დან მოკიდებული იგი დღემდის ჩვენი ძველი კულტურის ისტორიის ამათუ-იმ საკითხის განხილვის დროს გამოყენებულია ხშირად და სწორედ ასეთს გაკვირვების მომენტში ჩანს ხოლმე ზოგჯერ ამა თუ იმ მკვლევრის შეხედულება ამ ძეგლის შესახებ. მათგან უფრო საგულისხმოებს ძეგლის სათანადო მხარეების შეზღუდვისას მოვიყვანთ, აქ მათ აღწუსხვას არ გამოეუღლებით.

<sup>1</sup> Т. Сабинин — „Полное жизнеоп. святых груз. церкви“, т I, СПб 1871 г., стр. 141—152.

სომხურ ლიტერატურაში აგრეთვე ამ ძეგლს უმეტესად ცალკეულ შემთხვევებში ეხებიან. სპეციალური მისი განხილვა სომხურად არ არსებობს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ლ. ალიშანიის *მოკლედ ჩაკჩხახხაჲ ჯაკოჲ*-ს (ნაკვ. I, ვენეტიკი 1869). ერთი თავი აქ მიძღვნილი აქვს შუშანიკს (ეს შრომა სამეცნიერო-პოპულარულია. დაწერილია ცნობისმოყვარე სომეხი ახალთაობისათვის. ამ ახალთაობის ერთ-ერთ წარმომადგენელს ესაუბრება ავტორი და აცნობს ამათუ-იმ მოვლენას სომხეთის წარსულიდან). ამ თავში მოთხრობილია შუშანიკის ვინაობა და თავგადასავალი, რომლის გადმოცემისას ავტორი ეხება ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ამა-თუ-იმ საგულისხმო მომენტს.

შუშანიკის მარტილობას შედარებით უფრო მრავალმხრივ მ. ორმანიანი იხილავს თავის *Ազգաստիւմ*-ში (კოსტანტინეპოლი 1912 წ., § 303 და § 304), იგიც ოდენ სომხური წყაროებით. ავტორი მოაყარა ყურადღებას თარიღების გარკვევას უფრო აქცევს, ვიდრე ძეგლის რაობას.

ბოლოს აღსანიშნავია აგრეთვე პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ სომხურად გამოქვეყნებული ნაშრომიც: «*Վրայ սոցիոլոგիը Հայաստանի և հայերի մասին...*», *Հատ. II (Յերևան 1934)*. სხვა ქართულ საისტორიო წყაროებიდან გამოკრებილ ადგილებთან ერთად აქ მოცემულია თარგმანის სახით მცირეოდენი ნაწყვეტი (ნ. გვ. 11.—12) იაკობის ნაწარმოებიდანაც, რომლებიც რამდენადმე სომხეთსა და სომხებს შეეხება. თარგმანს წინ უძღვის მთარგმნელის (პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის) წინასიტყვაობა, რომელშიც მოკლედ შეჯამებულია უმთავრესად ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებანი იაკობის ნაწარმოებზე გარშემო (ნ. გვ. 7—10).

უცხო ენაზე პირველი სერიოზული ნარკვევი წამებათა წიგნების თარგმანებთან ერთად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უკანასკნელ დროს (1935 წ.) P. Peeters-მა მოკვცა. ბელგიელი დიდად ცნობილი ორიენტალისტი კარგად იცნობს სომხურსა და ქართულ წყაროებს. უფრო სომხურს, ვინემ ქართულს, როგორც ეს მისი ნაშრომიდან ჩანს. ქართული წყაროები მას ამომწურავად არ მოეპოება. ისეთი ძირითადი ნაშრომი, როგორიცაა პროფ. ივ. ჯავახიშვილის ზემორე დასახელებული გამოკვლევა, მას გამოყენებული არა აქვს. გამოყენებული რომ ჭკონოდა, მიხთვის ზოგიერთი საკითხი უთუოდ ანგარაშვასაწვეი გახდებოდა და აღბათ სხვანაირ გაშუქებასაც მიიღებდა.

P. Peeters-ზე ცოტა ადრე ამ ძეგლის მოკლე გარჩევა ევროპელთაგან კიდევ იოსებ კარსტმა მოკვცა ნაშრომში: «*Littérature géorgienne chrétienne*» 1934; გვ. 74—76. იგი საგანგებოდ ახალს არას გვაწვდის, მოკლედ აჯამებს ქართულსა და სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ შეხედულებებს.

## II. შუშანიის მარტვილობის გამომხატველი ძეგლის ქართულსა და სომხურ მხარლობაში

შუშანიის მარტვილობის გამომხატველებს საისტორიო ხასიათის ძველ ქართულ მწერლობაში აღრიდებენ ვპოულობთ. უძველეს მათგანს — „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მარტიანის (IX ს.), — როგორც ეს მას საზოგადოდ ახასიათებს, მოკლედ, ორიოდ სიტყვით აქვს აღნიშნული ფაქტი, მისთვის ჩვეული ქრონოლოგიური ხასიათის შეცდომებით<sup>1</sup>. იგი გადმოსცემს:

„და მისა შემდგომად მეფობდა ბაქურ და კათალიკოზი იყო მაკარი და მისა ხეჲ ვარსკენ პიტიახში იყო და შუშანიკ იწამა ცურტავს“ (მატებრდის ტექსტით, ნ. Е. Такашвили — Описание рукописей общества распространения грамотности среди груз. населения, т. II, вып. 4, გვ. 724).

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ წიგნის გარდა შუშანიის შესახებ ცნობას გვაწვდის „ცხოვრებაჲ ვახტანგ გურგასანლისი“, რომლის ავტორიც (XI ს.) იმავე მეფისა და კათალიკოსის საკეთამყრობელობის დროს სდებს მის წამებას. იგი გადმოგვცემს:

„ამასეჲ ეამსა მეფობდა სპარსეთს [მეფე], რომელსა ეუქუა ურპიზდ. და მასეჲ ეამსა იყო სომხითს კაცი ერთი შვილი ძთეართა, სახელით ვარსკენ<sup>2</sup> და ესუა მას ცოლი ძთეართა შვილი, რომელსა ერქუა შუშანიკ, ასული ვარდანისი. ხოლო აჲს ვარსკენს<sup>3</sup> ეუფლა ეშმაკ<sup>4</sup> და განიზრახა მიქცევა ცეცხლის მსახურებად. წარვიდა წინაშე სპარსთა მეფისა, დაუტევა სჯული ქრისტიანთა და იქმნა ცეცხლის მსახურ. ხოლო სპარსთა მქუემან წარმოგზავნა იგი ნიჭითა დიდითა ერისთავად რანისა. ვითარ მოვიდა და ცნა ცოლმან მისმან შუშანიკ ქრმისა მისცან დატეგება[ჲ] სჯული[სა] ქრისტიან[სა], არღარა ერზდა იგი ცოლად და დაივიწყა სიყუარული ქრმისა თვისისა და ყოლითა გულითა შეუღგა იგი ქრისტესა აღსრულებად მცნებათა მისთა. მაშინ ვარსკენ<sup>5</sup> შეუღგა მრავალ ღონედ. პირველ ლიქინითა და ვედრებითა და ნიჭის მიცემითა, შემდგომად შეავდო სტანჯუელსა დიდსა, რომლისა სიგრიძისაგან არა დაეწერენ ღუაწლინი წმიდისა შუშანიკისი. და მოკლა იგი კმარმან მისმან ვარსკენ<sup>6</sup> ერისთავმან.

„მაშინ ბაქურ მეფემან ქართველთამან მოუწოდა და შემოკრიბნა ლაშქარნი ფარულად და წარემართა ვარსკენს<sup>7</sup> ხედა პარვით, რამეთუ ვარსკენ<sup>8</sup> ევლსა გარე დგა კიდესა მტკურისასა, სადა შეერთეს მდინარე ანკერტისა (ვახტანგის რედაქციით: ანკერტისა) მტკუარსა. დაესა და შეიპყრა ვარსკენ<sup>9</sup>. და დაჭრეს წუზილად ასთნი მისნი, დამოჭიდეს ხესა. ხოლო გუამი წმიდისა შუშანიკისი<sup>10</sup> წარმოიღეს დიდითა პატივითა და დადეს ცოტავს<sup>11</sup>. ამან ბაქურ მეფემან წარგზავნა მოციქულნი წინაშე სპარსთა მეფისა, აუწყა ესე ყოველი და ითხოვა მისგან შენდობა[ჲ]. მაშინ მეფემან განიზრახა გონებასა თვისსა და თქუა: აუკეთეთ შეჭრისსდეთ ქართველთა, განერთნენ იგინი ბერძენთა, შენდობა აღირჩია. გამოგზავნა მოციქული ბაქურისსა პასუ-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, „ძვ. ქართ. საისტ. მწერლობა“, I, 2 გამოც. 1921 წ., გვ. 8—9; 85—91.

<sup>2</sup> ხელნაწერში: ვაქსენ. <sup>3</sup> იქვე: ვაქსენს. <sup>4</sup> ქრისტესი. <sup>5</sup> ვაქსენ. <sup>6</sup> ვაქსენს. <sup>7</sup> შოშანიისი. <sup>8</sup> ტორტავს.

ხითა და ყოველი გმობა და ბრალობა ვარსკენ<sup>1</sup> ზოკლულისა ზბრძანა და ამართლა ბაქურ სოკუდრისა მისსა. და წარგზავნა რანს და ზოვკანს სხუა[ა] ერისთავი, რომელსა ერკუა დარულ, და ზბრძანა, რა[ა]თა კთილად ზეგობრობდეს ქართველთს“ (ქართლის ცხოვრება<sup>2</sup> მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 188—189)<sup>3</sup>.

„ქართლის ცხ-ბა“ როგორც ჩანს წამების დროის შესახებ წინადასახელებულ წყაროს ემყარება.

წმინდა საისტორიო ხასიათის ნაშრომს გარდა შუშანიკის შესახები ამბები საპოლიტიკო ხასიათის ნაწარმოებშიაც არის მოხვედრილი. ვგულისხმობთ ა რ ს ე ნ ს ა ფ ა რ ე ლ ი ს (855—882) ნაშრომს: „განყოფინათვს ქართლისა და სომხითისა“. ამ ტექსტის თ. ყორღანიასეულს გამოცემაში (ნ. კრონიკები I, ტფ. 1892) შუშანიკი შემდეგ კონტექსტში იხსენიება:

„და განდევნა კვირიან ქართლისა კათალიკოზმან და (...) მოსე ეპისკოპოსი ცურტავეისა საყდრისაგან თვისსა, რომელი დადგინა წმიდასა შუშანიკს ნაწილსა თანა სომხითისასა და ითხოვა აბრძამ კვირიანისაგან საყდრი მისი, ხოლო იგი არა ერჩიდა მას...“ (გვ. 320).

თავი რომ დაეინებოთ იმას, თუ რას ნიშნავს აქ კითხვის ქვეშ დაყენებული სიტყვა, რომელიც ტექსტს უნდა აკლდეს, მაინც ისტორიულ სინამდვილეს არ უდგება ადგილი—რომელი (ე. ი. ცურტავეისა ეპისკოპოსი) დაედგინა წმიდასა შუშანიკს ნაწილსა თანა სომხითისასა...“ შუშანიკს მოსეს დადგენა არ შეეძლო, რადგანაც შუშანიკი 474 წლის ახლო დროს აღესრულა, ხოლო მოსე ცურტავეელი VII ს-ის დადგევს განიცდიდა დევნას. მათ შორის საუკუნეზე მეტი მანძილია. მაგრამ ეს შეუსაბამობა არსენის (ავტორის) ბრალი როდია, არამედ მისი შრომის გადაწყველებისა. ეს ტექსტი ახლა დასაბეჭდად ხელახლად აქვს მომზადებული პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს, რომლის სათანადო ადგილების სომხური თარგმანი უკვე კიდევაც გამოაქვეყნა თავის წიგნში: *„ქრესე ავიკოლოზსა ჯაყასათანსა და რაქსის მასანს“* (ნათ. ს. (ხ—ბჩ რ.), მხრისან 1934, გვ. 37). აქ იგი მოცემულია სწორად, ნამდვილი წაკითხვით: *„მსა ღუხუ<sup>4</sup> ყიორჩინ<sup>5</sup> ქრესე (ქარქიტ) ჯარქიტისან<sup>6</sup> შიქისა მიორთაქსიანს ირ აქიორჩე, იორ რასათათაბ ხე სიორე ზილანსიქსი მასილანსხერჩინს ღუხუ ჯაქიომ (შიქსიტქიომ), და სერრანამ ყაჩანსუხე ყიორჩინსხე ზიორ აქიორ, რაქსე ყიორჩინსა ჯიორსარქისე“*. ეს ადგილი დედანში ალბათ ასე იკითხებოდა:

„და განდევნა კვირიან ქართლისა კათალიკოზმან მოსე ცურტავეელი საყდრისაგან თვისსა, რომელი დადგინა წმიდასა შუშანიკის ნაწილსა თანა—სომხითს; და ითხოვა აბრძამ კვირიანისგან საყდრი მისი, ხოლო იგი არა ერჩიდა მას.“

აქ კი მოსე შუშანიკის ნაწილთა საყდრის ეპისკოპოსად ჩანს დადგენილი კვირიონის მიერ, რაც ისტორიულ სინამდვილეს სომხურ ცნობებთანაც შეთანხმებით (*ქრესე ქრესე*) არ ლალატობს.

<sup>1</sup> ხელნაწერში: ვქსენ.

<sup>2</sup> პროფ. ივ. ჯაფარიძის შვილის ცნობით (ნ. მისი „ძველი ქართ. საისტ. მწერლობა“, I, 2 გამოც. 19-1 წ., გვ. 16) ასევე ყოფილა ეს ადგილი ანა დედოფლისეულს ნუსხაშიაც „ქართლის ცხოვრებისა“.

<sup>3</sup> ვგონებ *რასათანს* აჯობებდა; „დევნა-ს“ შესატყვისად ძე. სომხურში (და ახალშიაც) ძირითადად *რასათანს* გვაქვს ბოლმე.

<sup>4</sup> აქაც ვგონებ *ჯახუ* აჯობებდა, რადგანაც ძე. ქართლის „ერჩიდა“ უდრის არა ახლის „დაემორჩილა-ს“, არამედ „გავგონებდა-ს“, „სმენას“.





ეკლესიების ოფიციალური განხეთქილების გამო (წ. 194, გვ. 194). შენახულია ეს ეპისტოლე უხტანესთანაც (გვ. 136). მის სხვანაირ წაკითხვებს სკოლიოზში ვაჩვენებთ:

«წაწიქ ესაქსილიონს სხეღვლას მორ-  
ათასაჲ, ორ ფიქწნიორფიქსნი იონსერ სრქოყ  
აუქსარნაჲი, კაჲყაყ იღყაქსიორ ზალათოჲ  
ზაქაბასქანს არარ, ს იყაქათანს ზაქს-  
რღს<sup>1</sup> ორ არიქსნი ზოქასქანს<sup>2</sup>; სე კაყაყა-  
ლორსაჲ, ზოქათასჲ მთე სრქსიათსაჲ სრქ  
ქოქსიანე<sup>3</sup>...»

გარდა ამ ადგილებიანა, სადაც პირდაპირ არის მოცემული შეშანიკის ხსენება, „ეპისტოლეთა წიგნს“ მოგვჩვენებს ისეთი ადგილებიც, სადაც შეშანიკი, ან იმისი თუ მასთან დაკავშირებული ამბებიანა ნაგულისხმევი. ასე მაგ., ზემოთ მოყვანილი აბრაამ კათოლიკოსის ეპისტოლის საპასუხოდ კირიონი წერს (წ. 194, გვ. 166=უხტან., გვ. 76):

«ზღ ორ ვრქაჲ ღე ქღ<sup>4</sup> ქანს ზოქლორ ზა-  
ფორფიქსანს<sup>5</sup> ს მარქსლორ სრქოჲ სხეღვ-  
ღისნი შოქათათოჲ ზასათათოჲ სე<sup>6</sup> ს მღ  
სრქოყ აუქსარნაჲი<sup>7</sup>, ს აქამ შოქათასაჲ<sup>8</sup>  
საქსილიონს ქანს იღყაქსილიქსანს ზა-  
ქაბასაჲ ს, ს იყაქათანს<sup>9</sup> ზაქსრღს ს რაჲი<sup>10</sup>  
ქოქსიანე ს<sup>11</sup>, მთე იყაქათანს ჯღ ქოქსიანე.  
რაჲე ვრქ<sup>12</sup> ორ საქსილიონს სეღ<sup>13</sup> ქრანქი-  
ლოქს<sup>14</sup> ვრქოჲ ს ზაჲ ზოქსაჲ<sup>15</sup>, ს სრქო-  
ლოქს<sup>16</sup> იყოქიქსანს<sup>17</sup> იყაქათანს კა-  
თარქ<sup>18</sup>...»

შეშანიკის სამარტილოს ცურტავში დაარსებას გულისხმობს და იქ სომხური მსახურების დაწესებაზე მოგვითხრობს სმბატ, გურგანის მარზპანიც თავის წერილში კირიონისადმი (წ. 194, გვ. 169=უხტან., გვ. 94).

«იოღ ზალათოჲ ესაქსილიონსა შორათ-  
ლაჲ ორ ასათს<sup>19</sup> ღ<sup>20</sup> ქოღაჲ ს კარქ იღოლ-  
რაჲაჲე. რანსიქ მსე ს აჲე აუქსარნი აჲათ  
ორსოჲ<sup>21</sup> ქღაჲაჲ არქანს ს ზარაყათოღ<sup>22</sup>  
ქღანს ს მქჭი კაჲო, რაჲე ზასათათიქსანს  
ს ქანსაჲ ქიქსიქ მთე იოღაჲ სრქოქიანს სრქ  
სიქ იოღაჲ ქღაქარანს<sup>23</sup> ორ ს შორათს<sup>24</sup>,  
ყათათასქიანს სსიღვნიქოჲ ზასათათსეჲ. ს  
იყაქათანს<sup>25</sup> ს კარღოჲ<sup>26</sup> ზაქსრღს<sup>27</sup> ს მსე  
სიქსიქ ს, ს ქოქსიანე<sup>28</sup> ქღანსიქსანს<sup>29</sup> ს მღ  
არქანს<sup>30</sup>...»

«რამეთუ ეპისკოპოსი იგი ეკლესიისაჲ მის  
ცურტავისაჲ, რომელსა შუამდგომლობაჲ  
ეჲყა ოზთა აშთ სოფელთა. მაროლმადი-  
დებღისა საწმენობისათჲს დეჲნულ ყო, და  
მსაუფუგაჲ იგი სომხური, რომელი წმიდასა  
მას შუშანიკს განუწესა, წინაღმდგომ ჯუენისა  
გაკადიოჲდა და შეცვალა...»

«და რომელი ვწერა, ვითარმედ სულ-გრი-  
სა ზიარებდათჲს და კორციელისა სიყუა-  
რულისათჲს ეკლესიაჲ იგი ცურტავისაჲ დაემ-  
ტკიცა ორთა აშთ სოფელთა შორის, და აწ  
ცურტავის ეპისკოპოსი მართლ-მადიდებლო-  
ბისათჲს დეჲნულ არს და მსახურობაჲ სომ-  
ხური შეცვლილ არს-ო, ჯუენ მსახურებაჲ იგი  
არა ზეგვეკალიბიეს, ზოლო, რომელი იგი  
ეპისკოპოსი იყო, ქართული მოდღურებაჲ უწყის  
და სომხური ეგროთეჲ და ორთაჲე მწიგნობ-  
როზითა მსახურებაჲ სრულდებინა.»

«ზოლო მტკიცებინს ეპისკოპოსისაგან  
ცურტავისა, რომელი აქა არს, გუენსა და  
ფრიად დაგვეძიბდა, რამეთუ ჯუენისა და შა-  
ვის სოფლითა აზნაურობას [შორის] დალა-  
ცით სისბლი და მათევაობაჲ იყო, გარნა  
სომტკიცისა და სასოგებისათჲს ჯუენისა, ვი-  
თარქა ფიცსა ზღდა რასმე, ვეგ წმიდაჲ სა-  
მაოტკლოჲ, რომელი ცურტავს [არს], პა-  
ტიოანნი ეკლესიაჲ ეგე დაეცტკიცა; და მსა-  
ხურობაჲ ეგე და წყის სომხებოთი თქუენს შო-  
რის იყო, და შეცვალებითა მაგით შთამოგ-  
დებთ ქტობინა...»

1 ზაქსნი. 2 ზოქანს. 3 სარქანსაჲ. 4 ვრქაჲ ღე სსიქ. 5 სარქანსაჲ.  
6 ღ. 7 აუქსარაჲ. 8 ი.ზს. 9 იყაქათანს. 10 ზაქსნი რაჲე. 11 აზს. 12 ი.ს. 13 ს ზასოქს. 14 ზაჲ  
ზოქსაჲ ი.ზს. 15 სრქოქიანს. 16 სარქანს. 17 ზალათათიქ ს. 18 ასათ. 19 აყათსოქი. 20 ქღა-  
ქარანს. 21 შორათასაჲ. 22 ზასათათსაჲ ს იყაქათანს ს კარღოჲ აზს. 23 ზაქსნი ორ. 24 ქო-  
ქსნი. 25 ქღანსიქსანი სის. 26 სრქანს.



სა და მარადის ფსალმუნებშია დღისი და ღამე არა დასცხვებოდა ჟურთხევისაგან ღმრთისა, კითარ არცა საპყრობილესა და არცა ბორკილსა შინა შეყენებული ვინმე, არამედ ვრმეცა თვთ-მოსურნე ნებითა შევიდა ბორკილთა. რამეთუ ექუს წყელ ცხოვრებობა იგი საკრეველთა შინა, საპყრობილესა და ციხესა, რომელსა ეწოდების უფრო. რამეთუ მრავალი ტანჯვაჲ მოაწია მის ზედა ჯღმრთომან და უჩრქულმან მან პიტიაჲმან ძვრ-ძვრადითა და მწარითა ტანჯვითა. პირველ რამეთუ მითითია იგი ფოლორტა და უბნთა ზედა, და შემსრა ეყერთითა, და სცა პირსა და ყბასა, ვიდრემდის მრავალთა დღეთა არარაჲ ეძლო ბილვად თუალთა ნათ დაბუშებითა, და მერმე საკრეველთა, რკინასა და საპყრობილესა [იყო]. ადგილთა მათ სიმუჯრად და სინოტრემ საპყრობილისა უმეტესარე იყო, დაუტეო თქემად, რაჲ იგი გრწვილისა და მარტულთაგან მის ზედა მოიწია შევირებება, რომელი თიხრობის მისსა მას უწყებასა, ბოლო ნეტარსა მოწამესა მას არა რად უზნდა ტანჯვაჲ იგი განმხადებულისა მის სასოებისათჳს, სრუყურულისა და სარწმუნებისა, რომელი აქუნდა ღმრთისა მიჰართ. რამეთუ წინაპართაგან მათ თჳსთა აქუნდა კეთილმძაბრებობა კეთილისა მის ძირისა კეთილსა მოჩსჳ რამეთუ მს კეთილი ნაყოფსა კეთილსა მოიღებს და ნაყოფისა მისგან მც იგი იცნობების. აწ ესოდენი და ესეკითარნი ჰირნი დაითმინა და იტვირთნა, არარაჲ აგრძაჲ, არამედ უფროს მგნდებოდა ღუაწლსა შინა თჳსსა, რომელი აქუნდა ფერად-ფერადითა სათნობითა, უკმელობითა პურისაჲთა და ყუყურილითა წყლისაჲთა, მღვტარებითა, ცრემლითა და დაუცხოველითა ფსალმუნებითა დღე და ღამე. და აქუნდა თჳს თანა წიგნი ერთი მცოომ, სამსახურებელი თჳსა და ფსალმუნსა მით აღასრულებდა და უქადრებდა ყუყულთა მის თანა მოსრულთა ყოველთა წესთა ღმრთისმსახურებისა. და მსგავს ნინო მოციქულისა იქმნა, ვიდრემდის განდჳინა ქადაგებ. მისი ყოველსა სოფელსა ქართლისსა. და რომელნი მოვიდოდეს მის თანა ბილვად, ისწავლიდეს მისგან ქადაგებასა კეთილმსახურებისა. და მრავალნი სწულნი მოვიდოდეს მისა მიმართ [და] განიჴონ ბოღესა.

სხვა საისტორიო წყაროში შუშანიკის შესახებ ხმა არსადაა დამტკიცებული. ყველაზე უფრო კი მოსალოდნელი იყო ლაზარე ფარკელთან. V ს-ის ეს სომეხი

<sup>1</sup> გ მოცევაშია ანკაქამოზი;

ისტორიკოსი, როგორც მისივე სიტყვებიდან ჩანს<sup>1</sup>, ქართლის პიტიახშის კარს იმყოფებოდა ერთ ხანს; თან ახლდა ჰმაიაკ მამიკონიანის (ქვისლი იყო არშუშა პიტიახშისა) ობლებს—ვაჰანსა და მის ძმებს. ეს უკანასკნელები, როგორც უპატრონო მცირეწლოვნები არშუშა პიტიახშის კარს იზრდებოდნენ. ლაზარეს არაფერი აქვს ნათქვამი შუშანიკის შესახებ, ხოლო ვარსკენს ერთგან ასახელებს (III ნაწ., თავი 66), სახელდობრ მაშინ, როცა მას ვახტანგ გურგასაღლი კლავს:

«...*ჩხტერ კანსკარბაქი ჭითიძეჲს  
კიდძანსუ კაუხარჩის ჳრავს; ჳაქჲძანგ  
ოჳათასტერ ვიჯჯანს ვანარტს ჳაფღს  
კამჲ გჳანსრიფჲს ჳხუფერიფჲს ჳსრიფჲს  
ორგოჲს»*

«...იგი მცუწულად შფოთი აღრეჲისაჲ  
სოფელსა მას ქართლისასა. ვახტანგ მოკლა  
პიტიახშა იგი უმჯულოჲ ვახგენ წელსა  
ოცდა მეხუთესა პეროზ მეფისასა».

რაში გამოიხატა ვარსკენის უმჯულოება, ან რად მოკლა იგი ვახტანგმა? ამბზე არას ამბობს ლაზარე. ალბათ როგორც მოლაღატე ან ურჩი ქვეშევრდომი, რომელიც სპარსთა მომხრე ჩანს წამების წიგნებით. ლაზარეს დუმილის შესახებ საგულისხმო მოსაზრება აქვს P. Peeters-ს გამოთქმული: «ვარდან დიდის ქალის სახელი არაერთარ საპატიო მოსახსენებელს შეუქმნიდა იმ გმირს (ე. ი. ვაჰან მამიკონიანს), რომლის შექებასაც მან [ე. ი. ლაზარე ფარპელი] მიჰყო ხელი<sup>2</sup>», რადგანაც შუშანიკის ქცევაში სამართლიანად ჩვენი მკვლევარი მარტოოდენ რელიგიის ინტერესებისა და ოჯახური სიწმიდის დაცვას კი არა ხედავს, არამედ უფრო პოლიტიკურს (An. Bol., გვ. 286—287). ლაზარე უარყოფელთა პოლიტიკის მომხრე არ იყო, ამიტომაც ვარსკენის საცქიელის გმობასთან ერთად მგმობელი იქნებოდა ისეთნაირისავე მოქმედებისაც ვაჰანის მხრივ, რომელიც, თვალთმაქციობითა თუ გულითადად, გმობდა ვარდანისა და მისი თანამოაზრეების პოლიტიკას<sup>3</sup> ამრიგად, ვაჰანის პიროვნების სათნოდ წარმოჩინების სურვილი უნდა იყოს მართლაც მიზეზი იმისა, რომ ვაჰან მამიკონიანის კარის ისტორიკოსი—ლაზარე ფარპელი—არას ამბობს სრულიად შუშანიკის ამბების შესახებ, რაც მისთვის, როგორც თანამედროვისათვის, ცხადია, უცხო არ იქნებოდა. ამდენადვე სხვა ყველა სავარაუდო შესაძლებლობას შორის ლაზარეს დუმილის ასახსნელად ყველაზე ადრე ეს მოსაზრებაა შესაწყენარებელი.

<sup>1</sup> *ლაგოფთაჲ ფარღხეღაჲს ვითამიძეჲს ჳაკიჲს მხოჲჲს ან ჳანანს შამიქინხანს, აქითათ. ვ. სტერ-შტერჯანს ხ შა. შაქტახანს* [ყლ. ნო. I, ვ. IV] *სტეჲთა 1904. ხრ. 188.*

<sup>2</sup> P. Peeters—Sainte Sousanik, martyre en Arméno-Georgie (Anal. Bollandiana, t. LIII, fas. IV), 83. 295.

<sup>3</sup> *ლაგოფთაჲ ფარღხეღაჲს ვითამიძეჲს ჳაკიჲს... სტეჲთა 1904, ხრ. 117—118.*

### III. ქათმულ და სომხურ გარეგანილობათა ნივთების ვაქსოვბრივი ქათმიართობა<sup>1</sup>

ამ მიმოხილვის პირველ თავში მოყვანილი ცნობებიდან ნათლად ჩანს, რომ შუშანიკის მარტვილობის სომხური და ქართული ტექსტები კარგა ხანია, რაც ცნობილია. მათი კერძო მხარეების შესწავლაც აგრეთვე ადრიდანვეა დაწყებული. უგულვებლყოფილი არ დარჩენილა მას შემდეგ, რაც კი ქართული ძეგლები გამოქვეყნდა, ქართულისა და სომხური წიგნების ურთიერთთან დაპირისპირებითი შესწავლა. ამ შესწავლის დროს უკანასკნელ დრომდის, როგორც ქვემოთ ვნახავთ, გულისყური უფრო მიყრობილი ჰქონდა ამ მარტვილობის წიგნების შინაარსობლივსა და კომპოზიციურ მხარეებს, ვიდრე თვით ტექსტობრივ დამოკიდებულებას: ჯერ, ერთი მხრით, სომხური მოკლე წიგნისას სომხურსავე ვრცელთან და მეორე მხრით მათ ორივეას ქართულ ვრცელთან.

მართალია, მოკლე წიგნის დასაწყისის ერთი ნაწილის (ერთგვარი შესავლის) შესახებ (ნ. ბ. I 9-36) სომეხმა გამომცემელმა სამართლიანად შენიშნა, რომ იგი ხვდება მ. ხორენელის ისტორიის გარკვეულ ნაწილს, რაც მან ხორენელის ისტორიის III წიგნის 51 და 49 თავებიდან ალებულად მიიჩნია<sup>2</sup>, მაგრამ მისივე დაკვირვება, რომ მოკლე წიგნის დანარჩენი ნაწილი ვრცელის შემოკლებათა, გვეგონია, უფრო თხრობას, შინაარსს უნდა შეეხებოდეს, ვიდრე თვით ტექსტის გამოყენებას, მის ოდენ შემოკლებას. ხოლო თუ მისი შემდეგი სიტყვები „რაც ამის შემდეგაა, წინ წამძლუარებული მოთხრობის შემოკლებათა“ (*ჩსკ ვირ კსთ აკარ ქ ზაჩასაკარგსაქ იკათმიქსსსქ სრირიქს ზამათიოსხაქ*), ტექსტობრივ მხარეს გულისხმობს, მაშინ დაკვირვება სწორი არაა, როგორც ამას ქვემოთვე ვნახავთ.

უფრო ვრცლად საკითხი ქართულ და სომხურ წამებათა ურთიერთთან დამოკიდებულების მხრივ ირჩეოდა და ისიც არა-სომეხ მკვლევართაგან. ჯერ კიდევ აკად. ნ. მარმა, რომელიც ხელნაწერშივე გაეცნო ქართულ მოკლე წამებას და იგი გამოქვეყნებულ ასეთსავე სომხურ ძეგლს შეადარა, აღნიშნა, რომ ქართული ზედმიწევნითი თარგმანია სომხურისა<sup>3</sup>. ეს შეხედულება პროფ. ივ.

<sup>1</sup> მიმოხილვის ეს თავი წაკითხულია მოხსენებად ტფილისის სახ. უნივერსიტეტთან არსებულ შ. რუსთაველის სახელობის ლიტერ. ინსტიტუტის ძველი ქართული ლიტერ. სექციისა და არქეოლოგიის კათედრის გაერთიანებულ სხდომაზე 1936 წ. 27-X.

<sup>2</sup> *«მთა ქაქე თხროქ ქ რახტე მარხაველიქ ქ შსსს ქ მშ ვიტე 7 ვირე თათიქსხს ლიქე»*—*ქკაქე. სრირიქს შიკანსკანს...* (*მოქირე ზაქკანს IX*), *«სხსთიქ 1853 წ. გვ. 60, შენიშვნა 12.*

<sup>3</sup> Н. М а р м. Из поездки на Афон (Журн. Минист. Нар. Просв. 1899 г. № 2), გვ. 18 (отд. оттиск).

ჯავახიშვილმაც გაიზიარა თავის ნაშრომში<sup>1</sup>, სადაც იგი საერთოდ ქართულ და სომხურ წამებათა ურთიერთთან დამოკიდებულების ბელს არკვევდა. წამებათა წიგნების (ვრცელთა) შინაარსობლივისა და კომპოზიციური მხარეების განხილვის შემდეგ ჩვენი მკვლევარი იმ დასკვნამდის მივიდა, რომ ნაწარმოების თავდაპირველ დედნად ქართული აღიარა, ხოლო სომხური მის მერმინდელ გადაკეთებად მიიჩნია<sup>2</sup>.

1935 წელს გამოსული ნარკვევიც ბელგიელი ორიენტალისტის P. Peeters-ისა<sup>3</sup> ჩვენი ძეგლების შესახებ ამ ნაწარმოებთა ტექსტობრივ დამოკიდებულებასა და მათი ფაქტობრივი მხარეების შედარებაზე მეტად მცირეს ამბობს. ეს კი, ავტორის განცხადების თანახმად, განვებ არის ჩადენილი. ავტორის ასეთი კვლევა საპიროდ არ ნიანჩია, რადგან ასეთს შორეულ ვხას რომ დაეადგეთ, მისი თქმით, მაინც იმავე შედეგს მივალწევდით, რასაც სხვა უფრო მოკლე გზით მივსწვდებოდითო<sup>4</sup>. ისტორიული გარემოს სათანადოდ გამოვლინებას უცხოელი მკვლევარი არ ხედავს შემონახულ წამებათა წიგნებში. იგი მათ, სომხურსაცა და ქართულსაც, აცხადებს მოგვიანო დროის ლეგენდებად, რომლებიც ნაციონალური ელფერიითაა შემკობილიო, ქართული ვრცელი მარტვილოზის წიგნი და მისი შემოქმედი იაკობ ხუცესი სომხურზე უფრო გვიანდელი დროისააო<sup>5</sup>. XIთუ XII ს-ის რომელიცა ქართველი ავტორის მიერ მოგონდ პირად არის გამოცხადებული იაკობ ხუცესი, რომელიც იმისათვისაა გამოყვანილი მარტვილის თანამედროვედა და დაახლოვებულ პირად, რომ ქართული ნაწარმოები უძველესად გასაღდეს, ვიდრე სომხურიდან ნათარგმნი მოკლე წამება, რომელიც ქართულ ეროვნულ ტრადიციას ბლაღაღდაო<sup>6</sup>.

ისტორიული მონაცემებით თითქოს ასეთი ნაკარნახევი დებულებიდან გამომდინარე მსჯელობის განვითარებისას ავტორი სომხურს შემონახულ რედაქციებში მაინც შენიშნავს ერთგვარ დამოკიდებულებას ქართულთან,— ქართული ილიომპტიზმების ნაკვალევის სახით სომხურში ანდა სომხური non sens-ების სახით, რომლებიც ქართულის მცდარი თარგმანით უნდა აიხსნებოდესო. ეს ქართული ძეგლი კი იაკობის სახელით დღემდის ცნობილი ნაწარმოები კი არაა, არამედ სულ სხვა, რომელიც პირველად აღმოცენებული უნდა ყოფილიყო სომხურ-ქართული ეკლესიების განხეთქილების ხანაში, როცა ქართველები პრეტენზიებს აცხადებდნენ შუშანიკზე, რომლის კულტი თავიდანვე შემუშავდა ცურტავის სომხური მოსახლეობის ფენებში, რომელთა სიამაყედაც ითვლებოდა იგი, მაგრამ რომლის კუთვნილებას ამ დროს თვითონ ქართველებიც მიიწერდნენო.

<sup>1</sup> ივ ჯავახიშვილი, „ისტორიის მხანი, წყაროები და მითოდები წინათ და ახლათ“, წიგნი I: ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII ს.ს.), მცორო შეკსებული გამოცემა, ტფ. 1921 წ., გვ. 20.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 24.

<sup>3</sup> Paul Peeters—„Sainte Sous-nik, martye en Arméno Géorgie (Anallicta Bollandiana, t. LIII, fasc. III et IV), Bruxelles 1935; I ტექსტი—5-48, გვ. II Etude critique 245—307 ავ.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 296.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 297.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 304—305

სამაგიეროდ ასეთ ქართულ ძეგლს სომხურმა აგიოგრაფიამ უპასუხა ახალი, ნაციონალური თვალსაზრისით შედგენილი ბიოგრაფიით, რომლისთვისაც გამოიყენეს შუშანიკის წამების ეს ქართული ვერსიოა. ამდროინდელია სწორედ ეს იიხ sens-ები და ქართული ოდომტიზმებიც სომხურში. ავტორს მერმინდელი სომხური და ქართული ეკლესიების ანტაგონიზმის გამოძახილად ძიანია უბტანესის თხრობა შუშანიკზე და იაკობის სახელით აქამდის ცნობილი ნაშრომიც. ეს ნაშრომი კი იმის გამო, რომ მას ზოგიერთი შემხვედრი ფაქტი მოეპოება უბტანესის თხრობასთან, უნდა იცნობდეს უბტანესისავე წყაროს, რომელიც რამდენადმე განსხვავებული ჩანს სომხურ წამებათა წიგნებისაგანო. იაკობის სახელით ცნობილი ძეგლი შესაძლოა უბტანესის საპასუხოდ იყოს დაწერილი, თუ არა და, ყოველ შემთხვევაში, იმ წინდაუხედაობის გამოსასწორებლად, რომელიც ქართველმა მთარგმნელმა ჩაიდინა, როცა მან 940 წლის ახლოს თარგმნა სომხური სინოპსისი შეუფარდებლად, რაც ფრიად სცემდა ქართულ ტრადიციასო. ასეთია, ავტორის თქმით, წამებათა წიგნების ის „რთული გენეალოგია“ რომელიც მას წარმოუდგენია (P. Peeters, Sainte Sousanik... Anal. Bolland., t. LIII, fasc. IV, გვ. 303—305).

ეს ახალი და მასთან თავისებური შეხედულება, როგორც ვხედავთ, ძირითადად უპირისპირდება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ფეხმოკიდებულ აზრს ქართულისა და სომხური წამებების ურთიერთთან დამოკიდებულების შესახებ. თუ ერთი მხრით შემონახული ძეგლების ფაქტობრივისა და კომპოზიციური მხარეების შესწავლით (რასაც P. Peeters-ი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, არ უნდა იცნობდეს) ქართული ვრცელი წამება აღრინდელად და წყაროდ იქმნა გამოცხადებული სომხურისათვის, მეორე მხრით, თითქოსდა ისტორიული მონაცემების კარნახით სრულიად საწინააღმდეგო ვითარება შეიქმნა.

საკითხის გასარკვევად, რასაკვირველია, არც ერთი და არც მეორე მემენტი უგულვებელ საყოფი არ არის, მაგრამ გვგონია, რომ ჯერ შემონახული ძეგლები უნდა იქნეს ურთიერთთან დაპირისპირებით შესწავლილი როგორც შინაარსობლივისა და აღნაგობის მხრით, ისე ტექსტობრივადაც და მერმე შეხვედრისა თუ განსხვავების მიზეზების ახსნისათვის ისტორიული მონაცემებიც დაიდებნოს. გამოსაყვად მაინც ტექსტობრივი დამოკიდებულების გარკვევა მიგვაჩნია, რის გამოც ამით ვიწყებთ კიდევაც წამებათა ძეგლების შესწავლას.

•

სომხური მოკლე წამების წიგნი მართლაც რომ მოკლეა. მასში, როგორც ეს შენიშნულია კიდევაც, წამების მრავალი არსებითი მხარეა გამოშვებული. წამება არც კი არის მოყვანილი, „მხოლოდღა აღსასრულია აღწერილი“<sup>1</sup>. წამების შესახებ, ამ წიგნის ქართული თარგმანით რომ მოვიყვანოთ (რომელიც, მართალია, სომხურის თარგმანია, მაგრამ არც სრულიად სიტყვა-სიტყვით შემხვედრი ცნობილი სომხური ძეგლისა), მხოლოდ მსაა გადმოცემული, რომ ეარსქენი ღეიშითა კაცთაათა გინა თუ ნფისით თვისით ასულისა თვისითაჲ შევარდა მოგუჲასა და აღიარა ზრაჲაშტენი შჯული, რომელსა არა დაემორჩილა წმიდაჲ შუშანიკ, რამეთუ ა-

<sup>1</sup> პროფ. ივ. ჯავახიშვილი — „ძველი ქართ. საისტორიო მწერლობა“, II გამოც. გვ. 20.

ბილენ მას... ბოლო იგი უფროსლა აღეგნებოდა გულისწყრომითა მხრლებსა მისისათჳს და უშუღლოასა საწოლისათჳს. ძოაალი ტანჯუა მონა ნეტარისა შუშანიკის ზედა გუგითა. საპყრობილითა, მიმშილითა და წყურილითა, და ფერად-ფერადითა სატანჯველითა :კირაჯებდა მას ექუს წელ უღართოა იგი, გახმოგებული ღრთისაგან და ყოვლისაგან სასოებისა კრისტეანეოასა. ბოლო ნეტარპან შუშანიკ ყოველივე თჳს იღა მოთმინებითა და მადლობითა, როელსა ვერ მისწუდების ენ. მითხრობდა...».

როგორც ვხედავთ, აქ წამების მიმდინარეობა არაა მოცემული. გამომთქმელის თქმით მას „ვერ მისწუდების ენა მითხრობად“, მაგრამ საგულისხმოა, რომ როდესაც იგი აქ ასახელებს მიზეზს ვარსკენისა და შუშანიკის აშლისას, ასეთად იგი ისეთ მხარეს აღნიშნავს, რომელიც ცნობილია მსოლოდ სომხური ვრცელი წამებით, ისიც მისი ზოგიერთი ხელნაწერით, კერძოდ გამოქვეყნებულით (რომელიც, როგორც შენიშნავენ, ცნობილია ლ. ალიშანიის რედაქტორობითაა გამოცემული). ეს კი არის ვარსკენის გამაზღვანების მიზეზად ისეთი ამბის დასახელება, როგორცაა „ასულისათჳს თჳსისა“ შევარდნა მოგუებასა. ქართულმა ვრცელმა წამების წიგნმა ასეთი რამ არ იცის. ამიტომ როდესაც სომხური მოკლე წამების წიგნი ამ მოპენტს ასახელებს, იგი სომხური ვრცელი წამების წიგნს უწევს ანგარიშს. ისიც, როგორც აღვნიშნეთ, ერთერთ მის სახეს, რადგან გვაქვს ისეთი ხელნაწერიც, რომელსაც ეს ადგილი არ მოეპოება.

ამის შედეგ ბუნებრივია, ვეძიოთ უკვე სომხური მოკლე წამების მიერ მოთხრობილი „აღსასრული შუშანიკის“ სომხურსავე ვრცელი წამების წიგნებში. ჯერ-ჯერობით, როგორც თავის ადგილს უკვე აღვნიშნეთ (ნ. გვ. 05), მათი მხოლოდ ორი ნუსხაა ცნობილი: ერთი ვენეტიკის მხითარიაჩელთაგან გამოცემული და მეორე—ჩემ მიერ გადმოწერილი ემშიაძინის მუზეუმის ერთ-ერთი მრავალთავეიდან (ე. ი. *Записки*-იდან, № 941), რომელიც 1689 წლის ხელნაწერს წარმოადგენს. ამ ნუსხაში არ მოიპოება ის ადგილი, სადაც ვარსკენის განდგომის მიზეზად თავის ასულთან შეუღლების განზრახვაა დასახელებული. სხვაფრთვ იგი ფაქტობრივად მაინცა-და-მაინც დიდად არ განსხვავდება გამოცემულისაგან. თვალსაჩინო სხვაობა მაინც XIV-სა და მომდევნო თავებში შეინიშნება. ეს კი უფრო ტექსტის რამდენადმე ვაერცობას ენება, ვიდრე რაიმეს დაკლებას. მისი ტექსტი საზოგადოდ მრავალ შემთხვევაში ღირსებით უკეთეს წაკითხვებს გვაწვდის, რის გამოც მას სათანადო ანგარიშს ვუწვეთ ჩვენს გამოცემაში. ამჟამად, მაშასადამე მოკლე წამების ჩვენთვის საინტერესო ნაწილის („შუშანიკის აღსასრულის“) პარალელს მხოლოდ ამ ძეგლებში თუ დავიხრეთ.

მოკლე წამების წიგნით მოთხრობილი „შუშანიკის აღსასრული“ ვრცელის XVII-სა და მომდევნო თავებშია მოცემული. ვრცელის XVII თავს მოკლეთი II თავი შეესატყვისება, XVIII-ს—III; XIX-ს—IV, და XX-ს—V თავი. მიმართების გამოსარკვევად, ერთი მხრით, სომხურს ვრცელსა და მოკლე წამებებს შორის და მეორე მხრით ამ ორივესა და ქართულს (იაკობის ნაწარმოებს) შორის, მიუხედავად ადგილის სიერცისა, ერთი მეორის გვერდით მოვიყვანთ მათ—ჯერ, ვრცელი ქართულით (იაკობის სახელით რომ არის ცნობილი), მერმე, მოკლე სომხურით და ბოლოს, სომხური ვრცელი მარტილობის წიგნით:

ა

ბ

ა

XVII. ამერმე, შემდგომად  
ჯოჯიკისა, მოიწია თავი  
იგი ეპისკოპოსთაჲ სამოელ  
და იოვანე ეპისკოპოსი,  
მისივე მოყუანი, რომელ  
იგი იყვნეს განმ-მტკიცებელ  
და დიდად დამაშურალ,  
სახლეულითურთ თანა ყო-  
ფით იყვნეს მონა, და მონა-  
წილე იყვნეს და თანახიარ  
შრომათა მისთა; მადლობით  
წარგზავნიდეს ნავთსადგუ-  
რისა მის მიმართ კრიტიკ-  
სისა. მსგავსად მისეუ სახისა  
აზნ-ურნი დიდ დიდნი და  
ხეპურნი დეიდანნი აზნურნი  
და უახონნი სოფლისა  
ქართლისანი მოვიდეს. ეგ-  
რეთვე, რომელნი იგი გულს  
მოდგინებთ მონაწილე ყო-  
ფილ იყვნეს შრომათა შათ  
მისთა სანატრელობით, ვი-  
თარცა ახლენსა მენესა მი-  
ვედრიდეს კრიტიკსა.

და თხოვას ერთსა ით-  
ხოვედეს მისგან ყოველნი  
იგი ეპისკოპოსნი და აზნა-  
ურნი ერთბამად, რადთა  
ბორკილი იგი ფერკთაჲ  
ბრძ-ნოს საცოდ და ნაკუთ-  
ხევად ყოველთათჳს, რომ-  
ლისათჳსცა კრკუა წმიდა-  
მან შუშანიკ, ვითარმედ მვე  
რად ვარ, არა ღირსი ესე?  
ხოლო ღმრთის მოყუარე-

II. ესაჲ ქერს ხნას ძამ  
კათარმანს და ნანუასხანს  
და იოქიმანს ჩ რა: ათ ირ  
ანხდაფხანს ზერ, ათაფერ  
და სიქერ გელსაიერ ხაქი-  
ლიყიასუნს ესამილქ და  
მთქქანს უორის რხხერს  
ორ გაქაქხერქს და მხბა-  
ქათსაქგ ნანგებრ დათა-  
ნხებრ ქსაქ ღქს. ირგ ხ-  
ქხაქგ და მანსალორქსაქ  
ორნოქსამქ კოღარქღქს  
ათ ხსაქანსაღქითნ რქრ-  
ათთ. ირ ნანგოფხანს ვაქ-  
ქათსაქსაქს:

ღათ ნამქს ირქსაქჩი ნა-  
ქარქარქგ და სხაქილქგ აქჩ-  
ნაქგ, აგათგ დასნაგათგ  
აქქარქჩინ ჳრავ, უორქაქს  
მანსალორქსაქგ ხერანო-  
ქსამქგ, ირქსაქგ ვგაქ ნა-  
ნათსაქ და ქითათქანოქ  
რქჩი აქანგქჩინ და ქითათ-  
ლორქჩინ ვქსათობაქ:

სა ქანგქერ ქ მქქ ათხაქ  
ასანსიგონსუ ხაქსაქიყო-  
ასუნს და ვორქარქანს ვჩ  
ღქსაქანს ითქინ კორნო-  
ქქანს ათგნს. ვორ მქჩ-  
ნოქს ძანოქსაქ აათათ-  
ქანსჩი ათნს, მქც მქს ა-  
ნარქმან ხამ აქქამანსაქ-  
ნსჩ, ვაქგ ღათ აათობა-  
ქქროქსხანს მქგ ხგქგჩი ირ-  
ქსაქ და კამქგ, და ხსაქ ვქს

XVII. ზაქერ და ვორქა ხ-  
აქსაქიყოასუნს მამილქ, და  
მამქანს ხაქსაქიყო ნან-  
გებრ და ნანსაქქგ და უარ-  
ქსაქაქგ, ირგ ღქს ვაქა-  
ქჩქგ და კსოქგგ ნხგო-  
ქხანს ხერანსქჩი აქჩნიქს.  
ღქ ქოღარქხანს ვითორქს  
ქ მხბ აქქათობქხანსუნს  
ათ ხსაქანსაღქითნ რქრ-  
ათთ:

ნოქსაქს და ნაქარქარქგ  
და აგათგ და აქჩნაქგ, და  
ათქ სხაქილქგ აქქარქჩინ  
ღქრავ, ვჩ ნაგორქხანს  
ქოღარქქანს და ირნო-  
ქხანს ხერანსქოქს ნოქს-  
ნქანს:

სა ქანგქერქჩინ ამანსხერანს  
ღქრქამქჩი კაქანსინს ქ ხეღ-  
ქარქა, ათ ქ ქქსათსაქ  
ირქქინს:

სა ნა ათქერ. მქს იქ ხამ  
აქქ არქმანსჩი. ვათგ ვქანს  
ათათობაქქროქსხანს მქგ  
ხგქგჩი მქგ ირქსაქ და კა-  
მქგაქ:

ბისა თქვენისათვის ხუცესმან  
 40 ალავსენ წადლი თქუენი  
 მაგის საბისათვის. ხოლო მე  
 რამემ რამა შემძლებელ ვარ,  
 არამედ ყუელად - საუცემან  
 ქრისტემან აღვაუენინ თქუ-  
 45 ენ ყუელითა კეთილითა,  
 რომელნი ესე ჩემთვის მო-  
 შუერთი და ეზიარენით  
 ენებათა ამათ ჩემად და  
 კირთა და ტანჯებათა. ხოლო  
 50 მე, საყუარელნი, აჰა ესერა  
 წინაგანმხადებულსა მას  
 გზასა წარვალ საუკუნესა.  
 კირისა ამის წილ ჩემისა  
 55 ქრისტემან მომბადლოს მე  
 სიბარულო, სატანჯელთა  
 ამათ წილ განსუენებაჲ, გუე-  
 მათა ამათ ჩემთა და თრე-  
 ვათა და შეურაცხებათა -  
 მ ვუმთხვა მე დიდებასა და  
 პატრიასა ცათა შინა დაუ-  
 სრულებელსაჲ. და იგინი,  
 60 ჯმნულნი ცრემლითა, საუ-  
 სენი ძლევისა მისთვის დო-  
 დებასა ღმრთისა მიწართ  
 65 შესწირვიდეს და გამოვიდეს  
 ციხით და წარვიდეს.  
 XVIII. და მოიწია დღი  
 იგი წოდებისა მისისაჲ. და  
 მოუწოდა ეპისკოპოსსა მი-  
 5 სისა სააღისასა აფოს და  
მადლსა მისცემდა მისა მი-  
მართ მოწლოებისა მისი-  
სათვის, ვითარცა მამასა და  
მამა-მძუძვსა. შემეუდრა მე,  
 10 კაცი ცოდვლი და გლა-  
ხაკი ესე. და შეჭვედრგრდა  
 ნეშტთა მათ ძულათა მისი-  
 თასა და უბრძანებდა დას-  
 15 ხმად ადგარლსა მას, ვინაჲცა  
იგი პირველად გამოითორეს,  
 და მტყუდა: ეუკუეთუ ღირს

რერემ ი სამარ ვიმ ზხ-  
 ჯიქისა ჯორ ღრეტი. აჲ  
 თქნეს ესე კიჲსიამ წიქს-  
 თთი მათთაჲ ღნქავიქ  
 ვისა, და ვახე ჯამხსხსხს  
 ირწხსეც და ზათთაეც  
 ყარვის გარხსეც ღსთ ხ-  
 რაგანსხერ ქსათსაქიე;

ხს ირწხსეც ჯამხსხ-  
 ხსან ღსთ ხირგანსხერ  
 არძანსაღ-რთქსანს, და ა-  
 ხერ ხრანსხისა. აღმწიან-  
ქის წიქსთთი ქი არათეც  
ვახე თმწიანს ზიგლიორ ირ-  
წიქსამარ და ქავსხი-  
ქსამარ;

XVIII ზა და ქათს სიქსი-  
ყოიქ თანს ვინი-ქის ძა-  
თიღანსერ ქათს ზათთ-  
ქიქსანს ირყნს ზორ და  
ჯავსხის;

III. ხს ზრძამაქერ ვხერ-  
ქარო ხიქხერაგნ ვხერ ქ  
ანღიქწილთიქ ვათაქის  
გორეხეხს ახქს ქეცძამ-

და მათერ ვხერ ვხერ  
 ქ თიღიქწი, ილთიქ ვათა-  
 ვისნს გარეხეხის. ახქს ქ-  
 გხმ, მან, არძანს ქ ვაჲ

რამდე ვარ უკუნადასკნელი  
 ესე მეთერთმეტე ნოქმედი  
 ენაიკისაჲ იყვენით ყოველ-  
 ნი კურთხეულ უკუნისამდე  
 ეამთაჲ. და ჰბადლობდა  
 ღმერთსა და თქუა: ეურთ-  
ხეულ არს უფალი ღმერთი  
ჩემი, რამეთუ მშვეობით  
მას ზედა დაეწეე და და-  
ვიძინებ. და შეგებდა სული  
თჳსი უფალსა ყოველთა  
შემწყნარებელსა.

ჰანხი, ასე, აიქმ ამს-  
ნაქნის:

ხს წრძარხაჲ კამის-  
ვისეჲ არიანიოჲ ჩიანი-  
რანოიქისჲ კაქმოსისან  
სათილიჲ მათივანსე\*

ეჴათე გნე სათილი,  
 ჴათე გნე ამსნათიე  
 ხერიოქისჲ, ირ ორნსაჲ  
 ხა კამისანჲ ართრბიე  
 კერხხეაჲ და კან-რხი-  
 ჴიე. ენსაჲ ჲის რარხა-  
 რიქხამე გი ენე ჴიანი-  
 რანსიჲ ანოლანჲ გი არე  
 ჴი კსანსეჲ კახანსიჲ, ჲი  
 რანსარხეჲ და ხა რარე  
 ჴიანე არიე, ირე სქრხეჲ  
 ჲრეჲ და რანეჲ ხეხს ოქრი-  
 ქისანჲ გი, ირე ჴიანი-  
 რისაჲ ხს მანე ჴრხანე  
 ანაჲსი სათილიქხან  
 გილი ჴრხათი კიჲ და ს-  
 ყალს, ირ ორევიე  
 ჲის კამისანჲ ნეიქისან  
 და ჴარქარანსი რამხე  
 ჴიანს ანოლანჲ გი და რ-  
 თათიან ოქანეჲ კიჲან  
 ირ ჴი გნე. თორე ჴინჲ მან  
 და მქრს ენე სქრხეჲ გი  
 კანსეჲ და კანქანსან  
 კხანსეჲ, ჲი გი ჲ მქრი-  
 ქისანჲ და ჴქანსიქისან  
 და ჴათე კახანსანჲ კაქ-  
 მანსიჲ:

ხს სათხეჲ ამსნევიან  
 ჲამსანჲ ალანეჲჲ ენიჲ  
 ხრანსიქს თორეჲ ნიჲჲ-  
 ხიქ რარე ჴითათიანს-

ანსიჲ:

ხს ასაჲსი რამთრხაჲ  
კამისივიანეჲ და ორნსაჲ  
ღამისანსანჲ ჴი ჴრხათი,  
გნიოქისჲ კაქმოსისან

ამსნათიე ხერიოქი-  
ქისანჲ ჴი რარხიანჲ ჴრ-  
ხამე\* რანეჲ ამსნანჲ  
ქიოქხიქისჲ რანსანჲ ხ-  
ქსანორქს ირეჲ ვანსაჲ  
ხრანსიქს, ხლანსი ნეი-  
ქხამე კერხეჲ ხს ჴა-  
ნსაჲ კაქმოს თორეჲ სჲ  
სარახსაჲ ჲხანს ჴრე

ან. რანსანჲ გრეს ოქ-  
რე სათილი, ირ რამანჲ  
არეჲ რანარქანსიქისან  
ქამ კათარეჲ ნეიქისამე  
ღრქხანჲ ჴამ სრე\* ენსაჲ

გნიჲ ჴამ, ირ ენიანიჲ  
ხა რევიე, ხარეჲ ამ-  
სანჲ ართრბიე, და ჴრქ-  
ქსანსიქსი, ირქანსარხან  
ღის ენე სქრხეჲ გი რ-  
თანსი რანსანსანჲ ჴი  
ქითიანიჲ კახანსიჲ, ჲი  
რქანსანსაჲ ხა სქრხეჲ

თეჲ. ისაჲ მქრხაჲ ხს  
ვანე და რამოსქისანჲ  
და ნეიქისანჲ და მანსანჲ,  
ირ ჴინჲ ეთათრანე გრ-  
მანსანჲ. და Ბქიეჲ ნეიქ-  
ქისანჲ და Ბქანსანჲ

და Ბქანსანსი რანსანსი  
გნეჲ კანსანსი და რ-  
ანსანსი რანსანსი გი  
ენსაჲ ჴი რანსი გნე.  
ენსაჲ და Ბქი. არეჲ რ-  
ანსანსეჲ რამსანსი,  
რარე ჴიანე სქრხეჲ გი,  
ირე ჴარეჲ სქრეჲ ჲარეჲ

თათხეჲ და მანსანსი  
ქანსანსი, ხანსანსი  
ქანსანსი, ხანსანსი  
ქანსანსი, ხანსანსი  
ქანსანსი, ხანსანსი  
ქანსანსი, ხანსანსი

ქანსანსი, ხანსანსი  
ქანსანსი, ხანსანსი  
ქანსანსი, ხანსანსი  
ქანსანსი, ხანსანსი  
ქანსანსი, ხანსანსი  
ქანსანსი, ხანსანსი

ქანსანსი, ხანსანსი  
ქანსანსი, ხანსანსი  
ქანსანსი, ხანსანსი  
ქანსანსი, ხანსანსი  
ქანსანსი, ხანსანსი  
ქანსანსი, ხანსანსი

ქანსანსი, ხანსანსი  
ქანსანსი, ხანსანსი  
ქანსანსი, ხანსანსი  
ქანსანსი, ხანსანსი  
ქანსანსი, ხანსანსი  
ქანსანსი, ხანსანსი

ქანსანსი, ხანსანსი  
ქანსანსი, ხანსანსი  
ქანსანსი, ხანსანსი  
ქანსანსი, ხანსანსი  
ქანსანსი, ხანსანსი  
ქანსანსი, ხანსანსი

\* მდ. ზემოთ ქართულს — XVII 61-65.

6

70

მხამე ჩ რჩითათი, ს ა-  
მაზნებან ფათა მათოი-  
განსქის სათოიძე, ირ ხო  
ფაქსაქის ზამძხროქის  
ხრანსქაჯი;

გი ჟოსაგხაე, ჩ მხო რ-  
აღანგემ ვიოქი ჩინი; სე  
ჯაჟა ასაგხაე სრეიჟს ა-  
ღანგისე ვიოქის ჩ მხო  
სათოიძე ამანსაქაქი; სე  
ამანსაქაქი ჟარიასოი ს-  
გლათ რაქს, ს მხმალ სრ-  
ქი; სე ასე ორწილ-  
სათოიძე,

XIX და მაშინღა მსწრაფლ  
მოილო სანატრელმან მან  
ეპისკოპოსმან იოვანე შესა-  
გრაგნელად სუღარი წმიდა  
წმიდათა მათ და პატრი-  
სანთა ნაწილთა ნისთაჲ. და  
ეგრეთ სხუათა მათ აღვი-  
ლეთ გუამი, ფრიად დაწაშუ-  
რალი და დაქმული მატლთა,  
და განებანეთ იგი მატლისა  
მისჲან მიწოვანისა და  
თბრამლისაჲან, და შექჳო-  
სეთ მწურთათა მით. და მა-  
შინღა ეპისკოპოსთა მათ  
ორთაჲუ. იოვანე და აფოც.  
ვითარჳა კართა მენეთა  
დაუღლეილთა ხესქელისა  
მის ფაისათა, ყოელით  
კრებულითურთ ფსალმუ-  
ნითა სულიერითა და კე-  
რონიითა აღნთებულთა და  
საკუმეულითა სულნელითა  
აღვიბუენით პატრიოსანი  
ძელნი და გაშოვიბუენით  
წმიდასა მას ეკლესიასა. და  
დაქჳარძალენით წმიდანი იგი  
და დიდებულნი და პატრი-  
ცემულნი ნაწილნი წმიდო-  
სა შუშანიკოსნი განაზად-  
ბელსა მას ადვოკოსა. და  
მას ლამესა ანგელოზთა სა-  
ბელ ლამე იგი განეთიეთ და

IV. სე ანგის ქაოქა-  
ჯაქი რხრის ღათას რა-  
რაქს

ს ჟოსაგხაე ქამრამხ აღრ-  
რის ჟორგანსე ს ჩ მ-  
რახის, ჟორ იანსე ჩ რა-  
თსე ს ჩ ჯარჯარანსე; სე  
სე ხაქსილიოთასე ხრეღ-  
ვოსე თახაე ქამრამხ  
სრეიჟს ყათახაქ სხსეაქ  
რხრის ჩ იორე ხსეღხეის  
ზანგებამ იორე განანს-  
ქიჲ ს თორკალაოჲე ს  
ძიოქიქიჲ, თაქიოქიჲ ს სრ-  
ჲოჲე ლოქიოჲე, მამხეჩისოჲე  
ლოსეიქიჲ ს თნიუჯათ  
ქისეჲ, ს ამქიქის ჩ  
ყათრასახაქ ზანგით  
ქათათორთოქი; სე სრ-  
ანსეჩ ხექსილიოთასეჲ შა-  
მილქ ს შიქიანს თან-  
ხათს ძიოქიქიქიჲს ვქი-  
ქიჲს ამინათს ზანგებამ  
რთქამიქხამანს ორწილს  
ქამანსაჲ. სრხუთქაქსან  
ორწილქხამანს ქოლქხანს

XIX სე ხაქსილიოთასე ს  
ამანსათს ძიოქიქიქიჲს ამ-  
ქიოქიქიჲ ქამრამხ ხრ-  
ანსეაქს

ს ჟოსაგხაე ჩ მხო ს არ-  
ქესო ღანანსე, ს ჩეღიქ  
ანთიქიჲ ს ქენსიქიჲ.  
ვქესათს რხრსაქ, ს ყათახაქ  
იორე ღათასე

ზანგებამ თაქიოქიჲ ს  
ორწილქხამანსე ს ხრეღიქ  
ლოქიოჲე ს ჯორიოჲე  
ს მამხეჩისოჲე ლოსეიქიჲ  
ხეჩსე ჩ ყათრასახაქ  
თხეღიქს, ირქესა ყათათი-  
რხაჲ ნიოჲა იორე თაქ-  
ქისნს რჩითათი;

სე ვქიქიჲს თანხათს ორ-  
წილქის ს ქათათრასილ-  
ქის მათოიგანსქის თხა-  
არს სათოიძე ქისსე ჩ

დავითის ქნარითა მით  
ყვლად ძლიერსა ღმერთსა  
 და ძესა მისსა უფალსა  
ჩუენსა იესუ ქრისტესა კა-  
დიდებდით, რომელი ყო-  
 ლითა ყოველთა მიმართ.  
 შემძლებელ არს და განამკ-  
 ნის მამანიცა და დედანიცა  
 და თვსთა მათ ოვსი იგი  
 ძლიერებისა ძლევამ მიჭ-  
 მადლის ყოველთა, რომელ-  
 ნი ეძიებენ მას ერთითა  
 გულთა.

საჲმონსრვიქხამრ,ს აკ-  
 ყტს ფინიქსამრ ქათო-  
ლოქტს ღამხნაკაქტს ღა-  
თილახ, ირ თაქ კაქტნი-  
ქხან სქრიყავ ქარიგ ს  
ამიქსაქიყ არარხაქ ფა-  
თაყარან ღღნღქჩამაღარას  
ს ღამაყარჯახსაქ;

ძამ ლავიჯი;

35

40

45

XX. და არს დასაბამი  
 ტანჯუათა მათ წმიდისა შუ-  
 შანიკისთამ... და აღსრულე-  
 ბამ მისი თთუესა ოქლონ-  
 ბეუსა ათჳდმეტსა საკსე-  
 ნებელსა წმიდათა მათ  
 და სანატრელთა მოწამეთა  
 კობან და დამიანოსთა. და  
 დღე ხუთშაბათი იყო, რო-  
 მელსა გ. ნეაწესეთ საკსენე-  
ბელი წმიდისა შუშანიკისი  
სადიდებელად და საქებ-  
ლად ღმერთისა, მამისა და  
ძისა და სულისა, რომლისა  
 შუენის დიდებამ უთი  
 უმდე, ამცა.

V. ხს კათარხეაღხერა-  
ხსქტს თორბ ნოღანსქ,  
 ირ ორ თათხ ს სქს სქ,  
ღაღიგ ამთი ღიქი ქხამრ  
ქ ღიქი ქხან კიღარქსაქ  
ქ ქრქითთ მქით აქრ  
ქსრ, ხს ორქსაღრხეჭ ღორ  
ქიჯათასქ ზორ თახაქმ-  
რქიქ ღაღამარქ ძიღი-  
ქიქი ამ კამქ, ქათა-  
ლორქიქ ღამხნათორ ღმრ-  
ქორქი ქხან;

XX ხს თაღ ღათორღ-  
მათიყანსქტს ს თახ მხბ  
კათარქტს. ღორ ნახფ-  
თხან ორქ ნოღანსქ.  
ქ თათხ ს სქს ღაღიგ 5  
ამთი; ხს ამანსეჭტს ამ  
კამქ კათარქ ქიქათასქ  
ორქი ღაღამარქ ძი-  
ღიქი ღიქი ქ ქათ ს ქ  
ღიქი ქხან ამხნათორ 10  
ხრქორქი ქხან....

5

10

15

რას ეხებავთ ამ შედარებებიდან?

სომხური მარტილობის „მოკლე“ წიგნის ტექსტი მეტი თუ არა, ნაკლები მაინც არ არის ვრცელი სოახურის წიგნისაზე. მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მოკლეც ამ ნაწილში კი არაფერი შეუყვები. არაქედ მთლიანად აულია ვრცელისაგან. აქვე იმის შესახებაც იმის კითხვა, ხელემა თუ არა იგი დღესდღეობით ცნობილ ვრცელ მარტილობის წიგნს? მათი ერთმანეთთან შეჯერება უარყოფით პასუხს იძლევა. ამდენად მისი სომეხი გამოცემლის ზემოაღნიშნული შენიშვნა (6. გვ. 019), ვითომ იგი მის მიერვე გამოცემული ვრცელი მარტილობის წიგნის შემოკლება იყოს (თუ აქ ეს შენიშვნა ტექსტობრივ შემოკლებას გულისხმობს), სწორი არაა. მოკლე წამება არც გამოცემულისა და არც ხელნაწერის სახით ეჩვიაძინს დაცული ვრცელი სომხური წამებიდან არ მომდინარეობს, მისკან გამოღებული თუ გამოკრებილი არაა, არამედ უფრო სხვა, ჯერ ხნობით უცნობი, ვრცელი მარტილობის წიგნიდანაა აღებული. იქნებ იუიქროს ვინმე, რომ გაოკლება-გამოკრების ნაცულად გადაკეთებაა ვრცელისო, მაგრამ საიდანაა განაკრო ხოვან? თვითონ შეთხზა რედაქტორმა? შეგვეძლო ასე დაგვეშვა, მაგრამ ამას აქარწყლებს მათი ორივენი ქართულთან შედარება, კერძოდ კი მოკლესი, რომელსაც ვრცელთან მიმართებით ზედმეტად ადგილები გააჩნია. ამ ადგილების იაკობის ნაწარმოებთან დაპირისპირებიდან ჩანს, რომ იგინი რედაქტორს კი არ შეუთხზავს, არამედ ქართულთან ახლო მდგომი რომელიღაც სომხური რედაქციიდან აულია.

როცა სომხური მარტილობის ორივე რედაქციის წიგნებს ქართულს ვადარებთ ამ ნაწილში, პირველა, რაც შეინიშნება, ისაა, რომ ორივე ქართულის

<sup>1</sup> რომ რაღაც სხვა რედაქციაც უნდა არსებებოდა შეშანიკის მარტილობისა სომხურად, ამას მოკლე წამების მიანაწერი მოწმობს (*საჩ. წაკ. IX, გვ. 55*):

*ბ დაკეყათამიქჩინ სეროჲს სიღესანს, ირ ჭარყანხი ანოლანსაღ ბ ხორეს ბირმქ ირეოჲს ჭარყანსაჲ, ირ ვლარყ დახიგენ მანხამასანაყარ ვიყანსღ ვქსე ამანჲს ჯარჯარანსაჲ ბ ვამათიყად ბახიქინ ოღრანესიოჲს ჭარყანსაჲ, ბ ვესანს ჯარჯ ბამილ ვადიქანს ანხაქანს ბ ვრადიად ვარჯ ბთვქს ზხვიქჩინს ირ ჯრესაჲ, ირ ბქ ბხვიქს ბ მარხირიქსენ, ვასანს ბ ათხილ ვხვიქსენ;*

არს სხუ ეკა უყებაჲ ვზიდისა შეშანიკისო, ოომლია ვწოდა ვარდანი მანისაგან სვისსა, ვზიდისა მის ვარდანიგან, რომელი რიგსა მთ სიტყუათასა წულილად გვჩვენებს, ექუსთა წილთა ენებასა და ნისლითა დაფარვასა უუარ მყოფელისა მის ეახვებისსა და ოცდა ოთხისა ეამისა ლოცვასა და უარწიველსა და მრავალსა ვერად-ვეროდასა შექარეებასა, რომელ დათმინა, რომელი უკუეთუ ეძიო მარტირ[ლ]ოვნსა მას ჰმოო და მოოლო, რასაცა ეძიებდე.

მარტირო[ლ]ონი, მართლაც გამოცემლის შენიშვნისა არ იყოს, წამებათა წიგნია, მაგრამ იგი როგორც XVII ს-ის ისტორიკოსის—ხაქარია დიაკების—მოწმობათაგან ჩანს (6. *მადარხაჲ მარტილოჲს წამიქჩინ, წამ. III, გვ. 29, ვლარაჲ. I, 17*) მრავალთაგან (*მადარხაჲ*) გარკვეულ სახეს ჰქმევი. ძველ მრავალთაგანში ჩვეულებრივ რჩეული სიტყვები და წამებათა შეტანილი (მრავალთაგან—*მადარხაჲ*-ისათვის E. ჯემი: „ქართულ-სომხური ცილოლოგია“ური მტულიები: I. „მრავალთაგანს ზოგიერთი თავის წყარო“, ტ. უნივ. წარმოები VI, გვ. 329—331), მაგრამ ხაქარიას მითითებულ ადგილებში ნახმარი გამოთქმა *მარტირეჲ დათხაქ* იმას მოწმობს, რომ სომხურში სავითო მრავალთაგან ვერულით ცალ-ცალკე სახეებიც გამჩნდება, —მარტილობათა და რჩეულ სიტყვათა მრავალთაგანში.

გარკვეულ ნაწილს უკერს მხარს, გარკვეულს კი არა. მხარის დაქერა უფრო ჩანს, როცა მოთხრობის ფაქტობრივ მხარეს ეხება საქმე; ერმანეთს კი მაშინ სცილდებიან, როცა საქმე შუშანიკის მოწამებობას ეხება, მაგ.: ლოცვა-ვედრებას, მოთმინებასა და სხ. (შდრ. XV III 21—25). ან როცა ქართულით შუშანიკი ბაასობს (შდრ. XVII 36—61), ანდა როცა ავტორი—იაკობ ხუცესი—სადმე თავის შესაწებ იძლევა ცნობებს (შდრ. XVIII 8—10), ან კიდევ, როცა რაიმე სურათი მხატვრულ სახეებშია მოცემული (შედარებები და სხ.—შდრ. XIX 13—18). ამათ ნაცვლად ხსენებული ორივე ტექსტი ან გააკობილია ხოლმე, ან შეკვეცილი, ანდა სრულიად გვერდა უხვევს ასეთებს. მოწამებობრივი ქვევა, კერძოდ ლოცვა-ვედრება, ძალზე ფართოდ არის გაშლილი (ნ. XV III 31—64 და III 31—53). შუშანიკის პირით აქ ხშირად რედაქტორთა ზრახვები მელანდება: საერთოდ ასეთ შემთხვევებში უფრო მეტად, ვინემ სხვაგან სადმე, გატარებულია ნაციონალური შეხედულებები და ტენდენციები, რომელთაც სომხურ მარტიკობათა წიგნებში ქარბად ეხედებით. მოწამისა და სხვა მოქმედ პირთა დიალოგი, რომელსაც ხშირად შევნიშნავთ ქართულში, კერძოდ ზემომოყვანილ ლავთშიაც, სომხურში შეკვეცილად არის წარმოდგენილი ანდა განსხვავებული შინაარსისა (ნ. XVII 34—46 და II 34—46). ავტორის პირადობა, რომელიც აგრეთვე ქართულს რამდენჯერმე აქვს აღნიშნული (როგორც უკვე შევნიშნულია პეღლევაართვან<sup>1</sup>), სომხურში არა ჩანს. პირველი პირით თხრობა ქართულისა, სომხურში მესაღე პირითაა წარმოდგენილი. მხატვრული ადგილები და აღწერებიც ქართულისა სომხურში ან სრულიად არ შეინიშნება, ანდა მეტად მკრთალია.

ეს შედარების ერთი მხარეა. ახლა მეორე მხარითაც უნდა გავიწჯოთ საქმე. როგორი მიმართება სუფევს ქართულს ჩხარის დამქერ ნაწილში სომხურ ტექსტებს შორის და როგორ მიმართებაში არიან ისინი ქართულთან სომხური ტექსტების ეს ნაწილი ერთმანეთის შეწხვედრი კი არის მეტწილად, მაგრამ ერთმანეთს არასოდეს არ ემთხვევა<sup>2</sup>. ქართულთან მიმართებით კი შემდეგი შეინიშნება: ვრცელი წამება ქართულის შესატყვის ადგილებს მოკლედ იძლევა და ნაკლებად ჩანს სიახლოვე ქართულ სიტყვიერ მასალასთან. მოკლე წამების ტექსტი კი, მართალია, ალაგ-ალაგ ნოკვეთი გადმოსცენს ქართულის მხარის დამქერ ადგილებს, მაგრამ იქ, სადაც ამას არა აქვს ადგარი, საერთო სიტყვიერი მასალა ქართულსა და სომხურში შედარებით უფრო უხვია, ვიდრე ეს ვერკლე წამებაშია. ზემოაღნიშნულდან შემდეგი დუსკნა გამოდინარობს: 1. მოკლე წამებით მოთხრობილი „შუშანიკის აღსასრული“ აღებულია სომხური ვრცელი წამების ისეთი წიგნიდან, რომელიც დღეს-დღეობით ცნობილთაგან განსხვავებული უნდა ყოფილიყო; 2. ამ ვრცელი წამების ქართულთან შემხვედრი ადგილები, შემონახული ნაწილის ანალიზის თანახმად, გა-

<sup>1</sup> პროფ. ივ. ჯაეახიშვილი—„ძველი ქართ. საისტ. მწერლობა“ I, 2 გამოც. გვ. 21.

<sup>2</sup> ქართულთან შემხვედრი სიტყვიერი ნაწილი სომხური ტექსტებისა ბახგანშით აღნიშნეთ ზემოთ ტექსტების ერთიმეორესთან შეპირისპირების დროს. სწორი ხაზი ვრცელი სომხური მარტიკობისათვის ვიხმარეთ, ხოლო წიაწკლებიანი—მოკლესათვის.

ცილებით უფრო მეტი რაოდენობისა და უფრო ახლო მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო ქართულთან, ვიდრე ეს ვრცელი წამების შემონახულ ნუსხებშია.

მოკლე წამებას ვრცელისაგან განსხვავებით, როგორც ცნობილია, ერთგვარი შესავალი მოეპოება, რომელშიაც შუშანიკის გენეალოგიაა გადმოცემული (6. 8 I 9—36). ეს შესავალი, როგორც თავის დროზე გამოქვეყნებულმა ც. ალიშვანი (6. ზემოთ გვ. 019), თანხვებდებოდა მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიის“ III წიგნის 51 და 49 თავების ერთ ნაწილისა. ეგებნის ასეთი ადგილი იმ ვრცელი წამების წიგნსაც ჰქონდა, რომლისაგან იგი გვერნა გამოკრებილი. ასეთი რამ კი კვლავ იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ მოკლე წამება დღეს დღეობით ცნობილი ვრცელი წამებისაგან განსხვავებული წიგნიდან მოპდინარეა. მაგრამ ისიც შესაძლოა, რომ მოკლეს მიერ გამოყენებულ ვრცელ წამებას არ ჰქონდა ასეთი ადგილი. მაშინ იგი შემოკლებულისა თუ გამოკრებულის ნახელავი იქნებოდა, დამოუკიდებლად აღებული მოსე ხორენელისაგან ანდა შეთხზული თვით მისგან და ამდენად წყაროდ ქვეულოც მოსესათვის. არც ერთს და არც მეორეს არ ეწინააღმდეგება მოსე ხორენელის მოღვაწეობის წლებად ნაგულისხმევი დრო, უკანასკნელი დროის გამოკვლევათა მიხედვით<sup>1</sup>. მათ მიხედვით მოსე IX ს-ის პირველი ნახევრის მოღვაწედ მიიჩნევა. დაახლოებით ამ დროისა უნდა იყოს სომხური წამების აღნიშნული ძეგლიც, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ.

ზემოთ შესაღარებლად მოყვანილი სომხური მოკლე მარტვილობის ტექსტის ნაწილის გვერდით მოკლე მარტვილობის ქართული თარგმანი არსად გამოვეყენებია. ეს იმიტომ, რომ ჯერ-ჯერობით ერთად-ერთი ცნობილი სომხური მოკლე წამების ნუსხა ქართულთან მიმართებით მისი ტექსტის საესებით თანაშემხვედრი არაა. მართალია, ქართული ძეგლი უდაო თარგმანია სომხურისა, როგორც საკმაო სიცხადით გაარკვიეს აკად. ნ. მარმა და პროფ. ივ. ჯავახიშვილი (6. ზემოთ გვ. 019-020), მაგრამ ძნელია გაზიარება იმისა, რომ იგი ცნობილი სომხური მარტვილობის მოკლე წიგნის სიტყვა-სიტყვითი თარგმანი იყოს. ქართულს, ისე როგორც სომხურსაც, ურთიერთთან შეპირისპირებისას მოეპოება როგორც ზედმეტი და დანაკლისი სიტყვები, ისე წინადადებებიც. მაგალითად, ქართულ თარგმანს სრულიად არაფერი აქვს ნათქვამი შუშანიკის აღსრულების თარიღის შესახებ, რაც შესაძლოა იმით იყოს გამოწვეული, რომ დედანში აღნიშნული თარიღი ქართულზე გადმოყვანით არ უქერდა მხარს დასაწყისში მოსახსენებლად განკუთვნილ დღეს: 21 აგვისტოს. საერთოდ საყურადღებოა ის, რომ ანაირი შემთხვევითა და სხვა თავისებურებებითაც ქართული ვრცელი მარტვილობის ტექსტის სათანადო ადგილებს სომხური მოკლე მარტვილობის ტექსტი უფრო უქერს მხარს, ვიდრე ქართული მოკლე მარტვილობის ტექსტი. ამრიგად, ქართული რამდენადმე სხვაგვარი ნუსხის

<sup>1</sup> ასეთია სომხურად: 1. *8. Մ ա ն ա ղ և ի ն — Ք ի խ ն ա ղ ի տ ա խ զ ի խ ի լ զ ի ղ ա ղ ի: Յ ի խ լ ա Ն 1934* (ვტრთის მტკიცებით „სომხ. ისტორია“ ზულას ლაშქრობის შემდგვა დაწერილი). 2. *Բ ա ժ մ ա ղ և ի ն 3. — Լ ա յ ի ղ Վ ա ղ մ ի խ ն ի ն ի խ ն ա ղ ի ն ժ մ ա ն ա ղ ի ն ի ղ ի: Գ ն ի ն ի խ ն — Ե ղ Գ ի ն ղ 3. (1934), Բ. 8—9, 111—114* (ცნობა ამოღებულია *Է Ն ա ղ և Մ ա ղ ի խ ա ղ — Դ ա ն. Խ Ք, 88: 448, 1935* წ.).

მოკლე წამების თარგმანი ჩანს, ვიდრე დღეს-დღეობით ცნობილია.

ქართულ-სომხურ შემხვედრ ადგილებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საერთო სიტყვიერი მასალა უფრო მეტი ჩანს სომხურის მოკლე მარტვილობისა და ქართულის ვრცელი მარტვილობის ტექსტებს შორის, ვიდრე ქართულისა და სომხურის ვრცელ მარტვილობათა წიგნების ტექსტებს შორის. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ესენი მეტად ახლოსაა დგანან ურთიერთთან: თითქმის ზედმიწევნით სიტყვა-სიტყვით ხვდებიან ერთმანეთს. ეს გარემოება კი ძალაუნებურად იმას გვიკარანახებს, რომ ისინი ერთი-მეორისაგან არიან დამოკიდებული. მაგრამ რომელი რომელზეა დამოკიდებული, ამის ხელალებით თქმა ძნელია. რაიმე მოსალოდნელი საგანგებო non sens-ის შემთხვევა აქ არ შეინიშნება. ყოველ შემთხვევაში, რომელიმე ენის იდიომატიზმზე უფრო მეტია ის, რაც ამ თანაშეხვედრის შედეგად ჩვენ გვაქვს.

ერთი გარემოება non sens-ისებრი მაინც უნდა აღვნიშნოთ ამ შეხვედრის დროს. ეს ის შემთხვევაა, საცა შუშანიკის გარდაცვალებისა და მისი მოხსენების დღის დაწესებაზეა საუბარი. სომხური ტექსტებით ასეთად „ჩვიდმეტი ქალოცია“ დასახელებული. ხოლო ვრცელი ქართული მარტვილობის წიგნით — „ჩვიდმეტი ოქტომბერი“. ქართულ მოკლე მარტვილობას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს თარიღი არ მოეპოება, გამოტოვებულია მასში. ისე კი საკითხავი 21 ავეისტოსათვისაა განკუთვნილი. რიცხვების შეხვედრა აქ სომხურ-ქართული კალენდრების მიყენებითა და შეხვედრით არ აიხსნება. როგორც ცნობილია, ძველი სომხური კალენდარი მოძრავია, ხოლო ქართული უძრავი. უძრავის 17 ოქტომბერი მოძრავი სომხური კალენდრის 17 ქალოცს მხოლოდ 704—708 წლების ახლო დროში თუ შეხვდებოდა, რაც შუშანიკის აღსასრულის თარიღს, ცხადია, ძლიერ არის დაცილებული. ამიტომ აქ გადაყვანასთან არ უნდა გვქონდეს საქმე, არამედ გადაწერასთან, უცვლელად გადატანასთან. მაგრამ რომლისა რომელზე? გვერონია ქართულისა სომხურზე და აი რატომ.

ქართულ ვრცელ მარტვილობას აღსასრულს გარდა, რომელიც რომაული აღრიცხვით არის მოცემული, სხვა თარიღებიც მოეპოება. იქ ვკითხულობთ:

«და არს დასაბამი ტანჯუთა მათ წმიდისა შუშანიკისთა თთუესა აპნისისასა მეჩვესა თთვასასა და დღესა ოთხშაბათსა. და მეორედ გვემაზ მისი შემდგომად აღსებთისა ზატოკსა, დღესა ორშაბათსა. და კუალად ტანჯუთა ვარდობისა თთუესა ათცხრამეტსა. და აღსრულებამ მისი თთუესა ოკდონბერსა ათჩვდმეტსა, სასუნებელსა წმიდათა მათ და სანატრელთა მოწამეთა კობზან და დამიანისთა. და დღე ხუთშაბათი იყო, რამელსა განაწესეთ სასუნებელი წმიდისა შუშანიკისთა.»

როგორც ვხედავთ, ყველა ისინი ქართული კალენდრითა გვაქვს. ცხადია, როგორც ეს უკვე შენიშნულიცაა, რომ აღსასრულიც ძველ ხელნაწერში ქართული თვით იქნებოდა დასახელებული. ფიქრობენ, რომ არა თუ თვე, რიცხვიც კი ქართული სტილით იქნებოდა და იგი „25 სთულისაა“ უნდა ყოფილიყო. 17 ოქტომბერი მერმინდელი გადაყვანაა უკანასკნელისა, როდესაც რომაული კალენდარი ჩვენში შემოვიდაო. ეს მოვლენა კიდევ VI—VII საუკუნის საზღვარზე მომხდარად მიაჩნია პ. ინგოროყვას, რომელმაც უკანასკნელ დროს ძველ

ქართულ კალენდარს სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა (პ. ინგოროყვა, ძველი ქართული წარმართული კალენდარი, „საქართველოს მუზეუმის მოამბე“ VII, გვ. 297).

ქართული ვრცელი მარტილობის წიგნით მოცემული დაწვრილებითი თარიღები, კერძოდ მათი ეროვნული სტილით აღრიცხვა და ათვით შეშხვედრი შეიღვეულის დღის სახელწოდებით დასახლება, შუშანიკის გაოდაცვალების თარიღის გამოანგარიშებისათვის უებარ საშუალებას გვაძლევს. ამ ნიშნულობის მიხედვით შუშანიკის აღსასრული პროფ. კ. კეკელიძემ 474 წლისათვის გამოიანგარიშა. ხოლო ამ დატას არ ეწინააღმდეგება არც სომხური სვინაქსარის სინქრონოლოგიური ცნობები (ნ. დამატება 4, გვ. 55—53), როპლითაც აღსასრული 474 წ.—476 წ. ხდება, და არც თარიღების გამოანგარიშებაში ისეთი დახელოკნებული მკვლერის დასკვნა, როგორიც მ. ორმანიანი, რომლის ანგარიშით შუშანიკის აღსასრული 470 წლისათვისაა დადებული<sup>1</sup>. არც ამ წლებში და არც სხვა რომელიმე წელს V ს-ისა (თვით პეტერსის მიერ აღსასრულად მიჩნეულს 482—484 წ.-საც კი) 17 ქალოცი 17 ოქტომბერს არსად არ ხდება.

ქართულ ტექსტისნაირ ნიშნულობებს თარიღისათვის სომხური რედაქციები მოკლებულია. იქ მარტო აღსასრულის თარიღია მოცემული, რომელიც ქართულიდან ჩანს გადაღებული. რიცხვი უცვლელად არის დატოვებული, ხოლო ქართულის „ოქტომბერი“ მისი ძველი ქართული სახელწოდების — „სთულისა-აჲ“ — თარგმანით, *ჟაჟიყი*-ით არის წარმოდგენილი (*ჟაჟიყი* = სთულა). ამ სახელით კი სომხური ძველი კალენდრით წლის მეხუთე თვე იწოდებოდა. ამრიგად, სომეხ აგოგრაფს ისეთი ნუსხა კქონია ხელთ ქართული ვრცელი მარტილობისა, სადაც 17 ოქტომბერი იქნებოდა მოცემული შუშანიკის აღსასრულის თარიღად. „სთულისა-აჲ“ სახელწოდებით რომ უოფილიყო ეს თვე აღნიშნული, მაშინ რიცხვიც სხვა, სახელდობრ, 25, უნდა გვქონიოდა სომიურშიაც.

პირუქე ვითარების დაშება ძნელია. იაკობის ნაწარმოებს თუ აღსასრულის თარიღი ექნებოდა სომხურიდან აღებული, მაშინ საკითხავია, საიდანღა აილო სხვა თარიღები და ისიც, შუშანიკის აღსრულების წლისათვის ზედმიწევნით შეფარდებული? შეეძლო კაცს ეუიქა, რომ სომხური *ჟაჟიყი*-ი და მისი რიცხვი გადმოიღო, ან უკეთ თარგმნა იაკობმა, ისე, რომ რიცხვი უცვლელად დატოვა, ხოლო *ჟაჟიყი*-ი (=სთულისაჲ მისი რომაული ეკვივალენტით შეცვალა). მაგრამ არა. თვით P. Peeters-ის მიერ იაკობის შრომის აღმოცენების დროდ დასახლებულმა (XI-XII ს.) უწინარესმა ქართულმა წყაროებმა შუშანიკის აღსასრულისა და ხსენების დღედ ოფიციალურად მხოლოდ 17 ოქტომბერი იტიან; ის დღე, რომელიც იმავე დროს ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში კოზმა და დამიანეს მოსახსენებლადაც უოფილა დაწესებული. ამას შევნიშნავთ

<sup>1</sup> ეს ადგილი დართული აქვს მენიშნის სახით წამების სომხური წიგნების გამოცემას (შოქ. ზოქ. IX წიგნი, გვ. 58—60; შდრ. აგუოუი ს. გოგაძის გამოცემაზე დართული შენიშვნაც XX ო. გვ. 37.

<sup>2</sup> *U. O. p. d. a. s. s. a. — Ազգայասում* § 3(4). კოსტანტინეპოლი 1912 წ.

„დიდ კანონში“ ანუ „იერუსალემის განჩინებაში“, რომლის ქართ. თარგმანი VIII ს-ად ითვლება და რომელიც უძველესი ხელნაწერების მიხედვით (IX-X სს.) გამოცემულია პროფ. კ. კეკელიძის მიერ<sup>1</sup>. აქ ოქტომბრის 17-თვის დაწესებულია: „ესენებაჲ კოზმანისი, რლი ქართლს იწამა“. პროფ. კ. კეკელიძის სამართლიანი შენიშვნისა არ იყოს, კოზმან—ქართველი მოწამე თუ ქართლს წამებულნი—ქართულმა აგიოგრაფიამ არ იცის. ამ წინადადებაში აშკარა უმართებულობაა. ვადამწერს დაუკლია მისთვის, ვადამხტარა. კოზმან გვერდით დამიანე უნდა ყოფილიყო<sup>2</sup> და მერმე შუშანიკი, უფრო შუშანი, რომლის ნათესაობითი ბრუნვის ფორმიდან აულია -ნისი (შუშანისი) და „კოზმა“-სათვის მიუკერებია უნებლიედ<sup>3</sup>. რომ კოზმას გვერდით დამიანესა და შუშანიკის ხსენებაც უნდა ყოფილიყო ხოლმე ძველ ქართულ ეკლესიურ პრაქტიკაში 17 ოქტომბრისათვის, ამას X—XI ს-ად მიჩნეული კიდევ ერთი ძველიც მოწმობს. ესაა აგიოგრაფიული კრებული (საქართველოს მეშუეში H 341), რომლის ერთ-ერთი თავის სათაურია: „თთუესა ოკლონბერსა ოზ: წმიდათა კოზმასი და დამიანესი და წისა შუშანიკისი“, თუმცა ამ თავში მაოლოდ კოზმასა და დამიანეს შესახებ არის საუბარი. ამრიგად, 17 ოქტომბერი იაკობის ტექსტისა სომხურის 17 *ჟაჟიე*-ის გადმოღებად ვერ მიიჩნევა. პირიქით 17 *ჟაჟიე*-ია 17 ოქტომბრის გადაღება<sup>4</sup>.

ჩვენს გუმანს, სომხური მოკლე წამების ტექსტის იაკობის ნაწარმოებზე ახლო დამოკიდებულების შესახებ, ზემოთ აღწერილთან ერთად, ისიც აცხველებს, რომ სწორედ მისი ქართულთან ტექსტობრივად შეხვედრი ადგილებია, რომ განსხვავდება ვრცელი სომხური მარტვილობისაგან. მაგრამ ეს სხვაობა შინაარსობლივი კი არ არის, არამედ ენობრივი. მათი ერთპიანეთთან შედარებით ნათ-

<sup>1</sup> Корн. С. Кекелидзе Иерусалимский канонарь VII века (грузинская версия), Тифлис 1912 г.

<sup>2</sup> ასედაც არის იგი ამ „განჩინების“ პარიზის ნაე. ბიბლიოთეკის ნუსხაში (ნ. H. G o u s s e n, Über georgische Drucke und Handschriften die Festordnung und den Heiligenkalender des altchristlichen Jerusalem betreffend, 1923, გვ 35: „October 17. P.: Im Weiber Betarios Gedächtnis Kosmani(s) und Damiane(s)“.

<sup>3</sup> პროფ. კ. კეკელიძის შეხედულებით, რომელიც მან ჩუენი მოხსენების დროს გამოთქვა, დანაკლისი ადგილი ცალკე სტრიქონი იქნებოდა იმ ხელნაწერისა, რომლიდანაც „განჩინების“ ხსენ. ნუსხაა გადაწერილი, რაც, ცხადია, აგრეთვე შესაძლებელია.

<sup>4</sup> პ. ი ნ გ ო რ ო ვ ე ვ ა, ძველ-ქართული წარმართული კალენდარი, «საქარ. მეზ. მოამბე» VII. გვ. 298, შენიშვნა.

<sup>5</sup> Non sens-ად შეიძლება ჩაგებულ იქმნეს კიდევ „მოუყასის“ *„ენხტრ-ად“* გადმოცემა სომხური მოკლე წამების წიგნის მიერ:

მთიწია თავი იგი ეპისკოპოსთა სამოულ და იორანე ეპისკოპოსი, მისივე მოუყასი...» (ა XVII 1—2).

*„ლიტე გელისაჲ ზეიქიკიყასაჲ გშა-მილქ (ა სომხ-ით XVII 1—2: ჟაჟი & გილქ საქისკიკიყასაჲ შამილქ) & შიქანან' ნი-რქს ენხტრ...» (ბ II 4—6).*

„მოუყასი“ აქ პროფ. კ. კეკელიძის მითითებისა და ახსნის თანხმად „ამზანაგი“ ან „მეგობარი“ კი არაა, არამედ „კლერიკოსი“, მთავარ ეპისკოპოსის თანამდგომი ეპისკოპოსის სახელწოდება; მისი *„ენხტრ-ად“* (ე. ი. მოუყას-ამზანაგ-მეგობრად) გადაღებით, ცხადია, სომხები მთარგმნელი სინამდვილეს სწორად ვერ გადმოსცემს.

ლად ჩანს, რომ მოკლე წამება ენობრივად უფრო ძველია, ვიდრე ვრცელი. ვრცელი მისი შემდგომი გადამუშავებაა. ქართულთან შეხვედრი მისი ადგილების გადამუშავება, გვეგონია, იმიტოა გამოწვეული, რომ ქართულზე უახლოესი დამოკიდებულების გამო ეს ნაწილი სტილებრივად წამებაში წმინდა სომხური არ იყო, იგი გაჩაჩხვას მოითხოვდა. გაჩაჩხვასთან ერთად ეს ნაწილი ვრცელ სომხურ წამებაში უფრო მოკლედ არის გადმოცემული, დეტალები მოკლესი აქ გამოშვებულია, მხოლოდ ძირითადი ლარჩება. სამაგიეროდ სხვა ნაწილი „შუშანიკის აღსასრულისა“ ვრცელ სომხურ წამებაში გავრცობილია. ეს კი უკვე იმდენად ენის „გამართვის“ საკიროებით არ აიხსნება, რამდენადაც თვით ძეგლის ლიტერატურული ხასიათით, მისი გეზით.

მაგრამ სანამ ამ საკითხს გავარკვევდეთ, ჯერ იმის გარკვევას უნდა შევეცადოთ, თუ რა დამოკიდებულება არსებობს ვრცელ სომხურ წამებასა და ქართულს ასეთისავე წამებას შორის დანარჩენ ნაწილში. ის, რაც ზემოთ სომხური წამების გარკვეული ნაწილის (თავი XVII—XX) ქართულთან დამოკიდებულების შესახებ ითქვა, ითქმის ზოგადად მისი დანარჩენი ნაწილის შესახებაც. ერთგვარი მხარის დაქტობრივ ტექსტებს შორის აქაც შეინიშნება. ეს მაშინ, როცა მოთხრობის ფაქტობრივ მხარეს ეხება საქმე. აქაც არა მარტო თხრობის მიმდინარეობა ხედება ხშირად ურთიერთს (ჩვეულებრივ შემოკლებით), არამედ ზოგან მათი სიტყვიერი გამოთქმაც კი. ვრცელი სომხური მარტვილობის ტექსტის გვერდით მოცემულს ჩემს ძველ ქართულ თარგმანში ეს ადგილები კურსივითაა მოცემული. მათი ერთი თვალის გადავლებაც კი საქმარისია იმისათვის, რომ კაცმა მეტი რაოდენობა ასეთი შემთხვევებისა მოთხრობის ბოლო ნაწილში („აღსასრული შუშანიკისი“) შენიშნოს, ვიდრე ეს წინა ნაწილშია. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი უფრო უხვად მოკლე სომხური წამების წყაროში, ე. ი. შესამოკლებლად გამოყენებული ვრცელი წამების წიგნში იქნებოდა, რომ სადმე ასეთი იყოს აღმოჩენილი. ამას ის გვევარაუდებინებს, რომ მისგან გამოღებულმა ნაწილმა მოკლე სომხური წამებისამ („შუშანიკის აღსასრულმა“), რომელიც ზემოთ სომხური ვრცელი წამებისა და ქართულის აგრეთვე ვრცელი წამების სათანადო ადგილებთან დაპირისპირებით იყო მოყვანილი, ქართულთან საერთო ადგილები უფრო უხვად აღნიშნა, ვინემ ვრცელმა დღეს-დღეობით ცნობილმა სომხურმა წამებამ. რაც შეეხება წამების წიგნთა არა-ფაქტობრივ მხარეს, როგორცაა: ა) მოწამება (ლოცვა-ვედრება, მოთმინება და სხ.), ბ) მოწამის ბაასი რომელიმე მოქმედ პირთან, გ) აეტორის შენიშვნები თავისი თავის შესახებ მოწამესა და მოწამობასთან დაკავშირებით, ანდა დ) მხატვრულ სახეებში მოცემულ სურათებს, აქაც იგივე ითქმის, რაც ზემოთ ერთი ნაწილის შესახებ ითქვა.

ქართულით ორიოდ სიტყვით გამოთქმული შუშანიკის ლოცვა სომხურში მთელ ლოცვანად არის წარმოდგენილი (შდრ. ქართ. ა II 22-25=სომხ. ა II 26-68; ქართ. ა V 32-34=სომხ. ა V 76-126). მოწამის ბაასი სხვა მოქმედ პირთან, კერძოდ მის მოძღვართან, რაც ქართულში საქმიანი კილოთია მოცემული, ერთის ვრცელ დამოძღვრად და მეორის მისი შესრულების ასევე ვრცელ აღთქმად არის წარმოდგენილი სომხურში (შდრ. ქართ. ა III 11-29=სომხ. ა III 8-20; 40-126; ქართ. ა VII 13-19=სომხ. ა VII 27-41). ხშირად კიდევ

მოკლე და მოკრით თქმა აგრეთვე ასეთივე სახით ვერცაღ არის წარმოდგენილი სომხურში (შდრ. ქართ.  $\text{X } 14-15$ —სომხ.  $\text{X } 11-60$ ). ყოველ შემთხვევაში, თუკი სადმე სომხურში საქმიანი კილო შეინიშნება, ყველგან მასში დამოძღვრის ტონი სკარბობს არსებითს (შდრ. ქართ.  $\text{V}$ —სომხ.  $\text{V}$  თავს). ამასთან ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ სხვა მოქმედ პირებთან აეტორისა თუ მოწამის ბაასი ან დიალოგი სომხურში თითქმის ყველგან მესამე პირითაა წარმოდგენილი (შდრ. ქართ.  $\text{XVI}$  თავი—სომხ.  $\text{XVI}$  თ.). ასეთ შემთხვევებში, ისე როგორც ზემოთაც ერთი ნაწილის მიმართ შევნიშნეთ, რედაქტორის თუ რედაქტორთა ხელთან ერთად უფრო ადვილად ემჩნევა სომხურ ტექსტს ეროვნულ-ეკლესიური ტენდენციები. ეს ჩანს სწორედ ისეთი ადგილებიდან, სადაც, მაგ., შუშანიკს ალაპარაკებენ: „მონანი შენნი, მამანი ჩემნი, რომელთა თესლი ვარ მე-ო“ (6. სომხ.  $\text{V } 104$ ), იგულისხმება მამიკონიანელები და პართეველები; ანდა მას რომ ეუბნება მისი მოძღვარი: „კეთილისა ძირისა კეთილი მორჩი გამოსხნდი-ო“ (6. სომხ.  $\text{X } 13$ ), ან კიდევ: „სახელი და სული დაიმკვდრე მსგავსად წმიდისა მის ჰრიფსიმოსა-ო“ (6. სომხ.  $\text{X } 17-19$ ) და სხ... ამის მსგავსი რამ არ იცის იაკობის სახელით ცნობილმა მარტივობის წიგნმა. ყველა ეს სომეხი აეტორისა და სომხური ეროვნული თვალსაზრისის მომარჯვების ნაყოფია. აეტორის პირადობაც ხომ აგრეთვე, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სომხურში არსად ჩანს. ყველა ეს ადგილი (6. ქართ.  $\text{III } 3, 9-11, 14, 15, 20-22, 24-26, 29; \text{IV } 1, 12-15, 28; \text{VII } 7-39; \text{X } 7-16$ ) სხვანაირადაა სომხურში: 1. თხრობა პირველი პირისა მესამისად არის წარმოდგენილი და ადგილები, რომლებიც აეტორზე მიუთითებენ, ყველა წარბოცილია (სომხურში მარტო კარის ხუცესის შესახებ არის ლაპარაკი და არა იმის შესახებ, რომ ეს კარის ხუცესი იმავე დროს აეტორიცაა, მარტივობის გამომთქმელია<sup>1</sup>; 2. ანდა სრულიად არა ჩანს სომხურში (შდრ. სომხ.  $\text{XII } 12-15; \text{XV } 5-13$ ). ამასთან არა ერთი და ორი ფიგურალური გამოთქმა და მოხდენილი ეპითეტი ქართულისა არ პოულობს შესატყვისს სომხურში. კიდევ მეტი, სრულიად არა ჩანს ადამიანის იმ ფსიქიკური განცდებისა და ბუნების მთლიანი, მეტად მხატვრული აღწერა (6. ქართ.  $\text{XIV } 16-27$ ), რომელიც ქართულს ახასიათებს.

გარდა ამ საზოგადო თვისებებისა, რომლებიც ვერცელ სომხურ მარტივობის წიგნს საერთო აქვს მოკლე წიგნის ერთ ნაწილთან და რასაც ისინი ქართულ მარტივობის წიგნთან მიმართებით ამეღვენებენ, ვერცელ სომხურ წამებას ქართულთან დაკავშირებით კიდევ შემდეგი ზოგადი ხასიათის თავისებურება ახასიათებს: 1. თარიღის აღუნიშვნელობა; 2. გეოგრაფიული ნიშანდობლივი

<sup>1</sup> მიუხედავად ამისა ცნობილმა დ. ალიშანმა (როგორც შენიშნავენ, შუშანიკის წამების წიგნთა გამომცემელმა) მაინც მიიჩნია შესაძლოდ, რომ „შუშანიკის ცხ“ის მოხრობელი, თუ მისი კარის ხუცესი ანდა იოანე ეპისკოპოსი არაა, სხვა თვითმხილველი თანამედროვე ვინმე უნდა იყოსო“ (წამოქცეული წიგნის წიგნის, ირ სქტ ქტირ ერან ხრენს კად მოქნან ხიქო-კოიონ, ილქი ახანათან ჭამანსაკაქც ძე აქოხი დეკა—მთიქცი ჯაქინხან ჯაქიფა, ლ.  $\text{XII } 2$  ან, წამ.  $\text{XII}$ , გვ. 403. შენიშვნა, ვენეტიკი 1869). ეპისკოპოსთაგანის ანდა ხუცესის დაწერილი უნდა იყოს წამებთა გაიფორა მანვე ჯაქოთაათა-შიაც, სადაც ვერცელი წამების წიგნი შუშანიკისა მან შემოკლებით დაბეჭდა (ჯაქაყათაათა: წამოქცე და აქათინქიან ჯაქიფა, ლ.  $\text{XII } 2$  ან;  $\text{P. წამოქცე და აქათინქიან ჯაქიფა}$ , გვ. 186, შენ. 5, ვენეტიკი 1901 წ.).

პუნქტების დაუსახელებლობა და 3. საყოფაცხოვრებო მხარეებისათვის გვერდის აულა. ეს და ზოგიერთი ზემოთ დასახელებული თვისებათაგანი სათანადო ადგილებების დამოწმებით პროფ. ივ. ჯაფარიძის შვილი აქვს ყოელაზე ადრე შენიშნული. აქ მათ დაწერილებით აღარ ჩამოვთვლით. მოსაგონებლად კი მაინც მოკლედ შემდეგს ვიტყვით: 1. თარიღის აღუნიშვნელობა. გარდა იმისა, რომ სთულისა 17-ს დააწესეს შუშანიკის ხსენება, ან რომ წამებამ ექვს წელს გასტანა, სომხური მარტილოზის წიგნებს სხვა არაფერი აქვთ მოყვანილი, მაშინ როცა ქართული ყველგან იჩენს ზედმიწევნილობას; აღნიშნული აქვს წამების როგორც დასაწყისი, სპარსთა მეფის ინდიქციონის მიხედვით<sup>1</sup>, ისე აღსასრული და ტანჯვა-წამების დროები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული კალენდრით. 2. გეოგრაფიული პუნქტების დაუსახელებლობა: ეს იმაში მელაქმდება, რომ სომხური წამებები არსად ასახელებენ წამების მოქმედების ადგილს და არც იმ კუთხეს, სადაც ეს პუნქტი მდებარეობს. აგრეთვე არაფერია თქპული სომხური წამების წიგნებში ვარსკენ პიტიახშის დედის სამარხი ადგილის შესახებ. სომხურში მხოლოდ ჩორ-ის დასახელებას (*ჭიქმასჯ ქიოასი*) ვხვდებით. 3. საყოფაცხოვრებო შემთხვევებიც ქართულისა (5. VI 4-13) სომხურში არსადა ჩანს.

პროფ. ივ. ჯაფარიძის დასახელებული აქვს კიდევ ერთი საზოგადო ხასიათის თვისება: „წარბოცა მოქმედ პიროვნებათა შესახები ისეთი ზედმიწევნითი ცნობებისა, როგორც საკუთარი სახელებია“<sup>2</sup>. მას მაგალითებად სახლის ეპისკოპოსისა და კარის ბუცესის სახელების მოუხსენებლობა მოჰყავს. კარის ბუცესი მართლაც სახელით არსად არ იხსენიება, ხოლო სახლის ეპისკოპოსის სახელი, მართალია, გამოქვეყნებულმა სომხურმა ვრცელისა და მოკლე მარტილოზის წიგნებში არ იციან, მაგრამ, ჩვენ იგი ხელნაწერ ნუსხაში ვიპოვეთ (ეჩმიაძინის მუხუშუმის ხელნაწერი № 941). ისე როგორც ქართულში, იგი აქ აფოცად იწოდება<sup>3</sup>. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ მოქმედ პირთა დასახელების შემთხვევაში (იქ სადაც ეს მას გააჩნია) სომხური წამება შეცდომას ჩადის. მაგალითად, როცა მოკლე წამება შუშანიკის გეამის „წარბუმა-ს“ ეხება, „წარბუშულ“ ეპისკოპოსებად იოანე და სამუელი ჰყავს დასახელებული (ვრცელს სრულად დაუახელებლად მოჰყავს ეს ეპიზოდი, რაც მისი მერმინდელობის მანიშნებელიც უნდა იყოს), მაშინ როცა სინამდელიეში, როგორც ამას ქართული ვრცელი წამება აღნიშნავს, აფოცი და იოანეა. სამუელზე ადრე აფოცს უნდა მიეღო ამ ოპერაციაში მონაწილეობა, რადგან მას, როგორც სახლის ეპისკოპოსს, უფრო შეშვენოდა ეს, ვიდრე „თავსა მას ეპისკოპოსთასა“ სამუელს.

აღნუსხული ძირითადი განმასხვავებელი თვისებები ქართულ სომხური წამებებისა ვერას შემთხვევაში სომხურს ლიტონ, კმენურ ძეგლად ვერ გამოაცხა-

<sup>1</sup> პროფ. ივ. ჯაფარიძის შვილი, „ძველი ქართ. საისტ. მწერლობა“, გვ. 21-24.

<sup>2</sup> მეფის სახელი A ხელნაწერში არაა. სხუბში კი „მრ“ არის, რაც „პეროზის“ გადანაშაუ ჩანს.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 22.

<sup>4</sup> ეს ადგილი ხელნაწერში ასე იკითხება: *«მს ხელნაწერიან »2 ითხთხინე ანუ ქიოძის კონსტანტინე მჭიქი თანს ჩიქიქის, სადაც მჭიქი გრაფიკული შეცდომაა მჭიქი-ისა, ე და მტავაი და ეპილოზის გამო (5. სომხ. 5 III 1-3).*

დებს. პირიქით, ასეთი თვისებები ნიშანდობლივია გადაკეთება-გარდაკაზმებათა შემთხვევებში. ეს არის ერთი ძირითადი საყრდენთაგანი, რომელიც მართებულად შენიშნა პროფ. ივ. ჯავახიშვილი, როდესაც ქართული ვრცელი წამება დედნად, ხოლო სომხური მის მერმინდელ გადაკეთებად აღიარა.

ზემოთ მოყვანილი ტექსტობრივი ანალიზით ამ გადაკეთების სურათიც გამოჩნდა. დავადგინეთ, გვერონია უდაოდ, რომ სომხურში არსებობს ორი ძირითადი რედაქცია ვრცელი წამებისა. ერთი ვრცლად შემონახული (ორი ნუსხით) და მეორე ნაწილობრივ, მხოლოდ ბოლო, ე.წ. მოკლე წამების სახით გადარჩენილი (ერთი ნუსხით). ქართულთან მიმართებით ერთიცა და მეორეც ხშირად მარტო თხრობის ფაქტობრივი მხარის ერთნაირობას კი არ აღნიშნავს, არამედ ტექსტობრივად თანმხედომ ადგილებსაც გვიჩვენებს. მოკლე წამების სახით გადარჩენილმა უთუოდ ვრცელი რედაქციის ერთმა ნაწილმა ეს თანხედომა უფრო უხედა აღნიშნა, ვიდრე ვრცლად შემონახულმა რედაქციამ. ამათ ურთიერთისაგან განსხვავებული აღმოაჩნდათ რამდენადმე არაფაქტობრივი მხარეც წამებისა, ასე ვთქვათ — მოწამებობის შემცველი ადგილები. ესეც, ცხადია, იმას გვიკარანახებს, რომ ისინი დამოუკიდებელ რედაქციებად უნდა მივიჩნიოთ. ქართულთან მეტი სიახლოვე ვრცელი წამების წიგნის ნაწილისა, რომელიც მოკლე წამების სახითაა გადარჩენილი, ფაქტობრივ ნაწილში იმის მანიშნებელია, რომ იგი უფროა დამოკიდებული ქართულ ვრცელ წამებაზე და ამდენადვე იგი წარმოქმნის თვალსაზრისით უფრო ადრინდელია, ვიდრე ვრცლად შემონახული წამება.

ერთსაც და მეორესაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეროვნულ-ეკლესიური დალი ამჩნევია. ეს თვალსაზრისი უთუოდ სომეხი რედაქტორებისაა, რომელთაც ისინი, როგორც აგრეთვე შევნიშნეთ, გარკვეულ ადგილებში ამკლავებენ. ასეთ რამეს იაკობის სახელით ცნობილი ქართული მარტივილობა არ იჩენს და ესეც ერთი იმ საბუთთაგანია, რომლითაც ქართულის დედნობა და ადრინდელიობა მტკიცდება. ეროვნულ-ეკლესიური თვალსაზრისის შესამჩნევი გამოქვლიანება ქართულთან დაპირისპირებით სომხურ ლიტერატურაში ქართულ-სომხური საეკლესიო განხეთქილების შემდეგ იწყება, ე. ი. VII ს-დან. ამიტომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თუ ამ დრომდის სომხურად შუშანიკის წამება იქნებოდა, იგი იგივე იქნებოდა, რაც ქართული (უკანასკნელის თარგმანი), ყოველ შემთხვევაში, დიდად მაინც არ უნდა განსხვავებულიყო ქართულისაგან. მისი გადაკეთება და სომხურ თვალსაზრისზე გაწყობა კი ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო, მაგრამ არა ერთბაშად. აქაც თანდათანობას ექნებოდა ადგილი სომხურ-ქართული ეკლესიების შემდგომი ურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებით. ამაზე, სხვას რომ თავი დავანებოთ, თვით შემონახული მარტივილობების ტექსტებიც მიგვიითებენ. მათი დაპირისპირებითი შესწავლიდან ნათლად ჩანს, რომ ქართულსაგან დამორება თანდათანობით ხდება.

უკვე ცნობილია სათანადო ლიტერატურიდან<sup>1</sup>, რომ სომხურ-ქართული ლიტერატურული კავშირი ეკლესიების გაყოფისთანავე არ შემწყდარა ძველად, არა-

<sup>1</sup> პროფ. კ. ქიქელიძის „ქართ. ლიტ-ის ისტორია“, I ტ., 1923 წ., გვ. 48—49.

მედ იგი კიდევ დიდ ხანს გრძელდებოდა, თითქმის X ს-ის გასულამდის. გაყოფის შემდეგ კარგმა ხანმა განელო და როცა ქართულმა და სომხურმა ეროვნულმა თვითშეგნებამ საზოგადოდ ფეხი ჰზიდგა ყოველ სფეროში (ეს კი არაბების უღლის ქვეშ და მისი მოცილების ჯამს მოხდა), კერძოდ ეკლესიურ საკითხშიაც პოვა მან გამოხატულება. ჯერ საკითხი იმ მხრივ დაისვა, თუ რომელმა უღალატა რომელს, -- ქართულმა ეკლესიამ სომხურს თუ პირუკუ -- სომხურმა ქართულს. ქართველები არ სენ საფარელის სახით, IX ს-ში, სომხებს აბრალდნენ განდგომას, ხოლო სომხები უხტანესის სახით, X ს-ში ქართველებს. ამას მერმე ეკლესიების თავიდანვე ურთიერთისაგან დამოუკიდებელი არსებობის იდეაც დაერთო. კერძოდ ქართულმა ეკლესიამ წარსულში არსებული ყოველგვარი კავშირი სომხებთან გაწყვიტა, დამოუკიდებელი განმანთლებელიც კი წამოაყენა ნინოს სახით. აი, ამ ხანებში (IX—X ს. ს-ში) ყველაზე მეტად დაიწყო ურთიერთთან კავშირის მამულავენებელი ძეგლების საფუძვლიანი გადაკეთება-გადამუშავება. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროს უნდა იყოს ჩამოყალიბებული ეს ეროვნულ-ეკლესიური დღის მატარებელი სომხური რედაქციებიც შუშანიკის მარტილობისა, მაგრამ ერთი უფრო აღრინდელი ჩანს (რომელსაც მეტი სიახლოვის ძაფები აქვს კიდევ შენარჩუნებული თავის ძირითად წყაროსთან, ე. ი. ქართული წამების ვრცელ წიგნთან) მოკლე წამების წიგნის სახით, და მეორე—გვიანდელი (სადაც ქართულთან დამაკავშირებელი ძაფები უფრო სუსტადაა წარმოდგენილი).

ჩვენს ამ დასკვნას არც ამ ძეგლების ენა ეწინააღმდეგება. რა მხრითაც უნდა განვიხილოთ იგი, იქნება ეს მორფოლოგია, სიტყვა-წარმოება, სინტაქსი, სტილი თუ ლექსიკა, ყოველ მხრივ სიახლეს გვიჩვენებს. უკვე შენიშნულიცაა, ცნობილი ნ. აქინენაის მიერ<sup>1</sup>, რომ „პიტიაზის“ (*πυθαιαζης*) სანაცვლოდ ზოგან „ანთიპატროსის“ ხმარება, სიახლეა და ამიტომაც შუშანიკის მარტივობის სომხურ წიგნებს „ახალი რედაქციისად“ (*νιου κειμενου*) მიიჩნევენ. ანთიპატროსი (*αντιπατρος*) ბიზანტიური სახელისუფლო ტიტულია. როგორც უკვე აღნიშნულია სათანადო ლიტერატურაში<sup>2</sup> ქართლსა და სომხეთში ყველაზე მეტად გავრცელებული ბიზანტიურ სახელისუფლო ტიტულთაგან კუროპალატი და პატრიკიოსი იყო. ამათი მიღება ქართველთა თუ სომეხთაგან უფრო მეტად VI—VII ს-დან ხდება. ანთიპატროსიც ამ დროის შემდეგ უნდა იყოს შემოსული აქ, რაც, ცხადია, სომხურ რედაქციებს, რომლებსაც დაუთავს ამ ტიტულის ხმარება (ვარსკენის უფლების აღსანიშნავად) გვიანდელ ძეგლად აცხადებს ვრცელ ქართულ წამებასთან შედარებით.

ზემოთ ქართულისა და სომხური წამებების ტექსტობრივად შედარების დროს აღვნიშნეთ, რომ ორი ძირითადი მხარე არის შესამჩნევი სომხურ წამებებში. ერთი—ფაქტობრივი, ამელაუნებს ქართულთან დამოკიდებულებას, მასთან თანშეხდომობას არა მარტო თხრობის მიმდინარეობის გზით, არამედ მისი ზოგიერთი ადგილის გადატანითაც კი. მეორე მხარე—არა-ფაქტობრივი, რომელიც მთავარი პირის მოწამებობას ეხება (ლოცვა-ვედრება, მოთმინება და სხ.),

<sup>1</sup> ნ. აქინენაის — *«Հանդէս Ամսօրնայ»* 1907 წ., გვ. 123.

<sup>2</sup> ს. ჯანაშია — *«ფეოდალური რევოლუცია საქართველოში»*, ტფ. 1935 წ., გვ. 80—82.

სხვაობს ქართულისაგან. სომხურში ეს ნაწილი ჩრდილაგს პირველს მაშინ, როცა ქართულში პირუკუ ვითარებაა. ამდენად, მაშასადამე, ჩვენ ორი გარკვეული ლიტერატურული გეზის მქონე ძეგლთანაც გვაქვს საქმე. პირველი, ე. ი. ქართული, თავის ფაქტობრივ მხარის ზედმიწევნითი სისრულითა და სიჭარბით, რაც მისი ლიტონობისა ანუ კიმენობის დამადასტურებელია, აღრინდებლობის ნიშნების მატარებელიცაა, ხოლო მეორე, ე. ი. სომხური, სადაც ეს მხარე, პირიქით, შეკვეცილია და ზოგადი შტრიხებით შემცვლელი ზედმიწევნობისა და იმავე დროს წინა პლანზე მოწამობრივი ქცევის დამყენებელიც, მერმინდებობას გვიჩვენებს. მას ფაქტობრივ ნაწილში შეკუმშულად და თავისებური მანერით ქართულზე აქვს გამოყენებული, რასაც ტექსტობრივი შეხვედრებიც მოწმობდენ.

არ იქნებოდა სავსებით სწორი, თუ ვიტყვოდით, რომ ქართულის ფაქტობრივი მხარე ყოველ დეტალში ჰქონდეს აღბეჭდილი სომხური მარტილობის წიგნებს. წერილმანებს რომ თავი დავენებოთ, მსხვილმანთაგან აღსანიშნავია:

1. ადგილების გამოუყენებლობა. ვარსკენის სპარსეთს გამგზავნების თარიღი (I 6); შუშანიკის მიერ პალატის დატოვებისას სახლის ეპისკოპოსისა და კარის ხუცესის სხვაგან ყოფნა: მათგან ამ ამბის დიაკვნის მეოხებით შეტყობა (III 1-6); ვინმე სპარსის მოსულა ზაკით შუშანიკთან მის მოსანადირებლად (IV 1-7); ღვინის მიწოდება ჯოჯიკის ცოლის მიერ შუშანიკისადმი და შუშანიკის საპასუხო საქციელი (VI 9-13); სპარსის შუანდგომლობა საკრველის ასახსნელად პირველი გვემის შემდეგ (VI 24-29); წინადადება ხუცისა სისხლის მობანისა და სალბუნის დადებისათვის პირველად რომ სცემეს შუშანიკს (VII 12-17); ჯამადის მოგზავნა სამოელისა დი იოანე ეპისკოპოსისაგან და მისი კმევა ხუცის ხელით (VII 20-25); ბეობა შუშანიკისა ხუცესთან სამკაულის დაბრუნებისათვის: პიტიახშისაგან მათ დასაბრუნებლად ხუცესის მიწოდება და მისთვის ამ საქმის მინდობა (VII 26-40); ეკლესიიდან შუშანიკის წათრევისას სახლის ეპისკოპოსის შეურაცხყოფა გინებით (VIII 9-14); შუშანიკის წაყვანა ციხეში; დიაკვნის გასამხნევებელი სიტყვებისათვის ღვენა და ამბოხის შედგოვა წაყვანის ეამს (IX 1-19); ციხეში ჩამწყვდევის შემდეგ მესამე კვირაზე პიტიახშისაგან მცველის მიერ შუშანიკის ამბის შეტყობა (X 1-6); ციხეში ფსალმუნების დასწავლა შუშანიკის მიერ (XII 1-5); მოციქულების მივლენა პიტიახშისაგან შუშანიკთან და დაბრუნების შეთვლა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩორღ ან კარად წარგზავნა და შუშანიკის პასუხი (XIII 1-11); მეექვსე წლის გასულს შუშანიკის ვითარების აღწერა (XIV 1-9); ციხის გარემოს კლიმატური პირობები (XIV 21-28); მეშვიდე წლის დამდეგს შუშანიკის ვითარების აღწერა—წყლულგბანი, მატლის დახვევა; ხუცესის წუხილი და შუშანიკის პასუხი (XV 1-15); შუშანიკის საყვედური ჯოჯიკისადმი, რომ შემწე არავენ გამოჩნდაო და ჯოჯიკისაგან თავის მართლება (XVI 22-27).

2. თხრობის შემხვედრი ადგილების თავისებურად წარმოდგენა.—პიტიახშის ცოლად მეფის ასული ბრძანა სპარსთა მეფემო, ამბობს ქართული მარტილობის წიგნი (I 29-30), სიღვდროო აღნიშნავს სომხური (I 36). ხუცის საუბარი შუშანიკთან, როცა იგი პირველად გასცილდა სასახლეს ქართულით ერთ მომენტში ხდება. სომხურში კი რამდენჯანსმე (შდრ. ქართ. ა III

10-29=სომხ. ა III 8-12<sup>6</sup>); ვახშმის სურათი განსხვავებულად არის აღწერილი სომხურში ყოველმხრივ (შდრ ქართ. ა VI 4-3=სომხ. ა VI 1-17). პირველი გვემის შემდეგ, ქართულით, პიტიახში „ნადირობად წარვიდა“ (VII 5), სომხურით კი—„საქმესა მის სოფლისასა განეწესა“ (VII 17-18). რამდენადმე თავისებურადაა აღწერილი მოგვი ქალის განკურნებაც (შდრ. ა, ქართ. XI 6-16=სომხ. ა XI 25-51). ციხეში მყოფი შუშანიკის დასაბრუნებლად, ქართულით, პიტიახშმა ძუძუეს-მტე მისი მიაღლინა (ა ქართ. XIII 12-20), ხოლო სომხურში ნათქვამია, რომ გრძნეული დედაკაცის მეგობრით ერთ წელს ღონებდა შუშანიკის დაბრუნების საქმეს პიტიახშიო (ა სომხ. XIII 1-9). ქართული წამებით შუშანიკთან გამოთხოვებინათვის ჯოჯიკი, ცოლშვილი და მთელი სახლი მიდის (XVI 1-56), სომხურით კი ჯოჯიკი და მისი ცოლი (ნ. ასომხ. XVI 1-21).

3. ვარდა ამისა სომხურს ქართულისათვის უცნობი ამბებიც მოეპოება. — ა) პირველი გვემის შემდეგ, ამბობს სომხური წამების წიგნი, ატყდა შფოთი რაამე. შვილების დახიზვნას შეუდგა ვარსკენი. მდინარეზე რომ გადაჰყავდა, ერთი წყალში დაეღუპა. ამან კი მთელს სამფლობელოში გლოვა გამოიწვია. გლოვის დასახსნელად მარჯანი და ქართლის დიდკაცობა მოვიდა. შუშანიკი ამ დროს სამწყვდეულოდან ეპისკოპოსის სასახლის ერთ-ერთ სენაკში გადაიყვანეს და იქ იყო მათ წასელამდისო (ნ. ა სომხ. VII 35-84). ბ. ციხეში გადაყვანის ეამს მცველები დაუყენა შუშანიკს, ურთიერთობა არაეისტან ჰქონდესო, მაგრამ—დასძენს სომხური მარტილობის წიგნი—პირობის შეუსრულებლობისათვის მობრუნებულმა პიტიახშმა დასაჯა მცველებიცა და თვიონ ტუსალიცაო (ნ. ა სომხ. XII 1-14)<sup>7</sup>. დასასრულ გ) ვრცელი წამების გამოცემული ნუსხა და აგრეთვე მოკლე წამებაც (ქართულ თარგმანთან ერთად) პიტიახშის გამაზღვანების ერთ-ერთ საბაბად პიტიახშის მიერ თავის ასულთან შეუღლების განზრახვას ასახელებს (ნ. ა სომხ. III 33-34 და მისი ვარიანტი, იქვე შენიშვნად; აგრეთვე ბ, I 41-44).

რატომ არსადა ჩანს სომხურში ქართული წამების მრავალი მომენტი, ან რად არის შეცვლილი ზოგიერთი მათგანი, ანდა საიდანაა მოხვედრილი ახალი, ქართულისათვის უცნობი შემთხვევები სომხურში, ამის გადაჭრით თქმა ძნელია. დაგდება რომელიმე მომენტისა, ისიც ფაქტობრივი ხასიათისა, გადაკაზმული რედაქციების მხრივ ჩვეულებრივია, ისე როგორც შეცვლა ზოგიერთი მათგანისა. მაგრამ ახლის შემოტანა უკვე დამატებითს წყაროზე მიგვიბრუნებს. რომ შვილების დახიზვნის, ერთი მათგანის მდინარეში დახრჩობისა და მით გამოწვეული გლოვის ამბავი ინტერპოლაციური ხასიათისა უნდა იყოს, ამას ჩემი აზრით, ერთგვარად დასაწყისი სიტყვებით მოწმობენ; *ღნუ ძამანასაკან ღნუ აკანთიქ* („მათ ეამთა ოდენ“) ისეთი გამოთქმაა, რომელიც ჩანართისათვის უფროა დამახასიათებელი, ვინემ ძირითადი ტექსტისათვის<sup>8</sup>. ამრიგად, სომხურ წამებას,

<sup>6</sup> ეს არის მესამედ გვემა შუშანიკისა, რომელიც ქართულში ბოლოს არის დასახელებული, მაგრამ თვით გვემის გარემოებაზე თხრობაში არაფერია ნათქვამი. ეს იმას მოწმობს, რომ ქართ. ტექსტი ჩვენამდის პირვანდელი სისრულით არ შემანახულა.

<sup>7</sup> სხვათა შორის ამავე სიტყვებით იწყება „ჰოიუსიმიანთა“ წამების თხრობაც აგათანგელოზთან. წამებას აქ უტირავს თავები XIII—XX-მდის (ნ. *Ազգայնագիտ. Գրասենյակի Լայոց*,



ნაარსობლივი შედარებიდან ჩანს, არამედ ტექსტობრივი დაპირისპირებითაც. ქართული ტექსტის გარკვეული ადგილების შეხვედრა სომხურთან (უფრო მეტად ე. წ. „მოკლე წამებასთან“) უკანასკნელზე დამოკიდებით კი არ აინსნება, არამედ პიროქით—სომხურია დამოკიდებული ქართულზე. ამას უნდა მოწმობდეს ის non sens-იც, რომელიც შუშანიკის აღსასრულის თარიღის დასახელებაში შევნიშნეთ სომხურში. შუშანიკის სომხური წამების აღრინდელი წიგნის გადანაშთია ის შეხვედრები, რომლებსაც მოგვიანო დროის ნაციონალური თვალსაზრისითა და ფორმით ჩამოყალიბებულსა და ჩვენამდის მოღწეულ წამებებში ვხედავთ. ესენი IX—X ს. ს-ების ნახელავი გვეგონია, ერთი უფრო აღრინდელი („მოკლე წამება“) და მეორე („ვრცელი წება“) მერმინდელი, წინას შემდგომი გადაბუშავება. მათი პროტოტიბი VII ს-დან უნდა შექმნილიყო, რადგან ამ დროიდან იწყება ქართულისა და სომხური ეკლესიების ცხოვრების ეროვნული სახით წარმართვა.

ასეთ დასკვნებს, ზემოთ (ნ. გვ. 021) დასახული გზით მსვლელობის შედეგად რომ ვიღებთ, უპირისპირდება იქვე აღნიშნული შეხედულებები P. Peters-ისა (ნ. გვ. 020-021). იაკობის შრომის ვითომდა ნატყუარობის დასამტკიცებლად P. Peters-ს დოკუმენტები მოჰყავს. პირველი მათგანია ის, რომ თითქოს ქართულ წყაროებში არც საისტორიო ხასიათისაში („მოქცევაჲ ქართლისაჲ“, „ქართლის ცხოვრება“) და არც ლიტურგიკულში (ტკპიკონებსა და საგალობლებში) არსად ჩანდეს შუშანიკის ხსენება. შემდგომ საბუთად იმასაც ასახელებს, რომ სტილი, კომპოზიცია, ენა და ციტაცია საღვთო წერილისა არ ატარებს არქაიკულ სახესო. კრებულიც („მრავალთავი“, საქ. მუზ. ხელნაწ. A ფონდი № 95), რომელშიაც წამების ძველი ნუსხაა შენახული, იმის გამო, რომ იქ შეტანილია სიტყვები იოანე ბოლნელისა, რომელიც ბაგრატ III დროს მოღვაწობდა (980--1012), არაა X ს-ისა, არამედ გვიანდელიაო. ამით კი მას იმის თქმა უნდა, რომ აქ შეტანილი შუშანიკის წამებაც 940 წლის თარგმანის გამოხმაურებით არის შექმნილი და ამიტომ X ს-ის კრებულში ვერც მოხვედებოდაო.

იმის საპასუხოდ, რომ თითქოს შუშანიკის ხსენება არსად იყოს ქართულ წყაროებში, ნაწილობრივ ზემოთაც ითქვა. იქ ვნახეთ, რომ ძველ ქართულ ტკპიკონს, ე. წ. „იერუსალემის განჩინებას“ შუშანიკის ხსენება აღმოაჩნდა. შუშანიკის წამება მოკლედ დატულია „ქართლის ცხოვრება“-ში, ისევე როგორც საამისო ცნობა „ქართლის მოქცევასაც“ დაუტავს. ამონაწერები მათგან ჩვენი მიმოხილვის II თავში მოვიყვანეთ. აქ მათ აღარ გავიმეორებთ. რაც შეეხება იმას, თითქოს იაკობის ნაწარმოები „მოკლე წამების“ ქართული თარგმანის საპასუხოდ იყოს დაწერილი, ნაწილობრივ ამის პასუხიც ზემოთ ტექსტობრივი ანალიზის დროს გაირკვა. იქ შუშანიკის აღსასრულის თარიღის შესახები ცნობების შეჯერებისას ვნახეთ, რომ სომხური „მოკლე წამება“, რომლიდანაც ქართული „მოკლე მარტილობა“ ითარგმნა, ქართულის ვრცელ ტექსტზე დამოკიდებული (იაკობის ნაწარმოებისაზე). ეს ვითარება კი იმ ქართულ-სომხურ ტექსტობრივად შემხვედრ ნაწილში შეგნიშნეთ, რომლებიც ერთი-მეორესთან ძალზე ახლოს დგანან, ერთი-მეორის თანაშეხვედრას წარმოადგენენ. დავუპირისპიროთ ახლა სომხური ტექსტის ეს შემხვედარი ადგილები ძველი ქართული თარგმანის სახით

(940 წლისად აღიარებულს P. Peeters-ის მიერ) იაკობის შემხვედრ ადგილებს და ერთგვარად მათ ენობრივ დაფასებასაც გაეპარკვევით:

XVII. ...მოიწია თავი იგი ეპისკოპოსთა სამოელ და იოანე ეპისკოპოსი, მისივე მოყუასი, რომელ იგი იყვნეს განამარტოებულ და დიდად დამაშურალ, სახლეულითერთ თანა ყოფით იყვნეს მონა, და მონაწილე იყვნეს და თანახიარ შრომათა მისთა; მადლობით წარჰხაენიდეს ნავთსადგურისა მის მიმართ ქრისტისისა.

მსგავსად მისევე სახისა ახნაურნი დიდდინი და ზეპურნი დედანი, ახნაურნი და უახნონი სოფლისა ქარაღისანი მოვიდეს. ეგრეთვე, რომელნი იგი გულს-მოდგინებით მონაწილე ყოვილ იყვნეს შრომათა მათ მისთა სანატრელობით, ვითარცა ახვანა მკენსა მიჰვედრიდეს ქრისტესა.

და თხოვას ერთსა ითხოვდეს მისგან ყოველნი იგი ეპისკოპოსნი და ახნაურნი ერთ-ჩამად, რაათა ბორკილი იგი ფერკეთად ბრძანოს საცოდ და ნაკურთხევედ ყოველთათვის, რომლისათვისცა ჰქრქუა წმიდაჲნი შუშანიკ, ედ ამე რაჲ ვარ, არა ღირსი ესე? ხოლო ღმრთიან-მოყუარებისა თქვენისათვის ზუცესმან აღავსენ წადილი თქუენი მაგის სახსათვის...

XVIII. ...და 'ნეკედრებდა ნეშტა მათ ძულთა მისთასა და უპრანებდა დასხმად ადგილსა მას, ვინაჲცა იგი პირველად გამოითრის, და ეტყოდ: 'ეუფეთუ ღირს რამე ვარ...

XIX. და მაშინდა მსწორულ მოილო... სუდარი წმიდაჲ... და განებანეთ იგი მატრისა მისგან მიწოვნისა და თხარაღისაგან... და ეპისკოპოსთა მათ ორთაჲ... ყოვილი კრებულთითურთ ფსაღმუნითა სულთერთა და კრ...:ნითა აღნთებულთა და საკუთველითა სულნელითა აღვიხუნით პატროსანი ძულნი და გამოვიხუნით წმიდასა მას ეკლესიასა. და დაჰქრძალენით. განმხადებულსა მას ადგილსა. და მას ლამესა ანკელობთა სახედ ლამშ იგი განვათეთუ და დავითის ქნარითა მით ყოვლად ძლიერსა ღმერთსა... ვადიდებდით.

ამ დაპირისპირებიდან ნათლად ჩანს, თუ რომელი ტექსტთაგანია უფრო მეტად სიძველის ნიშნების მატარებელი, — იგი, რომელსაც P. Peeters-ი მოგვიანო დროისად მიიჩნევს, ე. ი. იაკობის სახელით ცნობილი ნაწარმოები, თუ 940 წლისათვის (მისივე ვარაუდით) სომხურიდან ქართულად ნათარგმნი შუშანიკის მოკლე წამების წიგნი. ვერას შემთხვევაში უპირატესობას უკანასკნელს ვერ მი-

II. ...და მოუწოდა მღვდელთ-მოდღუარსა სამეულს და იოანეს. რომელნი განამლოებდეს და ნუგეშინის სცემდეს მას ჰიართა შინა მისთა და დიდად დამაშურალ იყვნეს მისთვის სახლეულითურთ მათით. ხოლო იგინი მოვიდეს და კურთხევითა და მადლობითა წარჰხაენიდეს მას ნავთსაყუდლისა ყოველთაჲსა ქრისტესა...

და მათ თანა მოვიდოდეს მთავარნი და დედოფალნი, ახნაურნი და უახნონი ქუყანისა ქართლისანი, რაათა ნაწილი მიილოწი ნეტარებასა მისსა თანა, ვითარცა მკენსა და წარჩინებულსა ქრისტესმეოცა.

და ითხოვდეს მისგან ყოველნი ვედრებით ეპისკოპოსნი და მთავარნი, რაათა საკრეული ფერკეთა მისთანი მოეცნენ მათ საკურნებელად, რომელიცა აღუწყეს დედოფალსა. ხოლო მან მიჯოდა და ჰქრქუა მათ, ვითარმედ: 'ამე არა ღირს ვარ მაგის ყოვლასა. არაჲდ ღმრთიან მოყუარებისა თქვენისათვის გვეყენ ვითარცა ინებეთ...

III. და ბრძანა დასხმად ნაწილი კორცთა, თესთანი პირველსავე მას ადგილსა, ვინაჲ იგი თრევით განიყუანეს; ამიერ ადგილით. 'ეუყუეთუ ჯერ გიჩს'...

IV. და ადრე-ადრე მოიღეს ტილოჲ წმიდაჲ და განბანეს გუამი წმიდისაჲ მის მატრთაგან და უქუდათა, რომელნი დათმინდეს საპყრობილესა შინა. და ეპისკოპოსთა ორთაჲ აღიღეს ვჟინი წმიდისაჲ მის და წარყუანეს სიმრაველითა ერისაჲთა... საკუმეველითა და ფსალმუნითა, გალობითა 'სულთერთა, სანთლებითა და სულნელთა საკუმეველთაჲთა წმიდასა ეკლესიასა, და დაჰქრძალეს. და ნეტარნი იგი მღვდელთ-მოდღუარნი სამოელ და იოანე ყოვილითა მით კრებულთა ადიგებდეს ღმერთსა და განათიეს ლამშ იგი უძილად.

ვანიკებთ. ტერმინების ხმარებაც კი ამის დაბრკოლებას შექმნიდა. ასეთ ტერმინთაგან კი აქ ვაწყდებით:

იაკობის ნაწარმოებით:

მოკლე წამების თარგმანით:

1. თავი ეპისკოპოსთაჲ (XVII 1).
2. აზნაურნი დიდ-დიდნი (XVII 9).
3. ზეპურნი დედანი (XVII 10).
4. სოფელი ქართლისაჲ (XVII 11).

- მღღელთ-მოდღუარი (II 1) = *ყილი ან ექსალარ ხოქსილი*;  
 მთაჲრნი (II 9) = *საქათარც*;  
 დედოფალნი (II 10) = *სხოილე ოქსიარც*;  
 ქუეყანაჲ ქართლისაჲ (II 11) = *საქსარც ლრავ*.

მართალია, სამწუხაროდ ჯერ ჩვენ (ისე როგორც სომხებს) არა გვაქვს ისტორიული გრამატიკა, ისე როგორც ისტორიული ლექსიკონიც, მაგრამ ზოგიერთი აქ აღნუსხული სიტყვის შესახებ საგანგებო დაკვირვება არსებობს. პირველ რიგში აქ ჩვენ „სოფლისა“ და „ქუეყანის“ ხმარებას ვგულისხმობთ. პროფ. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვების თანახმად<sup>1</sup> „სოფლის“ ხმარება „ქუეყანის“ აზრით აღრინდელი ხმარებაა. «ტერმინს — „სოფელი“ ქვეყნის აღმნიშვნელობა თვით მე-VIII ს. დაშლემდეცა აქვს შენარჩუნებული»<sup>2</sup>. მათი აღრევა, ანდა „სოფლის“ „ქუეყანი“ შეცვლა, ამ დროის შემდეგ იწყება. აღრინდელი ხმარებისა ჩანან აგრეთვე: „აზნაურნი დიდ-დიდნი“, ვიდრე „მთაჲრნი“, „ზეპურნი დედანი“, ვინემ „დედოფალნი“ და „თავი ეპისკოპოსთაჲ“, ვიდრე „მღღელთ-მოდღუარი“. ამრიგად, ეს მხარეც წარმოდგენილი დაკვირვებისა იაკობის ნაწარმოების ნატყუარადა და მერმინდელი დროის ძეგლად გამოცხადების აზრს არ ამართლებს.

ვერც იმაში დავეთანხმებით P. Peeters-ს, თითქოს იაკობის სახელით V ს-ად გასაღებული, ხოლო ნამდვილად კი ვითომ XI თუ XII ს. ს-ის ნაწარმოები უხტანესით მოთხრობილ შუშანიკის წამებასთან ზოგიერთი შემხვედრი ამბის გამო იცნობდეს უხტანესის წყაროს, რომელიც სხვა სომხურ წყაროთაგან განსხვავებული და ცალკე არსებული სომხურადვე ვგულება უცხოელ მკვლევარს<sup>3</sup>. შუშანიკის წამებას უხტანესი თავისი წიგნის (*ჟათამილქან რატანმან ლრავ ქ ჯაკიფ*) მე-67 თავში გადმოსცემს (ნ. ზემოთ, გვ. 016-017). ავტორი გვამცნობს, რომ სასურველი ყოფილა მისი აღრესატისათვის შუშანიკის ისტორია („აწ ამიერთგან საწადელსა შენსა მიეწიფებით უწყებასა...“), რომლის წამება „ქრისტის ღმრთის მსახურებისა და წრფელისა აღსარებისათჳს“ მომხდარა. უკანასკნელი გამოთქმა უკვე იმაზე მიგვითითებს, რომ უხტანესი ამ წაწებაში შუშანიკს ისე უტკერის, როგორც წრფელისა (ან ქეშმარტის) აღსარებისათვის თავდადებულს. იმ აღსარებისათვის, მაშასადამე, რომელსაც სომხები ადგენენ ქართველებისაგან განსხვავებით, და რომელსაც ქართველებიც იზიარებდნენ ერთ ხანს, მაგრამ კირიონის დროს რომ განუდგნენ. ამრიგად, აქაც ნათლად ჩანს უხტანესის პოლემიკური ტონი, როგორც დანარჩენ მის ნაწარმოებში. ამ მხრთე კი, ცხადია, მისი თვალსაზრისი ნაციონალური იქნება ამ საკითხში. მაგრამ ეს როდია საგულისხმო ახლა ჩვენთვის, არამედ ის, რომ, ის თავის თბრობას, როგორც თვითონ აღიარებს, გადმოსცემს როგორც წერილობითი წყაროების მი-

<sup>1</sup> პროფ. ივ. ჯავახიშვილი — „ქართული სამართლის ისტორია“. წიგნი პირველი, გვ. 139—141, ტფ. 1928 წ.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 140.

<sup>3</sup> P. Peeters, Anal. Bol., LIII, გვ. 302—303.

ხედვით, ისე ზეპირითაც (*იჲ ჩხუ ყიჲლ ჰ ანჲქჲრ ძხუ სჲს ილასანსუ* — რაა იგი წიგნითა და უწიგნოდ გვსწავიყის). მისი მონათხრობიდან მართლაც ის ირკვევა, რომ სომხურ წამებებს გარდა ის სხვა წყაროსაც იცნობს. ეს წყარო კი ჩვენი აზრით იაკობის სახელით ცნობილი თხზულება ან მისი მსგავსი რამ ჩანს. უფრო კი იაკობისაა საგულებელი ქართულად, რადგან საფიქრებელია, რომ ქართულის მსგავსი თუ მისგან ნათარგმნი წამება უკვე უხტანესის დროისათვის პირენდელი სახით აღარ იქნებოდა ცნობილი. მას კი ქართულის გაცნობა შეეძლო, თუნდ იმავე გზით, როგორც სხვა ქართულად დაკულ დოკუმენტს გაეცნო, სახელდობრ მოსე კათალიკოსის ეპისტოლეს კირიონისადმი (ხუეიკი ეპისკოპოსის შესახებ) და კირიონის პასუხს ამაზე. ეს გზა კი იყო თარგმანი, რომელიც მისთვის შეუსრულებია ქართულის კარგად მცოდნე ვინმე კირაკოს ხუცესს<sup>1</sup>. თარგმანი ამ შემთხვევაში შესაძლოა ზეპირიც ყოფილიყო. ერთი სიტყვით, იაკობის ნაწარმოები გვეგონია ის ისტორია ანუ უწყება შუშანიკისა, რომელშიაც ყოფილა მოთხრობილი (*საჲჩ ქასჲ ქიქრიჲმ აყათამიქსანსჲს*): „მოითრია იგი ფოლორცთა და უბანთა ზედა, და შემუსრა კუერთხითა, და სცა პირსა და ყბასა, ვიდრემდის მრავალთა დღეთა არარაჲ ეძლო ხილვად თუალთა მათ დაბუმებითა. და მერმე საკრეულთა, რკინათა და საპყრობილესა [იყო]. ადგილთა მათ სიმყარალჲ და სინოტიეჲ საპყრობილისაჲ მის უმეტესრე იყო, დაუტეო თქუმად იგი, რომელი გრწყვილისა და მატლთაგან მას ზედა მოიწია შექირებებაჲ, რომელი ითხრობის მისსა მას უწყებასა“<sup>2</sup>. აქ ჩამოთვლილი მომენტები უმთავრესად ცნობილია იაკობ ხუცესის ნაწარმოებით, რომლითაც უსარგებლია კიდევაც უხტანესს.

P. Peeters-ს ამ თხრობასთან დაკავშირებით შენიშნული აქვს, რომ იაკობის სახელით ვითომცდა გასაღებული აგიოგრაფიული ნაწარმოების შემთხვევლის სიყალბე იმაშიაც მოჩანდეს, რომ ჯეროვნად ვერ იყენებდეს იმ სომხურ წყაროს, რომელიც უხტანესსაც ჰქონოდეს და იქ ვითომ ამოკითხულ უფრეთის ციხის კლიმატურ აღწერას იგი შეუფერებლად მიაწერდეს ცურტავს. არც ეს გვეგონია ჩვენ სწორი. გაუგებრობაზე რალაც მანქანებით აგებული შეხედულებაა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ იაკობი ციხისა და მისი სანახების აღწერას გვაწვდის და არა ცურტავისას, და მეორეც—დედაქალაქსაც რომ ეხებოდეს მისი აღწერა, ამაში ხომ უფრო გულწრფელობა იქნებოდა გამომკლავებული ავტორისა, და არა სხვა რაიმე მისი დამამკირებელი მხარე. ერთი სიტყვით, იაკობის მიერ გამოთქმული ქართული ვრცელი წამების წიგნი შუშანიკისა ჩანს წყაროდ უხტანესისთვის ისევე, როგორც იგივე ძველი ძირითადი წყაროა შუშანიკის სომხურ წამებათა წიგნთათვისაც.

<sup>1</sup> *Ու խ ա ն է ս կ պ ի կ ու յ ու մ, «Պատմ. բաժանման Վրաց ի Հայոց», Վաղարշապատ 1871, გვ. 14.*

<sup>2</sup> *5. ზემოთ. გვ. 017.*

<sup>3</sup> *P. Peeters, Anal. Bol., LIII, გვ. 302.*

#### IV. გარკვეილობის ნიშნთა შინაარსისა და კომპოზიციის საკითხებისათვის.

მას შემდეგ, რაც შუშანიკის მარტვილობის წიგნთა ტექსტობრივი ანალიზი იაკობ ცურტაველის ნაწარმოებს ძირითად წყაროდ აცხადებს მარტვილობის სომხური წიგნებისათვის, ბევრი რამ სათქმელი მათი შინაარსობრივი მხარისა და კომპოზიციის შესახებ არა დაგვრჩენია რა. მაგრამ რადგანაც ამ მხრივაც არსებობს დაეკვება ქართული ძეგლის მიმართ, რომ ვითომც მას თანამიმდევრობაც აკლდეს, ამიტომ მასზე ჩვენ ერთ ხანს მაინც შევჩერდებით.

მარტვილობის წიგნები შუშანიკის წამების მიზეზად უღვთოსა და ურჯულ კმრის, ვარსკენის (სომხ.: ვაზგენის) ქცევას—გამაზღვანებას—ასახელებენ. ვარსკენმა უარყო ქეშმარიტი ღმერთი და იქმნა სპარსთა შჯულისა აღმსაარებელ ან ტეცხლ-მსახურო—ალიარებენ ისინი ერთხმად. გამაზღვანებულმა ქართლის ნთავარმა ანუ პირთაბშმა ერთგულების ნიშნად პირობა მისცა სპარსთა მეფეს: ჩემს ცოლ-შვილსაც გავეამაზღვანებო. მის შესასრულებლად მან ყოველივე იღონა, ცოლი მაინც უარზე დადგა ბოლომდის, რის გამო ექვსი წლის წამების შემდეგ აღესრულაო. ასეთია მოკლე შინაარსი, რომელსაც წამების ყოველი წიგნი მოიცავს.

რა იყო ძირითადი აღმძვრელი მიზეზი ვარსკენის გამაზღვანებისა? სხვადასხვანაირად უპასუხებენ ამას წამებში. სომხური წიგნებით (გარდა ეჩმიადინის ნუსხისა) ვარსკენმა თითქოს უარისმყოფლობა „შიშითა კაცთაათა გინა თუ ნეფსით თვისით ასულისა თვისისათვს“ ჩაიდინა. ქართულით (ერცელით, ცხადია, თორემ მოკლე ხომ იგივე სომხურია, მხოლოდ გადმოქართულებული!) კი პირიქით ვარსკენს „არცა კირი ეხილვა, არცა შიში, არცა მახვლი, არცა ჰყრობილებაჲ ქრისტესათვს“. ეს შიშისათვის, ხოლო ასულისათვის ხომ კრინტიც არსადაა დაძრული ქართულში.

ბუნებრივია, უმიზნოდა და უმიზეზად არაფერი ხდება, მაგრამ მაინც ის არგუმენტები, რომლებიც წამების სომხურ წიგნებს მოჰყავს, დამაჯერებელი არაა. მარტვილობათა წიგნების მიხედვით ვარსკენს გააქვს თავისი. ერთგულების დასამტკიცებლად მოჰყავს ცოლად სპარსი მეფის ნათესავი (ქართულით მეფის ასული, სომხურით კი—მეფის სიდედრი), მიაქცევს შვილებს მაზღვანობაზე და „ბუნებით“ ცოლს აწამებს, მაგრამ არსადაა თქმული, რა ქნა ასულისათვის. ასულზე ხმა არსადაა დაძრული. არც კაცთა შიშის გამოვლინება ჩანს რამეში კონკრეტულად. ასეთი მხარეებია ნაგულისხმევი სომხური წამების წიგნებით ვარსკენის უწყესო ქცევაში, რომლისათვისაც ჯერ კიდევ სამეფო კარს, კტეზიფონს, წასვლის წინ ევედრებოდა ღმერთს შუშანიკი და სხვებსაც სთხოვდა ელოცათ, რომ მოქცეულიყო კეთილ გონიერებაზე შემცოდე. ასეთია მიზანი და მი-

ზეზი ვარსკენის გამაზღვანებისა სომხურით, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, თხზულებასში გამყოლ ძაფად არ არის გატარებული თავიდან ბოლომდის.

სხეანაირი მდგომარეობაა ქართულში. მიზანი და მიზეზი აქ უფრო გამოუმკლავებელია. სომხურის მსგავსი რამ მან არ იცის. სამეფო კარს წასვლის წინ რომ გარაკვეული გადაწყვეტილება ჰქონდა გამორთნილი ვარსკენს და მის შესაბამისად კიდევაც იქცეოდა, ეს შუშანიკმაც იცოდა. შუშანიკი არ თანაუგრძნობდა მას, ამას იგი უწესო ქცევად უთვლიდა ვარსკენს. მაგრამ რაში მდგომარეობდა ეს უწესო ქცევა, ქართული არას ამბობს<sup>1</sup>. ეს იმით კი არ აიხსნება, რომ აგიოგრაფს აქ რაიმე შეეცოდოს, დავიწყებოდეს თხრობის შემდგომი მიმდინარეობისას, არამედ სულ სხეით. შენიშნულია უკვე ქართველ მკვლევართაგან<sup>2</sup>, რომ შუშანიკის წამებას გარდა აგიოგრაფს (იაკობ ხუცესს) სხვა შრომაც უნდა ჰქონოდა, სადაც შუშანიკის ყრმობა და სხვა ამბები იქნებოდა მოთხრობილი. ამას წამების დასაწყისი სიტყვები მოწმობს: „და აწ დამტკიცებულად გითხრა თქუენ აღსასრული წმიდისა და სანატრელისა შუშანიკისი“. აგრეთვე ისეთი გამოხატვაში, როგორცაა: „...შუშანიკ, მოშიში ღმრთისაჲ, ვითარცა იგი ვთქუთ, სიყრმითგან თვისით“ (ნ. ბ | 11—12). შუშანიკის მოშიშვობა, ჩამომაგლობა, გათხოვება, ვარსკენთან ცოლობა და შესაძლოა მაშინ ვარსკენისაგან გამომკლავებული მისი უწესო ქცევის სახეც აქ იყო მოთხრობილი. მეორეჯერ განმეორება საჭიროდ აღარ მიიჩნია აგიოგრაფმა და ამიტომაც დღეს ჩვენ უკმაყოფილებას გვაგრძნობინებს ეს მოძენტი.

ამრიგად, არა გვგონია, რომ სომხურის მიერ აღნიშნული მხარეები ყოფილიყო მიზეზი ვარსკენისათვის მამული რჯულის დასატყვევებლად, კერძოდ კი—ასულის ცოლობა. რომ ეს ვისმესთვის დასაჯერებელი ყოფილიყო, მაშინ მას სომხური მარტილობის ის ნუსხა, რომელიც ეჩმიაძინშოა დაცული (№ 941), არ გამოტოვებდა, ანდა უკეთ—არ შესცვლიდა მას.

არც ოდენ შეურაცხყოფისათვის („ჩემი ხატი დაამკუ და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაას...“), რომელიც მიაყენა შუშანიკმა გამაზღვანებულ ვარსკენს სახლიდან წასვლით („შენი ადგილი დაგიტყვებიეს და სხუად წარსრულ ხარ“), უნდა იყოს ესოდენ განძვინებული ვარსკენი. არც მარტო გამაზღვანების ამბის შეტყობა შუშანიკისთვის უნდა ყოფილიყო მოულოდნელი და გასაოცარი, რომ მისთვის მას მიეტოვებინა სახლი—პალატი, როგორც ეს სამართლიანად P. Peeters-მა შენიშნა<sup>3</sup>. რჯულის გამოცემა არაჩვეულებრივი არ იყო არც მის მახლობლებში. მისი ბიძაშვილი ვაჰანი და თუნდ მამამთილი არშუშა, ხომ უარის მყოფლები იყვნენ! თუ მას შეეძლო არშუშას ქცევა თვალთმაქცობად მიეჩნია, ამას ვერ ვიტყვი ვაჰანის მიმართ, რადგანაც ასეთი თვალთმაქცობა მან შუშა-

<sup>1</sup> P. Peeters-ი აღნიშნუთან დაკავშირებით თავის ნარკვევში ერთგან (ნ. Anal. Bol., LIII, გვ. 286) აღნიშნავს, რომ თხრობის გაგრძელება არაა სრულ თანხმობაში იმ განზრახვებთან, რომლებიც რენეგატს მიაწერესო. შენიშვნა სწორია, მაგრამ ის, როგორც ვნახეთ, უფრო სომხურს შეეხება, ვიდრე ქართულს.

<sup>2</sup> პროფ. ივ. ჯაფარიძის მიერ — „ქართ. საისტ. მწერლობა“, I, 2 გამოც., გვ. 25; პროფ. კ. ქვიციანიძის — „ქართ. ლიტერ. ისტორია“ I, გვ. 120.

<sup>3</sup> Anal. Bol., LIII, გვ. 287.

ნიკის აღსრულების შემდეგ გამოამჟღავნა. მანამ კი ის, როგორც მისი კარის ისტორიკოსი ლაზარე ფარპელი მოწმობს, უარისმყოფლად და უშეჯულოდ იყო მიჩნეული სომეხთაგან. მიზეზი უფრო ღრმა უნდა ყოფილიყო და იგი შედეგი უნდა ყოფილიყო მართლაც მაშინდელი პოლიტიკური ვითარებისა.

სასანიანთა ირანის მცდელობა დღიდან ამ დინასტიის აღმოცენებისა ნიადაგ ის იყო, რომ ჰეგემონი ყოფილიყო ამიერკავკასიაში. ეს აუცილებელი იყო იმისთვის, რომ შეენარჩუნებინა თავისი ბატონობა და ძლიერება, რაშიაც მას მოქიშპეობას უწევდნენ კავკასიონის იქითა ხალხები და ბერძნები. პირველ რიგში ყურადღება სომეხთს მიაპყრეს. სომეხელის დაქვემდებარებით მათ იმედი ჰქონდათ საქართველოსა და ალბანეთზე გაბატონებისა. „როცა სომხეთი ჩვენი იქნებოდა, წერს V ს-ის გასულის ისტორიკოსი ლაზარე ფარპელი, მაშინ საქართველოცა და ალვანეთიც ჩვენი იყო“, იყო თურმე მაშინდელი აზრი<sup>1</sup>.

მომძლავრება ამ მიზნით სწორედ პირველ ყოვლისა სომეხთზე დაიწყეს და განსაკუთრებით იეზდიგერდ II-ის მეფობის ეამს (438—457). პირველად აქ იქმნა დამხობილი მეფობა. სომეხეთი სამარხპანოდ პირველად მაშინ იქცა. დიდ-აზნაურობას—ნახარარებს—წინადადება მიეცათ მეფისათვის სამსახური გაეწიათ მხედრობის გამოყვანითა და ფულადი სახსრების გაღებით. მაგრამ ესეც არ აკმარეს. საბოლოო შემოერთებისათვის რჯულის ერთობის საკითხიც დაისვა (იეზდიგერდის მეფობის მე-12 წელს, ე. ი. 449 წ.). ერთიანობა ამ სფეროში იმიტომ იყო აუცილებელი, რომ დასავლეთთან ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილიყო. სომეხეთის შემდეგ ეს საკითხები მორიგად იქცნენ ქართლისა და ალბანეთისათვის. ყველაზე ადრე კი იგი უშუალოდ ქვემო ქართლს ანუ, სომეხები რომ გუგარქს ეძახდნენ, ეხებოდა. ეს გუგარეთი, რომლის მოსახლეობა ამ დროისათვის ნარევი იყო, წინა საუკუნეებში მასზე სომეხეთის გარკვეული სახის პოლიტიკური ბატონობის გამო (იგი მისი საპიტიახშო იყო), მართალია, მაშინ ქართლის სამეფოს ეკუთვნოდა, მაგრამ მისი პიტიახშების ხაზით სომეხ დიდ-დიდ აზნაურობასთან, კერძოდ, მამიკონიანებთან ერთგვარ ახლო შეხებაში იყო. ეს პიტიახშები ემოყვებოდნენ ნახარარებს (არშუშა მაგ. ქვისლი იყო ვარდან მამიკონიანის ბიძის ჰმაიაკისა; ვარსკენი კიდეც, როგორც ჩვენი წამებები მოწმობენ—სიძეა ვარდანისა), შემწეობას უჩენენ ერთმანეთს (ჰმაიაკის შვილები—ვაჰანი და მისი ძმები—დელასთან ერთად სპარსთა ტყვეობიდან დახსნილნი, არშუშას საპიტიახშოს კარს იზრდებიან) და ერთ ხედრსაც იზიარებენ იეზდიგერდის ლაშქრობისას (არშუშა მძევალთა სამეფო კარს მსგავსად ზოგიერთი სომეხი დიდ-დიდი აზნაურისა) და სხ... ერთი სიტყვით, სპარსეთის მოცილებ სომეხ დიდ-დიდ აზნაურთა (მამიკონიანელებისა და სხ.) რიგებში მყოფნი თუ არა, თანამგრობი და ნეიტრალობის დამცველები მაინც ჩანან ქართლის პიტიახშები, ყოველ შემთხვევაში ვასაკ სიენიელის საქმეთაგან შორს დგას არშუშა პიტიახში და ერთ ხანს მაინც, ალბათ, მისი მემკვიდრე ვარსკენიც.

იეზდიგერდი თავისი ლაშქრობის წინ და მერმეც თვით ლაშქრობის ეამს თავის ზრახვათა სისრულეში მოსაყვანად ცეცხლ-მსახურთ ანუ მოგვებს აგზავნის

<sup>1</sup> *სენ კორძამ ლაქე სხრიალ მსრ კნხისა ჳქრე & სკოლანჯ თაზიანისას მსრ ქანკ ხნა, ჴ. ჟარაკ ხეტი—ჟათამიქისა ლაქიე... ნიქილა 1904, გვ. 43.*

ქართლს, სლვანეთსა და სომხეთს. ლაზარე ფარპელის ცნობით ქართლს 300 მოგვი გამოგზავნა. მათ საქმიანობას ერთგვარად ფრთა გაუშლია ქართლში, როგორც ამას ქართული წყაროები მოწმობს. თანამგრძობებეი გაუჩინიათ თავიანთი პოლიტიკის მეოხებით: მიმძლავრებითა და გადაბირებით. ცხადია, მათი ერთ-ერთი მიძლავრი ბუდე ქვემო ქართლშიაც იქნებოდა, მით უმეტეს, რომ ქვემო-ქართლის პიტიახშები აქტიური წინააღმდეგობის გზაზე არ ჩანს, რომ მდგარიყვენ ირანელთა მიმართ.

ქართული წამების წიგნით (იაკობისა) ამ მოგვთა მზრუნველობა ვარსკენის მიმართ ნათლად ჩანს. სპარსი ვინმე მოგვი არა ერთგზის აძლევს გარკვეულ რჩევას ვარსკენს. ისინი ცდილობენ შუშანიკის დამორჩილებასაც და სხ... უდაოდ მათ გავლენას უნდა მიეწეროს ვარსკენის უარისმყოფლობაც. მათდამი თანაგრძნობა და მათ მხარეზე გადასვლა ვარსკენისა შუშანიკისათვის თავიდანვე შესამჩნევი იქნებოდა. მისთვის, ცხადია, სასიამოვნო არ იქნებოდა ამით იმ სომეხ დიდ-დიდ აზნაურთათვის ზურგის შექცევა, რომლებიც ირანის მიმართ აშკარად თუ თვალთმაქცურად საწინააღმდეგოდ იყვნენ განწყობილი. როგორც ჩანს, ვარსკენის გეზითა და საზოგადოდ საქციელით არც ქართლის მეფე უნდა ყოფილიყო, იმაყოფილი, რისთვისაც, სწორედ შესაფერ შემენტში კიდევ მოკლა იგი. ვიმეორებ: შუშანიკი არ გამხდარა ქმრის ქცევათა და ორიენტაციის გამზიარებელი; გვეგონია, რომ უფრო ვარსკენის პოლიტიკური და საზოგადოდ ორიენტაციად აღებული გზა უნდა ყოფილიყო მათ შორის აშლისა და მდგომარეობის გამწვავების მიზეზი, ვიდრე ვარსკენის უარისმყოფლობა ანდა შუშანიკის მიერ ვარსკენის შეურაცხყოფა პალატის დატეევებით, და მით უმეტეს ისეთი მიზეზი, როგორიცაა „შიშითა კაცთაჟთა გინა თუ ნეფსით თვისით ასულისა თვისისათვს შევარდნა-მოგუებასა“.

ქრისტიანობის ლალატს გარდა რომ სხვა უფრო ღრმა მიზეზი უნდა იყოს ვარსკენისა და შუშანიკის დაცილებისა, ეს ერთგვარად ხუცესისა და შუშანიკის პირველ საუბარშივე უნდა განისმოდეს: «და ვარქუ მე სანატრელსა მას ხუაშიადად-რე „ვითარ გეგულების, მითხარ მე, რაჟთა უწყოდი და აღვწერო შრომაჟ შენი“. ხოლო მან მრქუა მე—„რაჟსა მკითხავ ამას?“ და მე მიუგე და ვარქუ მას: „მტკიცედ სდგაა?“ და მან მრქუა მე: „ნუ იყოფინ ჩემდა, თუმცა ვეზი არე საქმეთა და ცოდვათა ვარსკენისთა».

რით უნდა აიხსნებოდეს ასეთი ალგორიული თუ არა, ბუნდოვანი თქმები მოწამისა და მისი მოძღვრისა? ან იმით, რომ იაკობ ხუცესი როგორც თანამედროვე და თვითმხილველი ავტორი, ერიდებოდა წყარომას შუშანიკის მოკლე და მოწინააღმდეგე მხარისას, რომელსაც იმ კუთხის პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ სფეროში მეტი ხედვრითი წონა ჰქონდა, ანდა იმით, რომ ვარსკენის „საქმეთა და ცოდვათა“ შესახებ მას უკვე ჰქონდა ერთგან საუბარი, შრომის პირველ ნაწილში, რომელსაც ჩვენამდის არ მოულწევი. ამიტომაც შემდეგისათვის ავტორი მას აღარ იმეორებს და მარტო გაკვრით მიუთითებს მკითხველს. ორში ერთი, უფრო კი უკანასკნელი. ყოველ შემთხვევაში არა ის, თითქოს ქართველმა აგიოგრაფმა, როგორც არა-თანამედროვემა და ფალსიფიკატორმა, არ იცოდეს იგი და მის გამო არღვევდეს თხრობის მთლიანობას ერთმანეთთან

შეთანხმებული მხარეების დასახელებით (P. Peeters—Sainte Sousank... -Anal. Bollan., LIII, fasc. IV, გვ. 286).

ამრიგად, უდაოდ საგულისხმო მოსაზრებად და ვგონებ სინამდვილესთან ახლო მდგომად მისაჩნევია P. Peeters-ისებური ახსნა იმისა, რომ ვარსკენის გამაზღვანების მიზეზი მარტო რელიგიის შეცვლით კი არ არის გამოწვეული, არამედ მაშინდელი სოც.-პოლიტიკური მდგომარეობით, ოღონდ მიზეზის სათანადო გამოვლინება, რომელიც სრული სიცხადით მარტივობის არც ერთ წიგნს არ გააჩნის, მაინც რამდენადაც კი მოეპოებათ, უფრო მართებულად ქართული მარტივობის წიგნით (იაკობ ტურტაველისა) არის წარმართული, ეიდრე სომხური წიგნებით და ამ მხრითაც, მაშასადამე, ქართული სომხურზე უფრო მთლიანი და ხელუხლებელი (ამდენადვე პირვანდელი) ძეგლიც არის.

## V. გეოგრაფია თხზულებისა

მას შემდეგ, რაც იაკობ ტურტაველის მარტიროლოგიური ნაწარმოების სომხური მარტივობის წიგნებთან შედარებით მისი პირველადობა გაირკვა, მათთვის ძირითად წყაროდ იაკობი გამოვლინდა და მთლიანი ნაწარმოების აღნაგობაც მას უფრო აღმოაჩნდა, ამ ნაწარმოების ზოგიერთი საგულისხმო სხვა მხარის მიმოხილვას უნდა შევუდგეთ. პირველ რიგში გულისყურს თხზულების გეოგრაფია იპყრობს.

გეოგრაფიაზე სიტყვის ჩამოგდებისას მხოლოდ ქართული წამების წიგნზე შეიძლება საუბარი. აქა გვაქვს საქმე სხვადასხვა გეოგრაფიულ პუნქტებთან, თორემ სომხურ წამებებში, როგორც ეს ტექსტობრივი შედარების დროსაც აღვნიშნეთ, ნიშანწყალი აღვიღათ, სადაც წამება მიმდინარეობს, თითქმის წარბოცილია. მოგვიანო დროის რედაქტორთ საკიროდ არ მიუჩნევიათ მათი დატოვება.

სად მიმდინარეობს შუშანიკის წამება? ქართლის პიტიახშის კარს, გვამცნობენ წამებები. ქართული პუნქტსაც კი ასახელებს. ესაა „დაბა, რომელსა ჰრქვან ცურტავ“.

ცურტავს ჩვენ ხშირად ვხვდებით სომხურ „ეპისტოლეთა წიგნში“, რომელსაც ქართლისა და სომხეთის ეკლესიების განხეთქილების შესახებ საბუთები შემოუნახავს. შემდეგში მათ უხტანესი იყენებს თავის ზემოთ აღნიშნულ (ნ. გვ. 016) ნაშრომში: *«ჴათილიქჲნ გაძანმანს Ⴛრავჲ ჯ ჴაკიჲ»*, რომელშიაც ერთი თავი (მე-XVIII) საგანგებოდ ცურტავს აქვს მიძღვნილი კომენტარის სახით. მისი ხსენება მოეპოება არსენ I საფარელსაც თავის ნაშრომში: „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“.

ქართული მარტივობის წიგნით ცურტავი არის ქართლის პიტიახშის რეზიდენცია. აქ არის პიტიახშის ტაძარი ანუ სასახლე, სახლის საეპისკოპოსო საყდარი და მასზე დაცილებით კიდევ აგრეთვე ციხეც.

დაახლოვებით ამავე ნიშნულობით არის წარმოდგენილი ცურტაევი „ეპისტოლეთა ვიგნშიაც“, რომელიც VI ს-ის გასულისა და VII ს-ის დამდეგის ამბებს მოგვითხრობს. მაგალითისათვის ერთი ადგილიც კი საქმარისია. მოსე ცურტაევის ეპისტოპოსი სომეხთა ეკლესიის დროებით მესაქისადმი—ერთანეს ქერდოლის სახელზე—605—606 წ. მიწერილ პირველ წერილში ამბობს:

*«ზეკ სეს ჩნძ ქ თხ თყაიქსხანსა ზა-  
თანხე ქაქსიკიყაიარანსა მორათაღა<sup>1</sup> ირი  
სეხეხეიო<sup>2</sup>: ღოთ აარქსაჲ აუასერა ქის  
ქი. ძღ<sup>3</sup> ანაჲ ლ<sup>4</sup> თსაჲ იყრი. მქს<sup>5</sup> ზა-  
ქერს ჯ ქირაყერს. იღ<sup>6</sup> ჯ ყარყხხვას ქის  
ჩნძ<sup>7</sup> თოდანსა<sup>8</sup> ქ თსათან<sup>9</sup> ზათანს<sup>10</sup> ქაქთი  
ქარყაყსითათის<sup>11</sup> ზი<sup>12</sup> ზ<sup>13</sup> თან<sup>14</sup> ერანს<sup>15</sup> რეღ-  
ქია<sup>16</sup>»*

«ზემეშთუა მე დღეთა ყრმობისათა მიწე-  
ნაა საეპისტოპოსისა მას ცურტაეს, რომლისა  
ეკლესიისა მ.აწაფეცა ვიჟაჲ წესისაებარ, სადა  
აღუზარდ და ვისწაჲ მწიგნობრობაა სომ-  
ხური და ქართული, სადაცა მომენიჲ მე  
ღირსაჲ უფლისაგან მიწენაჲ საყდარსა სა-  
მოდღუროსა—სახლსა მასეჲ პიტიახმისასა».

აქედან ამჟამად, რომ ცურტაევი რეზიდენციაა პიტიახმისა VI—VII ს. ს. ს. ში. აქ არის საეპისტოპოსო კათედრა, სადაც ქართულისა და სომხური მწიგნობრობის შესწავლა შეიძლება. ორენოვანი მწიგნობრობა კი მით არის გამოწვეული, რომ საეპისტოპოსო იერარქიას ორენოვან მრევლთან აქვს საქმე: ქართველებთან და სომეხებთან. მსახურებას მათ „ორივე მწიგნობრობით“ უსრულებენ. თვითონ მოსე ცურტაეველს, რომელმაც დავა ატეხა სომეხ-ქართველთა ეკლესიებს შორის. წერილებში ხშირად აქვს ნახმარი გამოთქმა: *«ზაკაქხიღს ჰქ<sup>17</sup> თ-  
ნიღმქის<sup>18</sup> მორათაღა, სესეხეხეიო<sup>19</sup>»* [„სომხურ-ენიანს კელმწიფებასა (=სა-  
ბრძანებელსა) ცურტაევისა ეკლესიისასა“], რაც იმას მოწმობს, რომ ცურტა-  
ევის საეპისტოპოში სომხურ ენაზე აღმსარებელნი, ძირითადად, სომეხები ყოფილან. სომხური მღვდელ-მსახურება, როგორც ზემოთ (II თ.) წყაროებისაგან ამოწე-  
რილი ადგილებიდან ჩანს, შუშანიკს დაუწესებია ამ ეკლესიაში, რის შეცვლას  
სომეხთა სამღვდლოება და ხელისუფალნი კირიონ I-ს (VII ს-ის დამდეგს) აბრა-  
ლებენ. უკანასკნელი კი მის არა შეცვლას, არამედ ქართულის გვერდით თა-  
ნაარსებობას აღიარებს.

ადგილსამყოფელო ცურტაევისა დღესაც არაა ნაპოვნი. უბტანესი ამის შე-  
სახებ შემდეგ ცნობებს გვაწვდის (6. *წათამღმქის<sup>20</sup> რათანანს<sup>21</sup> ჴრავე ქ ჴაიყე,  
ვალარშაპატი 1871 წ., გვ. 34*):

*«...მორათანს ანს ანთან<sup>22</sup> ირ ძიჲთ ს კარ  
ჩქათათსეჲყარ ქ ყათამიქსხანს, თათ ქი-  
რათათსანქ, კანქმ ქათანსაქი ანს ჰიჯერ  
ანთანს, ქის აქამ ქარქიქსთეჲ ჰიჯი<sup>23</sup> ჴა-  
ქსერი მანქამაქ ქის ღეჲყარბანქ მარჯა-  
რათქამ ქის ს ზაკაქხიღს. ქის აქამ ქიჯ-  
რსაქ ს ჴაქითორსანქ გარჯარაღეჲ ქიჯერ ფხ-  
ათიან<sup>24</sup> ირ ჰიჯი ქიქერ ანთან<sup>25</sup> ჴაქსხანსაგან,  
ქ ზანანსაგან<sup>26</sup> ირ ჰიჯი ჴრავე-ღათო, ირ ჯ  
ძიქათანანს ხრქიყე აქთანარაგან ჴაიყე ს  
ღრავე, ჴაქი ჴანთეჲქ ქიქიქანს ჴაკაქათთ, ირ*

«ცურტაევი—სახელი იგი, რომელი მარა-  
დის მოვიკენეთ უწყებას [შინა], აქაცა ვაგ-  
სენოთ. მაშინ იგი ერქუა სახელი, ბოლო აწ  
სახელად ჰიქჯან გაჯენქ-ი. მაშინ სავსე და  
ერკელი დიდქალაქი დიდი და სახელოვანი  
[იყო], ბოლო აწ დამცირებული და ზოპიერი  
დაბა ქალაქი [არს] კიდესა მის მდინარისასა,  
რომელსა ეწოდებინ მისი სახელი—გაჯენა-  
გეტ-ი, კუთხესა, რომელსა ჰიქჯან ერაც-  
დაშტ-ი (=ქართულთა ელი), როჲულ არს  
შუა-ზღვარი ორთა მათ სოფელთა, სომეხ-

<sup>1</sup> უბტანესთან; <sup>2</sup> თეკაქსხანს; <sup>3</sup> უბტანესთანა; <sup>4</sup> სესეხეხეიო; <sup>5</sup> (ქი); <sup>6</sup> ანაჲ ჯ abs. <sup>7</sup> თსაჲ; <sup>8</sup> თსათან; <sup>9</sup> იყრი; <sup>10</sup> მქსხანს; <sup>11</sup> ჩნძ ქის; <sup>12</sup> თანთანს; <sup>13</sup> ზიქი; <sup>14</sup> ჴაქსა აქირიქი ზეჲქი-  
კიოთი;

ტ მანამანსაქცე ნრავაჯნ ს ნრავაქი ნოჯა-  
 ჭოორ ს აკანსაორ მხბქ მაკერაოჯარქის  
 შაქხეხე. ს ხეხელ შორთან აქს რსასა-  
 რან რეხეხი მხბქ ზოჯარავსოე კოქმსა-  
 ჭელ ჩქსაქიო ჭარქსოლ ქ ჯავარჯაკაქ სრ-  
 ვაკილსოქ მხროქ არქაქაქ:

გარელთაჲს მკარეთ-მპყრობელისა ჩრდილოთაჲსა, განჭყნებულისა ვალარშაკისაგან არშაკუ-  
 ნიანისა, ჩუენისა მეფისაგანა.

თისა და ქართლისა; იხილვების პირისპირ  
 მის შთისა კავკასიისა, რომელ არს თანამოსა-  
 ზღვრე საკვრველ-ნაშტნი და საკვრეულისა.  
 სახელოჯანისა და საჩინოჲსა დიდისა მის  
 დედაქალაქისა ტფილისისა. და იყო ტურ-  
 ტვე სამკვლეველი დიდისა პიტიაზშისა გუ-

გარელთაჲს მკარეთ-მპყრობელისა ჩრდილოთაჲსა, განჭყნებულისა ვალარშაკისაგან არშაკუ-  
 ნიანისა, ჩუენისა მეფისაგანა.

ამ ცნობის მიხედვით ტურტავი ძველი სახელწოდებაა, უბრანესის დროს  
 (X ს.) გაჯენქი ჰრქმევიო. ამავე დროისათვის იგი დედაქალაქიდან (*მაკერაჲ-  
 ჯაჲ*) დაბა-ქალაქამდის (*ღორქაჲჯაჲ*) დაკინებულა. იმყოფებაო, ამბობს უბ-  
 ტანესი, იმ კუთხეში, რომელსაც *ქრავე-ჯაჲთი* ეწოდება, რაც შუა-ზღვარი  
 სომხეთსა და ქართლს შორისო. ძველად ტურტავი რეზიდენცია იყო „პიტიაზ-  
 შისა დიდისა გუგარელთაჲსა-ო“. ყველა ამ ნიშნებით თვალნათლივ ჩვენ წინ ქვე-  
 მო ქართლი იშლება.

ქვემო ქართლი სხედასხვა დროს სხედასხვა სახელს ატარებს ისტორია-  
 ში. სომხეთის შესახებ ბაასის დროს სტრაბონი (I საუკ. ჩვ. ერ.) მას Γαργαρη-ს  
 ეძახის. იგი მისი ცნობით, არტაშესსა და ზარიადრეს (II საუკ. წინ ჩვ. ერ.)  
 Xორჯუჲ-სა და IIარსჲნერჯ-ის მთიან ადგილებთან ერთად ჩამოუცილებლიათ ქართ-  
 ლისათვის (იბერიისათვის). Xორჯუჲ მკვლევრებს კლარჯეთად ესმით. იგი მტკვრის  
 ზემო დინების მარცხენა მხარეზე ეგულებათ, ხოლო გუგარეთი მარჯვენაზე, სტრა-  
 ბონის აღწერის მიხედვით. პტოლომეოს კი (II ს. ჩვ. ერ.) „გუგარენე“ ეპჯრუჲ-ს  
 სახით აქვს წარმოდგენილი. ტიგრან დიდს (გარდაიცვალა 56 წ.) მისგან შეუქ-  
 მნია მოსაზღვრე ოლქი, თავისი სამეფოს ჩრდილოეთის საზღვრის დასაცავად.  
 სადაც პიტიაზში დაუსვამს. არშაკ მეფის დროს (345 — 367) იგი გამდგარა მისგან  
 და ქართლს შეერთებია და შემდეგ იარალით კვლავ შუშელ სპარაპეტის ხელით  
 დაუბრუნებია. 387 წელს, სომხეთის გაყოფის ჯამს, იგი კვლავ ქართლს დაბრუ-  
 ნებია<sup>1</sup>.

კორჯნი, ლაზარე ფარპელი და ელიშე (V—VI ს. ს.) „გუგარქ-ს“ არ ასა-  
 ხელებენ. მოსე ხორენელს ტაშირის მთავარი (პიტიაზში) აშუშა, რომელიც  
 კორჯთან გეხვდება<sup>2</sup>, გუგარქ-ის პიტიაზშად ჰყავს დასახელებული (ხოლო ტა-  
 შირს გუგარეთის კუთხედ სახელდებს)<sup>3</sup>, ხოლო ლაზარე ამ არშუშას ქართლის  
 პიტიაზშად ჰხადის<sup>4</sup>. გუგარეთსა და გუგარელებს ხშირად ახსენებს იოანე დრას-  
 ხანაკერტელი (X ს.). მათ იგი ეთნიურად სომხებისაგან განასხვავებს და ჩრდი-  
 ლოელ ხალხად აცხადებს<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ლ. ზქრქუძე, *აქს ჯაქი თხელი ანიონხერე*, *ქარქ. წ. ჟიქქიქსხანს, ქქს-  
 ხ* 1907, გვ. 83. 19-21, 113-114.

<sup>2</sup> ზარქს, *ქათმიქქის ქარქი ს მანიონს არქიქს შხარქიქა...*, *ქსხსაქქ* 1894,  
 გვ. 32.

<sup>3</sup> შ. ხორქსაქი, *ქათმიქქის ჯაქი*, *აქქათმიქქიქაქ შანოქქ აქსიქს ს  
 შ. მარქქიქსხანს, შქქიქს* 1913, გვ. 340—341.

<sup>4</sup> ლ. ფარქქიქს, *ქათმიქქის ჯაქი...*, *შქქიქს* 1924, გვ. 52 და სხ.

<sup>5</sup> იოანე დრასხანაკერტელი (თარგმანი და კომენტარები ილ. აბულა-  
 ძისა), გვ. 42, ტფ. უნივ. გამოცემა, ტფ. 1937 წ.

უხტანესი, როგორც უკვე აღენიშნეთ, ქართლის სპიტიანების რეზიდენციად ტურტავს ანუ მისი დროის სახელით „გაჯენქ-ს“ ასახელებს. მხარე კი, სადაც იგი იმყოფება, *ქრახე-ყაჯაი* ად აქვს დასახელებული. ამრიგად, „გუგარქ-ის“ ნაცვლად აქ „ვრაც-დაშტ-ია“ წარმოდგენილი.

არსენ I საფარელი კი ტურტავის საეპისკოპოსოს „სომხით-ში“ ასახელებს (ნ. ზემოთ გვ. 012). საზოგადოდ ქვემო-ქართლისა თუ მისი ნაწილის აღსანიშნავად ქართულ მწერლობაში (X ს-დან) ჩვეულებრივ „სომხითი“ იხმარება. ასეა იგი „ქართლის ცხოვრების“ იმ ნაწილში, სადაც შუშანიკის ამბავია შემოკლებით მოთხრობილი (ნ. ზემოთ გვ. 011).

როგორც „ვრაც-დაშტ-ია“, რასაც „ქართ-ველი-ს“ თარგმანად მიიჩნევენ პროფ. მელიქსეთ-ბეგი, ისე „სომხითი“ პოლიტიკური ვითარებიდან მომდინარე სახელწოდებად მააჩნიათ მკვლევართ<sup>1</sup>, ხოლო „გუგარქ-ის“ ეტიმოლოგია ბურუსითაა მოცული, თუმცა მას ამავე კუთხის ერთი მხარის სახელწოდების არაბულ-თურქულ გადმოცემაში ხედვენ. ესაა „გუჯარეთი“<sup>2</sup>.

გუჯარეთი ტერიტორიულად ერთი და იგივე გარკვეული ოდენობა არ ყოფილა ყოველთვის. თუ სტრაბონის დროს მის გარეთ იყო კლარჯეთი, VII ს-ში უკვე მოსე ხორენელის სახელით ცნობილი სომხური გეოგრაფია<sup>3</sup> მასაც მის შემადგენელ ნაწილად აცხადებს „ძორაფორ“, „წობაფორ“, „კოლბოფორ“ (სამივე ბორჩალოსა და ყაზახშია), „ტაშირ“, „თრიალეთ“ (*Թրիալք*), „კანგარი“, „არტაან-სა“ და „ჯავახეთ-თან“ ერთად.

რა ოდენობისა იყო ქართლის ანუ გუგარეთის საპიტიანში შუშანიკის დროს ზედმიწევნით ძნელია თქმა. ერთი კია, ლაზარე ფარპელის ისტორიის ცნობათა მიხედვით შესაძლოა გაირკვეს სომხეთის ჩრდილო საზღვარი ანუ ქართლის სამხრეთი მიჯნა. მკვლევართა დასკვნის მიხედვით სომხეთის ჩრდილო საზღვრად ანუ ქართლის სამხრეთ საზღვრად „კანგარ-ის“ მთა ჩანს<sup>4</sup>. თვითონ კუთხე კანგარი (*Կանգարք*) ჯავახეთის, თრიალეთისა და ტაშირის სამხრეთით იყო. ამრიგად გუგარეთას ანუ ქართლის საპიტიანში სამხრეთი საზღვარი შუშანიკის დროისათვის „კანგარ-ის“ ანუ ზამბაკის მთები იყო.

მოიცავდა თუ არა ქართლის საპიტიანში ყველა ზემოაღნიშნულ კუთხეს გუგარეთისად რომა მიჩნეული VII ს-ად აღიარებულ გეოგრაფიულ ტრაქტატ-ში? ძნელია ამაზედაც პასუხის ზედმიწევნით გაცემა. შუშანიკის დროინდელი ამ საპიტიანში მხოლოდ ზოგიერთი კუთხეა ცნობილი საისტორიო წყაროებით.

<sup>1</sup> პროფ. მელიქსეთ-ბეგი, „ქვემო ქართლის ზოგადი მნიშვნელობის მქონე გეოგრაფიული ნომენკლატურისათვის ძველად“ (ქართ. საენათმცნეიერო სახ-ბის წელიწდეული I—II, 1923 - 1924, გვ. 357).

<sup>2</sup> პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „საქართველოს საზღვრები“, ტფ. 1919 წ., გვ. 21.

<sup>3</sup> „Армения в эпоху Юстиниана“ (Тексты и разъяснения XI) СПб, 1908 г., გვ. 425.

<sup>4</sup> Армянская география VII в... издал К. П. Патканов, СПб, 1877 г., გვ. 20 (სომხ. ტექსტისა). პროფ. ჰ. მანანდიანის ნაკლებით (*ახილსაყო. თხზულებები ქობულაძე-ერე. 194 წ.*) ეს გეოგრაფია IX ს-ისა და მოსე ხორენელს ეკუთვნის (გვ. გვ. 77-74, 117-123).

<sup>5</sup> „Армения в эпоху Юстиниана“... გვ. 222.

არშუშა პიტიახში მაგ. ტაშირის მთავრად ჰყავს დასახელებული კორკნის, ხოლო მოსე ხორენელი მას გუგართა პიტიახშად სახელდებს. ტაშირი „კანგარ-ს“ ჩრდილოეთით ეყრა. აღმოსავლეთით გუგარეთს „გარდმანი“ (*გარდმანს*) ჰპიჯნებია, ვინაიდან ამ სამთავროზე გავლით მოემართება მამტოცი, კორკნის მოწმობით აღუვანეთიდან ქართლისაკენ, სადაც მან აშუშას სამთავროც მოიხილაო<sup>1</sup>. ამრიგად, ცურტაევი, რეზიდენცია გუგარეთისა ანუ ქართლის პიტიახში, VII ს-ის დროინდელი გუგარეთის აღმოსავლეთ ნაწილშია მოთავსებული, ე. ი. ტაშირისა და მის ჩრდილოეთით მდებარე კუთხეებსა და გარდმანის სამთავროს შორის. ეს კუთხეები კი არიან: „ძოროფორი“, „წობოფორი“, „კობოფორი“ (სამივე ბორჩალოსა და ყაზახს), „ტაშირი“ და „თრიალეთი“ (*ტრიალეთ*).

„ეპისტოლეთა წიგნს“ დაუკავს დვინის კრების (506 წ.) მონაწილე ქართლის ეპისკოპოსთა სია (*წიგ. 182—183*). როგორც კირიონისადმი მესამედ მიწერილ წერილში აღნიშნავს აბრაამ სომეხთა კათალიკოზი, ამ კრების ოქმი („პირობის წიგნი“ = *წიგნის საყარს*) სომხურად ყოფილა შედგენილი, მაგრამ არეულობის დროს დაკარგულა. მისი პირი ბერძნულადაც არსებულა. აქედან გადმოუღიათ სომხურად ქ. ურჰას. წმინდად და ზუსტად ვერ გადმოიღებდნო და ამიტომ ბოდიშობს, თუ მისგან გადმოღებული ადგილიდან ვერ იქნება ქართლის საეპისკოპოსოები სათანადოდ წარმოდგენილიო. ამასთან გამოცნობისა და სწორად გაგების გზასაც უთითებს: შეადარეთ იგი თქვენ ენაზედაც გადაღებულ „ოქმის“ პირსაო. საფეხურებისა თუ ტერიტორიული თანრიგით არის განლაგებული აქ მოყვანილი ნუსხა კრების მონაწილე ეპისკოპოსებისა, კირს თქმა, ვინაიდან შიგადაშიგ ზოგიერთი კათედრალის სახელწოდების ამოცნობა ვერ ხერხდება<sup>2</sup>. პირველ რიგში თითქოს საფეხურებითა ჩანს: ჯერ კათალიკოსია დასახელებული და მერმე სამეფო კარის ეპისკოპოსი. რა კრიტერიუმია მიღებული დასახელებისათვის დანარჩენი 22-ისათვის, როგორც ვთქვით, ამის გამოცნობა ძნელია. ჩანს თითქოს ამა თუ იმ კუთხისათვის ლოკალური რიგია დაცული, ქვემო ქართლისათვის კერძოდ: „სამუელ ეპისკოპოსი დმანისელი“ (*სამუელისელი*), დავით ეპისკოპოსი ბოლნისისა (*ბოლნისელი*), იაკობ ეპისკოპოსი [ცურტაევისა] (*ცურტაევისელი*), სტეფანოს ეპისკოპოსი რუსთაევისა (*რუსთაევისელი*), სპაკ ეპისკოპოსი ტფილელი (*ტფილელი*)“ და სხ... პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს, რომელსაც თავის წიგნში *„ქრისტიანული კულტურის ისტორია“* და *„ქრისტიანული კულტურის ისტორია“* კომენტარის სახით მოყვანილი აქვს როგორც სხვა მკვლევრის, ისე თავისი შეხედულებაც ცურტაევის ადგილ-მდებარეობის შესახებ (გვ. 12—15)<sup>3</sup>, აქ გეოგრაფიული განლაგება აქვს შენიშნული და მართებულადაც ცურტაევი ბოლნისსა და

<sup>1</sup> *კირიონის წიგნი... წიგნის საყარს... დასახელებული კრების მონაწილე ეპისკოპოსებისა... 1894, გვ. 32.*

<sup>2</sup> ცდები მათი ამოცნობისა გააჩნიათ პროფ. ივ. ჯავახიშვილს თავის „ქართული ერის ისტორიაში“, I, გვ. 277—279 და პროფ. კ. კეკელიძეს ნაშრომში: „ქართული ერის ისტორიაში“, ტფ. უნივ. მოამბე X, 320—321.

<sup>3</sup> ცალკეც კიდევ პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, „თრიალეთ-წალკის მატერიალური კულტურის ნაშთებისა და ტაძრების შესწავლისათვის“ ეწერნ. „მარტინისტული ენათმეცნიერებისათვის“, ტფ. უნივ. გამოცემა, ტფ. 1934 წ., გვ. 26—44.

რუსთავეს შორის ეგულება. მართლაც, აქ მდ. მაშავერასა და ქციის შესართავის ახლოს ვახუშტის აღწერით<sup>1</sup> და რუკით (№ 2) აღნიშნულია „გაჩიანი“, ალბათ, იგივე *ჭაყჩინჯა*-ი უხტანესისა. თუ მართლაც ამ სახელით იწოდებოდა ცურტაეი (X ს.), როგორც უხტანესი გვარწმუნებს<sup>2</sup>, მაშინ ცურტაეი აქ არის საძებარი. შესაძლოა ის „ნახიდურიც“ გამოდგეს, როგორც პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს მიაჩნია. ნახიდურიც სწორედ ბევრად შორს არც არის ვახუშტის გაჩიანი-საგან. საბოლოოდ ამის დადასტურება ნივთიერ საბუთის შეუძლია, მიწის სიღრმეში იქნება მოპოებული იგი, თუ მის ზემოთ<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Description géographique de la Géorgie, par le Tsarévitch Wakhouchi, publiée. par M. Brosset, S. Pct. 1842 წ., გვ. 144.

<sup>2</sup> ს. თ. ბელიანი ცურტაეს ჩაჩენას ეძახის, რომელიც ახლა ახტარის სამრეკლო ეკუთვნისა (*ჭაყჩინჯა, დიდი ფქმენი თქმ იხტე ჰასყაოთ. ცხაოთ. ზარანყის შიასყასა*, ტფ. 1910, გვ. 105).

<sup>3</sup> ცურტაეის ძიების საკითხი ნანგრძლივი ისტორიის მქონეა. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მას პირველად ვახუშტი ბატონიშვილი შეეხო, როცა იგი სომხეთის აღწერას იძლევა და იქ მყოფ აგარაკისა და ახტალის ეკლესიაზე ადგებს სიტყვას, — „პირისპირ ახტალისა, აღმოსავლეთით, ბერდუჯის მთას შინა არს შანასტერი ორი-ო...“ — შენიშნავს: „ჰგლონებ ამას ცურტაედ...“ (ნ. M. Brosset-ის გამოცემა ვახუშტის გეოგრაფიისა. გვ. 142). ეს შესაწინარებლად მიიჩნია M. Brosset-მაღ. გაურკვეველ ადგილად მიიჩნევს მას პლ. იოსელიანი. თ. ჟორდანიანი (*ქრონიკები* I გვ 321) ვახუშტისა და M. Brosset-ს იმეორებს. მ. ჯანაშვილი ვახუშტის გეოგრაფიის გამოცემაში „ზოლოტაეც-ში“ ჰედავს „ცურტაე-ს“. პროფ. ივ. ჯავახიშვილი მას ჭერეთის დედაქალაქად მიიჩნევს, ხოლო ადგილმდებარეობა მისი არ ირკვევა, რას-თვის იქვე („ქართული ერის ისტ. II, გვ. 307). ს. კაკაბაძეს იგი ქციის მარცხენა მხარეს ეგულებოდა: „ცურტაე“-ი „ბოლოტ“ სახელწოდების ქვეშ უნდა იფარებოდესო (Bul. Hist. 1924 წ. I 74—75). 1928 წ. კი მან შეიცვალა აზრი და „ცურტაეი“ მამავერისა და ქციის შესართავთან აღნიშნა, იქ სადღე ვახუშტის რუკით „გაჩიანი“-ა აღნიშნულ ო. „გაჩიანი“, უხტანესით „გაჯეჭი“-ი, ავართა ენაზე ფარავს „ცურტაეოს“ (კოჩანი=გოგოა „ცივი“). ბოლო დროს საკითხი და მისი ისტორია დაწვრილებით განიხილა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა, რომლის შეხედულება უკვე ზემოთ მოიყვანეთ.

სომეხ მეკლევართაგან პირველად ლ. ალიშანი შეეცადა „ცურტაეის“ ადგილმდებარეობის გარკვევას უხტანესის ცნობებზე დაყრდნობით (ნ. ზემოთ გვ. 051-052) თავის, P. Peeters-ის თქმისა არ იყოს (Anal. Bol. LIII, fasc. IV, გვ. 296, შენ.) „esquisse romantique“-ში *მთაქტე ჯაქჩინჯაჲ ჰაოე, (ნაო. II, ჟანსხტე 1809, გვ. 375—376)* და მერბე ნ. აკინეანი (*ქიქრისი ღაშოქიტის ჟაოე, ჟქისსა 1910 წ., გვ. 199—200*), რომელიც იწუნაჲებს ალიშანის მოსაზრებას. ალიშანმა ქართლის პიტიახშის ეს დედაქალაქი ბოლნისის ზევს (*ბოლნისი*) და ვრაც-დუბტის (*ჟრავ-გაჯა*) კი ზეზე აღნიშნა. მისი სახელი დღეს გადაიწვეებულია, რომელსაც მხოლოდ ბოლნისის მდინარეს, ე. წ. ბოლოტაერი-ს (*ბოლოტაე*) შეჰდინარე შენაკადი ცურტაეც-ი (*მოდრაგოგო*) მოგვაგონებსო. საიდან აიღო მდინარისა და მისი შენაკადის ასეთი სახელწოდებები, ცნობილი არაა. არსად წყაროში იგი არა ჩანს. მიუხედავად ამისა მას ერწმუნება ნ. აკინეანი, როცა იგი ალიშანისავე სიტყვებით განსაზღვრავს ცურტაეის ადგილმდებარეობას. აქ უნდა გვეძებნა მართლაც ცურტაეი, თუკი სადღე დადასტურდებოდა, რომ ბოლნისის მდინარის შენაკადს ოდესმე ცურტაეც-ი ჰქმეოდა. სახელწოდებები „ბოლოტაერი-ცა“ (=ბოლნისის მდინარე, ალიშანის აზრით) და „ცურტაეც-ი“ გვგონია: ლიშანს ადებული უნდა ჰქონდეს M. Brosset-ის მიერ გაოცეპული ვახუშტის გეოგრაფიიდან. რუკაზე № 2, რომელიც დართული აქვს ამ გამოცემაში, ბოლნისა აღნიშნულია მდ. Pholadaouri-ზე. ამ სახელწოდების დასაფლური საღ. სომხურით ტრანსკრიბირება ჩანს „ბოლოტაერი“ (Pholadaouri → *ბოლოტაე*). ხოლო „ცურტაეც-ი“, რომელიც „ბოლოტაერი“ ს შემდინარედ აქვს დასახელებული ალიშანს, ნაგლისმეფია ბოლოტაე-ფოლადაურისა მარჯვენა შენაკადი, რომელიც უსახელოდა გაშე-ბული რუკაზე. „ცურტაეც-ი“ (Zourtaceta) ამავე რუკაზე მოხსენებულიცაა, მაგრამ უკვე ქციის

ირა ნაკლებ რთულია პერეთის განსაზღვრა, რომელსაც იაკობი ორგან ასახელებს. აგიოგრაფი მას პირველად მაშინ იხსენიებს, როდესაც ირანიდან მომავალი პიტიახში შინ ბრუნდებოდა და „მოიწია... საზღვართა ქართლისათა, ქუეყანას მას პერეთისასა...“, საიდანაც მოციქული გაგზავნა, რომ შესაგებებლად გარკვეული წრეები გამოეყვანაო. მეორედ კი მაშინ ასახელებს, როდესაც პიტიახში ჩორს, ე. ი. დარუბანდს, გაემართა თავისი ცოლის ციხეში გადაყვანისა და საპურობილეში ჩაგლების შემდეგ. ამ ამბებს პიტიახში ძმა ჯოჯიკი არ დასწრებიო, ამბობს იაკობ ხუცესი, და „ვითარ მოიწია ჯოჯიკ, უკუნა სდევლა პიტიახშსა. და მიეწია მას საზღვართა პერეთისათა და ევედრებოდა მას ფრიად, რაათამცა ბრძანა საკრველთა მათგან განტევება...“. ამ მოწმობებიდან ჩანს, რომ ირანიდან მომავალი თუ ჩორს- (დარუბანდს) მიმავალი პიტიახში თავის დედაქალაქში შემოსვლისა და გასვლის დროს პერეთის ქვეყნით მოდის და პერეთითვე გადის. ამრიგად, პერეთი სახელწოდება იმ ქვეყნისა, რომელიც ქართლის საზღვარზეა და მის ფარგლებში (ქართლის საპიტიახში) შემოდის. პერეთი აქ ქართლის საპიტიახში იხსენიებოდა ვითარეული გეგონია, როგორც ვთქვამთ ტაშირი იყო, რომლის სახელითაც ქართლის პიტიახში არსებობდა ცნობილი კორჯნთან. პერეთი ჩვენს საისტორიო მწერლობაში საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეს ერქვა<sup>1</sup>. იგი ესაზღვრებოდა აღვანეთს. პერეთი აკად. ნ. მარის მიხედვით აღვანეთის გაქართველებული მხარეა, რომელიც შემდეგში კახეთის ფარგლებში შევიდა<sup>2</sup>. პერეთი ჩვენს ძველ მწერლობაში მარტო გაქართველებული აღვანეთის სახელწოდება არ ყოფილა ხოლმე, არამედ იგი, როგორც ჩანს, X ს-ის ახლოს აღვანეთის ზოგადი სახელწოდება ყოფილა. ათონის ცნობილ მრავალთავში (№ 57), რომელსაც დაუცავს სამეხ-წმიდათა წამება-ცხობებათა თარგმანები, მოიპოება „წამება წმიდათა მღვდელთ-მოძღუართაჲ სომხითისათა არისტაკესი, ორთანძისი, ოსიკისი, გრიგორისი, დანიელისი“ (255v—257v). წყაროდ ამ აგიოგრაფიული შრომისა პროფ. თ. ჯავახიშვილს<sup>3</sup> სამართლიანად აგათანავლოსი და მოსე ხორენელი მიიჩნია. ეს გამოკრებილი, ანუ კომპილაციური ნაშრომი გრიგორისის აღსრულების შესახებ ამბობს:

«და ვითარ მოიწია ჰამბავი აღსრულებილად ნეტარისა მეფისა თრდატისი, ხაქუცითა მისუ საწატრუკისითა და სხუთა ვეთომე მტყუართა კაცთა პერეთისათა ზოკლეს ნეტარი გრიგორის... ველსა მას ვატნენასა მამლობელად ზღუასა კასათასა...» (257r, 5—13).

*«ჩასქ ჩ ხათხანქ ლამდასო ქაქინანქხ  
 სერათათ, ქ ფახლეო ხორქხ მახთაროე ჯ  
 თაქცე იძანე ნახოთათათ თრახე მკვირ-  
 ხქე თათხანქ ვხრანქხს შერქიერით... ქ  
 ქათხახას ვათხან, ძხრპ ქ ხათოქხანან  
 ჯავახსელ ბიქ...» (518r, II სვ. 38—44, ემბ.  
 ხელ. № 993).*

მარჯვენა შენაკადად, რომელიც შენაბიანის შიიდან იღებს სათავეს. რაჲ გადმოიტანა ეს სახელი „ბოლოჯაფრი-ს“ უსახელოდ აღნიშნული შენაკადისათვის? ალბათ, იმიტომ, რომ უბტანესის თქმას, „ცურტაჲ გაჯუქ-ი“ ნახევარი დღის საკალზეა დაყოლებული ტფილისს და ჯვანასენელის პიოზისპირ არისო. „ცურტაჯეტ-ის Zourtaçeta-ს“) აღნიშნულობა არ უდგებოდა... სურათი, რომელიც ვხედავთ, მეტად თვითნებურია.

<sup>1</sup> პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „საქართ. საზღვრები“, ტფ. 1919 წ., გვ. 10—15.  
<sup>2</sup> Н. М а р т, Арханг, монгольское название христиан... СПб., 1905 წ.  
<sup>3</sup> პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „სომხური საისტ. მწერლობა“ I. ტფ. 1935 წ. გვ. 27—31

აქ, როგორც ვხედავთ, ნათლადაა მოცემული „ალვანთა“-ს შესატყვისად— „ჭერეთი“.

იმავე ათონის მრავალთავეში (345v—347v) მოთავსებულია სომხურიდან თარგმნილი სხვა ძეგლიც: „სიტყუანი წამებისათჳს წმიდისა ოსკისი და მოყუას-თა მისთაჲ“. აქ ვკითხულობთ:

«რომელიცა რსმიწს ესე მახლობელთა დე-  
დუფლისათა, რომელინი მოკრულ იყვნეს მის  
თანა ჰერეთით...» (346r, II ს. 5—9).

«*ყოფილსაჲს და მხარსაჲსაჲს ოსკისი, იგი  
ეჭვის ზიარს ხელსაჲს ჳს, ალვანთა*»  
(*ცხ. ხელნ. № 3737, 148v, I ს. 32—34*).

აქ კი, მართალია, *Ալვანաց*-ის (ალანთა) შესატყვისად ჰერეთია, მაგრამ პროფ. ივ. ჯაფარიძის შვილისა არ იყოს (ნ. მისი „სომხ. საისტ. მწერლობა“, I, გვ. 21), აქ „ქართულ მთარგმნელს, ან სომხური დედანი ამ აღივლიას წარყენი-ლი უნდა ჰქონოდა და *კსკოსანს* წერებულყო, რაც მას შეეძლო კიდევაც ჰერეთად ვადმოეთარგმნა, ან თითონ აერია და *კსკანაც*-ის მაგიერ *კსკოსანს*-ი წაეკითხა“. ყოველ შემთხვევაში ჰერეთი აქ *კსკანაც*-ის შესატყვისად გვაქვს და არა *კსკანაც*-ისა.

შუშანიკის ქართულ მარტივობაში მოხსენებული ჰერეთი ზოგადი ჰერეთი კი არაა, ისე როგორც ხშირად ქართულ ძეგლებში მოხსენებული სომხითი სა-კუთრივ სომხეთი არაა ხოლმე, არამედ ქვეპო-ქართლის შემადგენელი ნაწილია. იგი ქართლის საპატრიარქოს შემადგენელი ნაწილია, რომელიც აღმოსავლეთით იყო საზღვარზე.

ჰვარავდა თუ არა ჰერეთი მერმინდელ რანს, რომლის დედოფლადაც შუშანიკს „ქართლის ცხოვრება“, ანტონ I და იოანე ბატონიშვილი ასახელებენ? ძნელია რაიმეს თქმა. არსადაა ისეთი რაიმე მოწმობა, რომლის მიხედვით ჩანდეს, რომ შუშანიკის დროს მთელი რანი ყოფილიყოს მოქცეული ქართლის საპატრიარქოში. რანის გვერდით ანტონი და იოანე ბატონიშვილი ჰერეთსაც ასახელებენ. მისი დამოუკიდებელი ხსენება უკვე მისსა და რანის ერთსა და იგივეობაზე არ მიგვივითვებს. ჰერეთად მათ ვახუშტისაგან მის გეოგრაფიაში წარმოდგენილი ქვეყანა უნდა მიაჩნდეს, კახეთის მომდგომი აღმოსავლეთის მხრით.

საულისხმოა, რომ სახელწოდება „ჭერეთი“ ალვანეთისა თუ მისი გავართველებული ნაწილისათვის, მხოლოდ ქართული წყაროებითაა ცნობილი. ზოგადი ჰერეთისათვის სომხურ მწერლობაში *კსკოსანს* (ალვანეთი) ცნობილი. არც საქართველოს ჰერეთისათვის გვაქვს ეს სახელი (ჰერეთი) აღმნიშვნელად სომხურში<sup>1</sup>

<sup>1</sup> ემპირიკის ხელნაწერებს მივრთვით ვფიქროვებთ, რომ ისინი უფრო ახლოს დანან ქართულ თარგმანებთან, ვიდრე გამოქვეყნებულები. ათონის მრავალთავეში დაცული სომხური აგოგრაფიული ძეგლების თარგმანებს მათ შესატყვის სომხურ ტექსტებთან ერთად, რომლებიც უმეტესად ემპირიკის ხელნაწერებიდან ავიღეთ, გამოსაცემად გამზადებთ უახლოესი დროისათვის.

<sup>2</sup> სომხეთი: ნიშნავთ ერთი მოკლეა მინცაა აღსანიშნავი. ნერსეს შნორჰალი დავით უძლეველის სამშობლო სოფლად „ჭერეთ“-ს ასახელებს, რომელიც ვითომ უკონია პირველ მთარგმნელთ დროს (V ს.) ერთ-ერთ ძველ ძეგლში. სადღესასწაულო წიგნში (*წახაყათანაჲს*) კი დავითი „პარკ“-კუთხის სოფ. „ჭერეთი-იდან“ (*ჭერეთი*) იხსენიება. ასოლიკი დავითის სამშობლო სოფლად ამავე კუთხის სოფ. „ჭერეთანს“ ასახელებს. რადგანაც აქ პარკ კუთხესთან დაკავშირებით არის წარმოდგენილი „ჭერეთ-ჭერეთ-პარკი-ი“, ამიტომ იგი ტარონში იგულებათ მკვლევრებს.

სხვა გეოგრაფიულ სახელთაგან აღსანიშნავია კიდევ უ რ დ ი, ადგილი, სადაც ვარსკენის დედა ყოფილა დამარბული. არსებობს შეხედულება, რომ ურდი შესაძლოა ბორჩალოს უ რ უ თ ი იყოსო<sup>1</sup>. შესაძლოა, ასეც იყოს: ურუთი ურდისაგან იყოს მიღებული. მაგრამ ანგარიშგასაწვევია ის მოვლენაც, რომ ურდის სომხეთის მიწაწყალზედაც ვხვდებით ძველ დროს. „ეპისტოლეთა წრენის“ ერთი დოკუმენტი: *«Էփեսոսի գիր Խոուն Արարամու Հայոց կաթողիկոսի ի մարանուժխանն ախարհիս Հայոց, այնիցիկ որ էին ընդ իշխանութիամբ Հուսուի ի Թագաւորութիանն Մարկան»,* რომელიც 607 წ. ამბავს მოგვითხრობს, აღნიშნავს ბიზანტიის წილხედომილი სომხეთის იმ ეპისკოპოსებსა და მონასტერ-სავენეების წინამძღვრებს, რომელთაც აღუთქვეს აბრაამს, რომ არ უღალატებდნენ მამა-პაპათა რჯულს. სავენეთაგან ჩამოთვლილია თვალსაჩინო პუნქტები. მათ რიცხვშია ურდ-ის უხუცესიც, ვინმე კოზმა (*Կոզմաս Ուրդայ*, გვ. 151). ურდ-ი აქ ისეთ სავენებთანაა ერთად ხსენებული, რომლებიც ტაშირზე დაშორებული დიდად არ არიან, როგორც მაგ. არუქი, არწათი და სხ... საძვალე იყო იგი პიტიახშებისა, თუ შემთხვევით დაიკრძალა იქ ვარსკენის დედა, ძნელია თქმა.

